მაიკენ ჯულ სორენსენი

პაციფიზმი დღეს

საუბარი უკრაინის ომის ალტერნატიულ გზებზე

IRENE PUBLISHING

პაციფიზმი დღეს

საუბარი უკრაინის ომის ალტერნატიულ გზებზე

თბილისი

მაიკენ ჯულ სორენსენი

პაციფიზმი დღეს

საუბარი უკრაინის ომის ალტერნატიულ გზებზე

IRENE PUBLISHING

მაიკენ ჯულ სორენსენი

პაციფიზმი დღეს:
საუბარი უკრაინის ომის ალტერნატიულ გზებზე

ISBN 978-91-88061-77-7
პირველად გამოქვეყნდა 2024 წელს
Irene Publishing
Sparsnäs 1010
66891 Ed
Sweden

ნაშრომი ლიცენზირებულია CC BY-SA 4.0
ილუსტრაციები დამზადებულია Public Domain-ში ან CC-license-ით.

საკონტაქტო ინფორმაცია:
irene.publishing@gmail.com
www.irenepublishing.com

ქართული გამოცემა მოამზადა ადამიანის უფლებათა ცენტრმა

.

ეძღვნება ყველა მამაც ადამიანს, ვინც უარს ამბობს ომში მონაწილეობაზე უკრაინაში, რუსეთში და სხვაგან.

„ომი არის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული. ამიტომ მტკიცედ უარს ვამბობ ნებისმიერი ომის მხარდაჭერაზე და ვიღწვი ომის გამომწვევი ყველა მიზეზის აღმოსაფხვრელად“

ომის მოწინააღმდეგეთა საერთაშორისო გაერთიანების (War Resisters’ International) პაციფისტური დეკლარაცია.

სარჩევი

წინასიტყვაობა 7

შესავალი 9

უიარაღო ბრძოლის ლოგიკა 13

უიარაღო ბრძოლა, როგორც სარისკო ექსპერიმენტი 39

პაციფიზმი, მილიტარიზმი და იარაღის ექსპორტი 48

უფრო დიდი სურათი: ნატო 60

როგორ დავამხოთ პუტინი 64

უიარაღო ბრძოლისთვის მომზადება 72

დამატებითი საკითხავი მასალა 79

ბიბლიოგრაფია 82

წინასიტყვაობა

ჩემი აკადემიური მოღვაწეობის პერიოდში, მე, როგორც სოციოლოგიის მეცნიერი, ვიკვლევდი და ვწერდი არაძალადობრივი წინააღმდეგობის და კონფლიქტის დინამიკის შესახებ. თუმცა, ვარ პაციფისტიც, რომელიც უარს ამბობს მონაწილეობა მიიღოს ნებისმიერ ომში ან მის მომზადებაში. ამ დიალოგის - საკუთარ თავთან დებატების - ჩაწერა დავიწყე 2022 წელს უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრიდან ერთი წლის შემდეგ, როცა ვცდილობდი გამერკვია, ნამდვილად ვაპირებდი თუ არა პაციფისტად დარჩენას. ჩემი პასუხი როცა მტკიცე *კი*-სკენ გადაიხარა, გადავწყვიტე, გამომექვეყნებინა დიალოგი და უფრო დრამატული გამეხადა იმ კითხვებზე პასუხების გაცემით, რომლებიც სტანდარტულად ისმება პაციფიზმსა და ომის ალტერნატიულ გზებზე საუბრების დროს. **სკეპტიკოსი,** რომელიც კითხვებს სვამს ამ პუბლიკაციაში, რეალური ადამიანი არაა, მაგრამ წარმოადგენს ნებისმიერს, ვისაც უჩნდება კითხვები ჩემს პაციფიზმთან დაკავშირებით, როგორც პირად საუბრებში, ასევე წერილობითი კომუნიკაციისას.

აქ გამოთქმული ყველა აზრი მე მეკუთვნის. არ მაქვს ყველა პაციფისტის სახელით საუბრის პრეტენზია. არც ყველა ის მკვლევარია პაციფისტი, რომელთა ნამუშევრებიც წყაროებად მაქვს გამოყენებული. იმედი მაქვს, თქვენ, ვინც ფიქრობთ, რომ ომი არასწორია და გჯერათ სხვა გამოსავლების არსებობის, ამ დიალოგში იპოვით იმ არგუმენტებს, რომლებსაც ეძებდით.

ტექსტი ყოველთვის კოლაბორაციული პროცესია, მიუხედავად იმისა, რომ ამ პუბლიკაციის ერთადერთი ავტორი ვარ. ამდენად, ღრმა მადლიერება მინდა გამოვხატო ყველას მიმართ, ვინც ჩემთან ერთად მსჯელობდა პაციფიზმზე, არაძალადობრივ, ალტერნატულ გზებზე წლების განმავლობაში და მეხმარებოდა გამეძლიერებინა ჩემი არგუმენტები. კონკრეტულად ამ გამოცემის გამოქვეყნება ვერ მოხდებოდა ჩემი ბავშვობის მეგობრის, მალინ რეიბენ იორგენსენის მხარდაჭერის გარეშე. მან დამარწმუნა ჩამეწერა ჩემი არგუმენტები და გამეზიარებინა სხვებისთვისაც. ქრეიგ S. ბრაუნმა, ჰენრიკ ფრიქბერგმა, იორგენ

იოჰანსენმა, დორტე ლიკე ჰოლმმა, ბრაიან მარტინმა, იური შელიაჟენკომ, შაჰირა ტარაშმა და იან ობერგმა წაიკითხეს ამ ტექსტის სხვადასხვა სამუშაო ვერსია და გამიზიარეს ღირებული კომენტარები თუ რაზე უნდა გამემახვილებინა ყურადღება ან დამემატებინა. ტომ ვილმერ პაამანდი იყო ერთ-ერთი პირველი პაციფისტი, რომელსაც შევხვდი, როცა ახალგაზრდა ვიყავი. ის დამეხმარა მშვიდობის აქტივიზმის ახალი სამყაროს აღმოჩენაში. რაც შეეხება ამ დიალოგს, ტომმა მთელ ტექსტზე უამრავი კომენტარი დატოვა და განსაკუთრებით დამეხმარა **სკეპტიკოსის** გაცოცხლებაში. ყველა თქვენთაგანის დახმარებით, ეს პუბლიკაცია გაცილებით უკეთესი გახდა. ამ ტექსტის ნებისმიერი ხარვეზი, თქვენი ძალისხმევის მიუხედავად, ჩემს პასუხისმგებლობად რჩება.

მაიკენ ჯულ სორენსენი, 16 თებერვალი, 2024 წელი

შესავალი

სკეპტიკოსი: შენ თავს პაციფისტს ეძახი. რამდენადაც მე მესმის, ეს ტერმინი ნიშნავს, რომ შენ ხარ ნებისმიერი ომის და ომისთვის მზადების წინააღმდეგი, მათ შორის უკრაინის თავდაცვითი ომის წინააღმდეგიც, რომელსაც ქვეყანა აწარმოებს რუსეთის თავდასხმის მოსაგერიებლად. როგორ შეიძლება იყო პაციფისტი ასეთ დროს?

მაიკენი: მე საპირისპირო კითხვას გისვამ - როგორ შეგიძლია *არ იყო* პაციფისტი ასეთ დროს? იმის ფონზე, რაც ვიცით თანამედროვე საომარი მოქმედებების მოსალოდნელი შედეგების შესახებ, რატომ არ განიხილება ომის სხვა ალტერნატივები?

კითხვაზე - რატომ ვარ პაციფისტი - პასუხი შეიძლება დაიყოს სამ ნაწილად. უპირველეს ყოვლისა, ვფიქრობ, არასწორია დახოცო სხვა ადამიანები. ომი კი სწორედ ესაა. ომში იღუპებიან როგორც სამხედრო პირები, ისე მშვიდობიანი მოქალაქეები. მეორე - ადამიანების მიერ ომისთვის გაღებული საფასური ძალიან მაღალია, როცა მთლიანად ინგრევა ინფრასტრუქტურა. ომის დროს ძნელია იმ ღირებულების დაცვა, რისთვისაც თითოეული ჩვენთაგანი ვიბრძვით, მაგალითად - ადამიანის უფლებები. თუ ომი არის პასუხი, მაშინ დღეს, მთელს მსოფლიოში მშვიდობა უნდა გვქონდეს, იმის გათვალისწინებით, რა ომებიც გამოვიარეთ გასული საუკუნეების განმავლობაში, რომელთა გაცხადებული მიზანიც მშვიდობის დამყარება იყო. თუმცა, ჩემი პასუხის მესამე ნაწილი ყველაზე მნიშვნელოვანია: დღეს ჩვენ გვაქვს საკმარისი ცოდნა არაძალადობრივი საშუალებების შესახებ და ირაციონალურია ამ ცოდნის უგულვებელყოფა. ჩვენ შეგვიძლია დავუბრუნდეთ მსჯელობას, რამ მიბიძგა, არაძალადობრივი მეთოდების და პაციფიზმის მხარდამჭერი გავმხდარიყავი, მაგრამ ვფიქრობ, აჯობებს, დავიწყო საუბარი იმ ალტერნატიულ მეთოდებზე, რაზეც მაქვს ინფორმაცია.

სკეპტიკოსი: აბსოლუტურად გეთანხმები, რომ ომი საშინელებაა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ თავიდან მის ასარიდებლად, მაგრამ როცა ვუყურებ, რა მოხდა 2022 წელს უკრაინაში, ვერ

ვხედავ სხვა გზას, გარდა იმისა, რომ რუსეთის თავდასხმას დაუპირისპირდე შეიარაღებული თავდაცვით. როგორ შეიძლება აქ იყოს სხვა ალტერნატივა?

მაიკენი: რუსეთის თავდასხმა საშინელი აგრესია იყო. რა თქმა უნდა, მესმის, რომ უკრაინელებს უნდათ, ბრძოლით დაუპირისპირდნენ ამ თავდასხმას, მაგრამ იარაღის გარდა, სხვა ბრძოლის მეთოდებიც არსებობს. ხანგრძლივ პერსპექტივაში, უიარაღო მეთოდები უფრო ეფექტურია ადამიანის უფლებების, დემოკრატიის დასაცავად და ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად. უიარაღო ბრძოლა, ასევე, ქმნის შესაძლებლობას, სამომავლოდ გქონდეს მშვიდობიანი ურთიერთობები მოწინააღმდეგე მხარესთან. ყოველდღიურად, როცა ომი გრძელდება, თითოეული ტყვიის გასროლით, საარტილერიო თავდასხმით, სახლის ნგრევით და ადამიანის მკვლელობით, კიდევ უფრო ხანგრძლივდება რეკონსტრუქციის და შერიგების დრო. აი, ამიტომ ვარ პაციფისტი და მიმაჩნია, რომ ომი არის კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული.

სკეპტიკოსი: უიარაღო ბრძოლა? რას გულისხმობ? ვფიქრობ, მშვიდობიანი დემონსტრაციების დრო დასრულდა.

მაიკენი: თუ ფართომასშტაბიან შეკრებას გულისხმობ, გეთანხმები, რომ ახლა დემონსტრაციების დრო არაა, სულ მცირე - უკრაინის ცალკეულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე. ასეთ ვითარებაში დიდი ჯგუფების შეკრება ხშირად ქმნის არასაჭირო რისკს და ძალიან მცირე შანსია, ამ გზით მიაღწიო მიზანს. თუმცა, არსებობს გამონაკლისები. რუსეთის თავდასხმის დასაწყისში, უკრაინის პატარა ქალაქ სლავუტიჩის მოსახლეობამ საჯარო დემონსტრაცია გამართა და მოახერხეს საკუთარი მერის ტყვეობიდან დახსნა[1]. მიუხედავად ამისა, როცა

[1] ფელიპ დაზა სიერა "უკრაინული არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა ომის პირობებში. უკრაინაში, 2022 წლის თებერვლიდან ივნისამდე პერიოდში, არაძალადობრივი მოქმედებების ტენდენციების, ზეგავლენის და გამოწვევების ანალიზი." (მშვიდობის კატალანის საერთაშორისო ინსტიტუტი (ICIP), არაძალადობრივი მოქმედების საერთაშორისო ინსტიტუტი (Novact), გერმან ფრიდრიხ-შილერის უნივერსიტეტი იენის და გერმანიის მშვიდობის მშენებლობის არასამთავრობო ორგანიზაცია კორიდორები - დიალოგი თანამშრომლობის გზით, 2022).

ფართომასშტაბიანი ომი დაიწყო, ასეთი ქმედებები უკიდურესად სარისკო გახდა, ვინაიდან ოკუპანტმა დაიწყო საპოლიციო ძალების გამოყენება, რომლებიც გაწვრთნილები არიან და შეუძლიათ, მსგავს სიტუაციებში აკონტროლონ მასები.[2]

ხალხს თუ სურს პროტესტი საჯაროდ გამოხატოს, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს პატარა სიმბოლურ აქციებში, მაგალითად - ჩაიცვან კონკრეტული ფერის ტანსაცმელი, რითაც აჩვენებენ ეროვნულ ერთიანობას ოკუპანტის წინააღმდეგ. დღეს უკრაინელები იყენებენ მსგავსი სიმბოლური პროტესტის ფორმებს, როცა მღერიან ეროვნულ ჰიმნს, აფრიალებენ უკრაინის დროშას ან იცვამენ ლურჯს და ყვითელ ფერს.[3] ტიბეტში, რომელიც 1951 წლის მერე ოკუპირებულია ჩინეთის მიერ, დალაი ლამა წარმოადგენს სიმბოლური წინააღმდეგობის სახეს. მისი ფოტოს ჩვენება აკრძალულია ქვეყანაში. ამიტომ, როცა ქუჩაში ვაჭრები ყიდიან დალაი ლამას აკრძალულ ფოტოებს, მათ სინამდვილეში ცარიელი ჩარჩოები უკავიათ ხელში.[4] ყველამ იცის, რომ ამ ჩარჩოებში უნდა იყოს დალაი ლამას ფოტოები და ტიბეტელები ამ ცარიელ ჩარჩოებს კიდებენ სახლებში კედლებზე. ხალხი ასე გამოხატავს წინააღმდეგობას, ხოლო ჩინელ დამპყრობელს არ შეუძლია აკრძალოს ცარიელი ჩარჩოების გაყიდვა, რადგან ამას თუ გააკეთებს, სასაცილოდ გამოჩნდება.

სკეპტიკოსი: კარგი, გავიგე, რომ სიმბოლიზმთან დაკავშირე ბულმა კრეატიულობამ შეიძლება სოლიდარობის შექმნის როლი შეასრულოს, მაგრამ ვერავინ დაიჯერებს, რომ ეს საკმარისია დამპყრობლის თავიდან მოსაშორებლად.

მაიკენი: მართალი ხარ, არაა საკმარისი. უფრო მეტი გამბედაობა სჭირდება, მაგრამ სრულებით არაა აუცილებელი ბევრი ადამიანი ჩაერთოს ამ გაერთიანებაში. უკრაინის დაპყრობილ

---

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] სენთილ რამი, „ტიბეტის საკითხი, 1987-1997 წწ: ინტერნაციონალიზმი და მედიის მობილიზაცია“ (ჯავაჰარლალ ნერუს უნივერსიტეტი, 2001).



დალაი ლამა

ტერიტორიებზე გაფიცვები და ბოიკოტი, ასევე სხვა არათანამშრომლობითი ფორმების გამოყენება ოკუპანტის წინააღმდეგ, ალბათ, უკეთესი არჩევანი იქნებოდა. რუსულ საოკუპაციო ადმინისტრაციას, როგორც ყველა სხვა დამპყრობელს, სურს იმოქმედოს შეუფერხებლივ და შეინარჩუნოს ლეგიტიმურობის სახე. თუ ფასადური ლეგიტიმაციის საჩვენებლად ადგილობრივი არჩევნების ჩატარებას გადაწყვეტენ, ამომრჩევლებმა ბოიკოტი უნდა გამოუცხადონ არჩევნებს. სკოლებში რუსული სტილის სწავლების მეთოდს თუკი შეიტანენ, მშობლებმა და მასწავლებლებმა უნდა დააორგანიზონ პარალელური სასწავლო სისტემა, რომელიც გაყვება ძველ უკრაინულ კურიკულუმს. ეს ისეთი ტიპის აქტივობებია, რომლებშიც ბევრი ადამიანია ჩართული და აფერხებს საოკუპაციო ადმინისტრაციის მუშაობას ისე, რომ შეინარჩუნოს „ჩვეულებრივი საქმიანობის“ ფასადური სახე. ასეთი აქციების პატარა მაგალითები იყო უკრაინაში ომის პირველ თვეებში,[5] მაგრამ უფრო ფართომასშტაბიანი ბოიკოტის ორგანიზება განსხვავდება პატარა ჯგუფების მიერ სპონტანურად დაგეგმილი ინიციატივებისგან. იდეალურ ვითარებაში, ამგვარი არაძალადობრივი ბრძოლისთვის მზადება დიდი ხნის წინ უნდა დაწყებულიყო. მაგალითად - 2014 წელს, როცა რუსეთმა მოახდინა დონბასის და ყირიმის ანექსია. არ უნდა

[5] სიერა, “უკრაინული არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობა ომის პირობებში. უკრაინაში, 2022 წლის თებერვლიდან ივნისამდე პერიოდში, არაძალადობრივი მოქმედებების ტენდენციების, ზეგავლენის და გამოწვევების ანალიზი“.

დალოდებოდნენ რუსეთის სრულმასშტაბიან შეჭრას უკრაინაში. ახლა უკრაინელებს სჭირდებათ იმპროვიზაცია უიარაღო წინააღმდეგობისთვის და ამის დაორგანიზება მიმდინარე ოკუპაციის დროს, რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე წინასწარ რომ დაეწყოთ ამისთვის მზადება.

სკეპტიკოსი: ყველაფერი უფრო იოლი ხდება, როცა კარგად ემზადები. ამ საკითხს შეგვიძლია მოგვიანებით დავუბრუნდეთ, მაგრამ ახლა ვითარება ისეთია, როგორიც არის. ამიტომ კიდევ რისი გაკეთება შეუძლიათ უკრაინელებს აქ და ახლა?

მაიკენი: კი ბატონო, მოდი, დასაწყისში ეს განვიხილოთ.

მომიტინგეები და პოლიცია ბაიმაკში, რუსეთი. 2024 წლის იანვარი. ფოტოს ავტორი: მუზიჩი

უიარაღო ბრძოლის ლოგიკა

სკეპტიკოსი: შეგიძლია დამისახელო ერთი მაგალითი მაინც, როცა არჩევნებმა ან სასკოლო სისტემის წინააღმდეგ ბოიკოტმა რეალურად გამოიღო ის შედეგი, რაც ჩაფიქრებული იყო?

მაიკენი: უპირველეს ყოვილისა, ვერ ვიტყვი, რომ უკრაინის შემთხვევაში რამე კონკრეტული პასუხი გამაჩნია. არ ვარ უკრაინის ან რუსეთის საკითხებში ექსპერტი. რაც შემიძლია, ისაა, რომ ვისაუბრო დღეს უიარაღო ბრძოლის შესახებ და ვაჩვენო, როგორ შეიძლებოდა ის გამხდარიყო პოტენციურად რელევანტური უკრაინელი ხალხისთვის. ვეცდები ავხსნა, რაც ჩემი აზრით, შეიძლებოდა მომხდარიყო თუ უკრაინელები გადაწყვეტდნენ შეიარაღებული ბრძოლის დასრულებას და ამის ნაცვლად გადაერთვებოდნენ უიარაღო წინააღმდეგობის მეთოდებით ბრძოლაზე. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინისთვის ეს სცენარი, ცხადია, სპეკულაციურია, ის მაგალითები, რაზეც ჩემს არგუმენტებს ვაფუძნებ, რეალურად მოხდა. მოდი, დავიწყოთ ისეთი მაგალითის განხილვით, რომელსაც რაღაც საერთო აქვს უკრაინასთან, მიუხედავად იმისა, რომ ეს 80-ზე მეტი წლის წინ მოხდა, მაგრამ შესაძლოა, მაინც შთამაგონებლად მოგეჩვენოთ.

მეორე მსოფლიო ომის დროს ნორვეგია დაიპყრო ნაცისტურმა გერმანიამ. 1942 წელს ნორვეგიის მცირე ნაცისტური პარტიის NS-ის წარმომადგენელი ვიდკუნ კვისლინგი ნორვეგიის პრემიერ მინისტრი გახდა. მას ნორვეგიელების მხოლოდ მცირე ნაწილი უჭერდა მხარს და ამის შემდეგ მისი სახელი, ფაქტობრივად, მოღალატის სინონიმი გახდა. კვისლინგს დიდი გეგმები ჰქონდა ნორვეგიაში ნაცისტური იდეოლოგიის გასავრცელებელად. მან მიზნად დაისახა ეკლესიის და სკოლების ნაციფიკაცია. დააარსა 10-დან 18 წლამდე ახალგაზრდებისთვის სავალდებულო ახალგაზრდული ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენდა გერმანული „ჰიტლერიუგენდის“ ანალოგს. მაგრამ, საეკლესიო მსახურების, მასწავლებლებისა და მშობლების წინააღმდეგობა იმდენად კოორდინირებული იყო და უნისონში მოდიოდა ერთმანეთთან, რომ მისი არცერთი გეგმა არ შესრულდა.

სკეპტიკოსი: დაუჯერებელია, როგორ მოახერხეს ეს?

მაიკენი: დავიწყოთ ეკლესიით, რადგან ისინი იყვნენ პირველები.[6] იმ დროს, ნორვეგიაში მოქმედებდა ლუთერანული სახელმწიფო

[6] სასულიერო პირების შესახებ ისტორია ეფუძნება ტორლეივ აუსტადის, Kirkelig motstad: Dokumenter fra den norske kirkekamp under okkupasjonen 1940-45 med innledninger og

ეკლესია, სადაც მღვდლები დაქირავებულები იყვნენ, როგორც სამოქალაქო მოხელეები სახელმწიფოს მიერ. თუმცა, მათ ჰქონდათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურები. ნაცისტებმა ეკლესიის საქმიანობაში ჩარევა როცა დაიწყეს, ეპისკოპოსები და მღვდლები გადადგნენ სამოქალაქო მოხელეების პოსტებიდან, მაგრამ აგრძელებდნენ თავიანთი მრევლის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას. რისკის მიუხედავად, გადადგომის გადაწყვეტილება თითქმის ერთსულოვნად მიიღეს - 699-დან 645 ეპისკოპოსი და მღვდელი გადადგა სამოქალაქო მოხელის პოსტიდან. ეკლესიამ და განათლების სამინისტრომ მათი გადაწყვეტილების პასუხად გამოაცხადა, რომ შეუძლებელი იყო საკუთარი ვალდებულებების ერთი ნაწილისგან გაქცევა. მიუხედავად ამისა, ეს რეალურად მოხდა. სასულიერო პირებმა დაკარგეს ხელფასები, მაგრამ მღვდლების დიდი ნაწილი აგრძელებდა ეკლესიებში მუშაობას ძველებურად. ისინი თავს ირჩენდნენ ალტერნატიული ეკონომიკური საქმიანობით და მხარს უჭერდნენ თავიანთ მრევლს.

სკეპტიკოსი: ნაცისტებმა ყველა ეს მღვდელი და ეპისკოპოსი რატომ არ გაგზავნა ბანაკებში ან რატომ არ დახოცა?

მაიკენი: გამიკვირდება, რომ ეს შესაძლებლობა არ განეხილათ მათ, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ დამპყრობელს სურს იყოს მშვიდი და შეინარჩუნოს ისეთი გარეგნობა, თითქოს ყველაფერს აკონტროლებს. მათ რომ 645 საეკლესიო მსახური დაეხოცათ, ეს გამოიწვევდა არეულობას. ბანაკებში რომ გაეგზავნათ, ეკლესიები დარჩებოდა მღვდლების გარეშე და ეს ნორმალური არ იქნებოდა. ამას გარდა, ვინ შეძლებდა საეკლესიო მსახურების ჩანაცვლებას მცირე ლეგიტიმაციით? არ არსებობდა 645 ნაცისტებთან დაახლოებული განათლებული სასულიერო პირი, რომელიც იქვე დერეფანში ელოდებოდა მათ. ამას გარდა, პარალელურად ვითარდებოდა სიტუაცია მასწავლებლებთან დაკავშირებით, რაც

---

kommentarer [ეკლესიის წინააღმდეგობა: ნორვეგიის ეკლესიის ბრძოლის დოკუმენტები 1940-45 წლების ოკუპაციის დროს შესავალით და კომენტარებით] (Kristiansand, ნორვეგია: Høyskoleforlaget, 2005).

სავარაუდოდ უფრო მეტად აღელვებდათ ნაცისტებს და არ უნდოდათ ვითარების გამწვავება ეკლესიაში.

მასწავლებლებს რაც შეეხება, ჯერ კიდევ 1941 წელს შეინიშნებოდა ნაცისტების საწინააღმდეგო განწყობები მათ შორის, როდესაც ნორვეგიის ნაცისტურმა პარტიამ სცადა გაეკონტროლებინა მათი პროფესიული ორგანიზაცია.[7] მასწავლებლებმა გააუქმეს ამ ორგანიზაციის წევრობა და სანაცვლოდ დაიწყეს იატაკქვეშა საქმიანობა, კოლეგებისთვის გაავრცელეს მკაფიო დირექტივები: უარი უნდა ეთქვათ ნებისმიერ იძულებაზე, გაწევრიანებულიყვნენ ნაცისტურ პარტიაში, დაეწყოთ ნაციზმის პროპაგანდა სკოლებში და ხელი შეეწყოთ ახალგაზრდული ნაცისტური ორგანიზაციის შექმნისთვის. ამგვარად, მასწავლებლები თავიდანვე მომზადებული იყვნენ. 1942 წელს ნაცისტებმა მოინდომეს ყველა მასწავლებლის ახალ ნაცისტურ ორგანიზაციაში გაწევრიანება, რომლის სახელწოდება იყო Norges Lærersamband (NL). მასწავლებელთა იატაკქვეშა ორგანიზაციამ დისკუსია გამართა ყველა სხვა იატაკქვეშა ორგანიზაციასთან, რათა შეთანხმებულიყვნენ როგორ ეპასუხათ ნაცისტებისთვის. გადაწყვიტეს, რომ ყველა მასწავლებელი ინდივიდუალურ დეკლარაციას გაგზავნიდა ეკლესიისა და განათლების სამინისტროში, სადაც განმარტავდნენ, რომ ისინი საკუთარ თავს არ მიიჩნევდნენ NL-ის წევრად, რადგან ის ეწინააღმდეგებოდა მათ სინდისს, განათლება მიეცათ ახალგაზრდებისთვის ახალი ინსტრუქციების მიხედვით.

სკეპტიკოსი: ეს საკმაოდ სარისკო ჩანს. არა მგონია, რომ მასწავლებლების უმრავლესობამ გაბედა ამის გაკეთება.

[7] ისტორია მასწავლებლების შესახებ ეფუძნება ამ წყაროებს: ნიკოლა კარჩერი, კამპენ ომ სკოლენი: Nazifisering og lærernes motstand i det okkuperte Norge [ბრძოლა სკოლისთვის: ნაციფიკაცია და მასწავლებლების წინააღმდეგობა ოკუპირებულ ნორვეგიაში] (ოსლო: Dreyers Forlag, 2018); სვერე S. ამუნდსენი, ed. Kirkenesferda 1942 (ოსლო: Cappelen, 1946); ჯინ შარპი, ტირანიამ ვერ შეძლო მათი ჩახშობა (ლონდონი: მშვიდობის ამბების საგამომცემლო კომიტეტი, 1958).

მაიკენი: დიახ, გაბედეს. ნორვეგიის 14 000 მასწავლებლის დაახლოებით 90%-მა მიიღო ამ პროცესში მონაწილეობა.[8] მასწავლებლები მიიჩნევდნენ, რომ ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ამიტომ წავიდნენ რისკზე, თუნდაც რისკის მასშტაბების გაუცნობიერებლადაც კი. დეკლარაციების ხელმოწერის ორგანიზატორებს გააზრებული ჰქონდათ, რომ ზოგიერთ მასწავლებელს სიკვდილით დასჯიდნენ. მართალია, რეპრესიები საკმაოდ სასტიკი იყო, მაგრამ საქმე შორს არ წასულა. ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ის იყო, რომ ორგანიზატორებმა თავიდანვე იფიქრეს რისკის მაქსიმალურად შემცირებაზე. მათ იცოდნენ, რომ დეკლარაციის პირველი ხელმომწერები ყველაზე მოწყვლადი იქნებოდნენ და მათ წინააღმდეგ გამოყენებული სასტიკი სასჯელი სხვებსაც შეაფერხებდა ხელის მოწერის დროს. ამიტომ, ინსტრუქციის მიხედვით, ყველა მასწავლებელმა ერთ დღეს - 20 თებერვალს მოაწერა დეკლარაციას ხელი.

სკეპტიკოსი: კარგი, მაგრამ ნაცისტებს, ალბათ, ძალიან მკაცრი რეაგირება ექნებოდათ მსგავს წინააღმდეგობაზე.

მაიკენი: ეკლესიისა და განათლების სამინისტროს პირველი რეაგირება იყო მათი განცხადება, რომ ნებისმიერი, რომელიც არ გააუქმებდა დეკლარაციაზე ხელმოწერას, გათავისუფლდებოდა სამსახურიდან და იმის საჩვენებლად, რომ ამას ნამდვილად შეასრულებდნენ, 25 თებერვალს ხელფასები არ დაარიგეს მასწავლებლებზე. მაგრამ მასწავლებლემა მშვიდად გააგრძელეს მუშაობა, თითქოს არც არაფერი მომხდარიყო. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, მასწავლებლების ერთობამ სამინისტროსთვის კიდევ უფრო რთული გახადა, მოეფიქრებინა საპასუხო რეაგირება, როგორც ეს მოხდა სასულიერო პირების შემთხვევაში. ამდენი მასწავლებელი რომ სამსახურიდან გაეშვათ, ვინღა ასწავლიდა ბავშვებს? ამის სანაცვლოდ გადაწყვიტეს სკოლების დახურვა, ოფიციალურად კი განაცხადეს, რომ სახელმწიფოს არ ჰქონდა შეშის მარაგი საკლასო ოთახების გასათბობად.

---

[8] ციფრები მნიშვნელოვნად ეფუძნება წყაროებს. სხვადასხვა ციფრების და წყაროების დეტალურად გასაცნობად იხილეთ Karcher, Kampen om skolen: Nazifisering og lærernes motstand i det okkuperte Norge.

ამ დრომდე ნორვეგიის ნაცისტური ადმინისტრაცია მართავდა სიტუაციას, მაგრამ წინააღმდეგობიდან და სკოლების დახურვიდან ერთი თვის შემდეგ, გერმანიის საოკუპაციო ადმინისტრაცია ჩაერთო სიტუაციაში. მათ დავალება მისცეს პოლიციას, დაეპატიმრებინა 1 100 მამაკაცი მასწავლებელი, რაც აღსრულდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. აქ ვინმე იკითხავს - ნორვეგიის პოლიცია რატომ ემორჩილებოდა ნაცისტების ბრძანებას და რა მოხდებოდა თუ ისინიც უარს იტყოდნენ მათთან თანამშრომლობაზე და მასწავლებლების დაპატიმრებაზე?.. მაგრამ ეს სხვა ისტორიაა. 1 100 მასწავლებელი დააპატიმრეს და ეტაპობრივად, დაახლოებით ნახევარი გაგზავნეს მძიმე სამუშაოებზე ჩრდილოეთ ნორვეგიაში. გზაში აწამებდნენ და აძლევდნენ არაადეკვატურ საჭმელს და თავშესაფარს. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ზოგიერთმა მასწავლებელმა მართლაც გააუქმა ხელმოწერა დეკლარაციაზე, მაგრამ უმრავლესობა არ თმობდა პოზიციას. ნელ-ნელა ნაცისტებს მოუწიათ დამარცხების აღიარება და გახსნეს სკოლები. ფურცელზე, მასწავლებლები იყვნენ NL-ის წევრები, მაგრამ მათ არ სთხოვდნენ ნაცისტური პარტიის წევრობას და არცერთ მასწავლებელს არ ჰქონდა ვალდებულება, რამე ახალი მოვალება შეესრულებინა ამ წევრობის გამო.

მასწავლებლები კირკენის ციხის ბანაკში, ნორვეგია 1942 წელი.

რა შეგვიძლია ვისწავლოთ ამ მაგალითიდან? ოკუპირებული ძალა მთლიანად დამოკიდებულია ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობაზე, რომ შეინარჩუნოს ფუნქცია და მაკონტროლებლის იმიჯი. 1950-იან წლებში ამერიკელმა მკვლევარმა ჯინ შარპმა ინტერვიუ ჩაწერა რამდენიმე ნორვეგიელ მასწავლებელთან, რომლებიც გაფიცვაში მონაწილეობდნენ. მისი წიგნით - „არაძალადობრივი აქციის პოლიტიკა“ შარპი გახდა უიარაღო ბრძოლისა და არაძალადობრივი თეორიის შესახებ ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მწერალი. თავის წიგნში იგი წერს, რომ ძალაუფლების აღსრულება ყოველთვის ემყარება თანამშრომლობას და ეს მიდგომა გადამწყვეტია, გავიგოთ არაძალადობრივი ქმედების დინამიკა.[9]

სკეპტიკოსი: კარგი, ვხვდები მოცემულობას, მაგრამ შენი მაგალითები საკმაოდ ძველია. ეს რომ დღეს უკრაინაში ხდებოდეს, რუსები უბრალოდ რუს მასწავლებლებს ჩამოიყვანდნენ სკოლაში უკრაინელების ჩასანაცვლებლად.

მაიკენი: რასაც ამბობ რეალობას ძალიან გავს, ამიტომაც ყველა სიტუაცია ინდივიდუალურად უნდა გაანალიზდეს და შეფასდეს. ადგილობრივმა ხალხმა ყველაზე კარგად იცის ადგილობრივი სიტუაცია და მიუხედავად იმისა, რომ თითოეული უნიკალურია, მაინც შეგიძლია მოარგო სხვა მაგალითებს. რუსი მასწავლებლების შენეულ სცენარში, ჩემი ხედვით, შემდეგი ნაბიჯი იქნებოდა მშობლების ორგანიზება, რომლებიც აღარ გაგზავნიდნენ ბავშვებს ასეთ სკოლებში. ძალიან საინტერესო მაგალითი გვაქვს 1990-იანი წლების კოსოვოდან, როცა ალბანურმა მოსახლეობამ კოსოვოში შექმნა პარალელური განათლების სისტემა ისე, რომ მათი შვილები აღარ სწავლობდნენ სერბული კურუკულუმის მიხედვით. ასეულ ათასობით ბავშვი მონაწილეობდა ამაში.[10] ამაზეც შემიძლია გესაუბრო, მაგრამ ვფიქრობ, აჯობებს განათლებასთან

[9] ჯინ შარპი, არაძალადობრივი ქმედების პოლიტიკა (ბოსტონი: P. Sargent Publisher, 1973).
[10] ჰოვარდ კლარკი, სამოქალაქო წინააღმდეგობა კოსოვოში (ლონდონი: Pluto Press, 2000).

დაკავშირებული მაგალითებიდან სხვა მაგალითზე გადავიდე, არა?

სკეპტიკოსი: კარგი, ასე მოვიქცეთ. რა არის ის სხვა იდეა, რაც შენ ახსენე - ადგილობრივი არჩევნების ბოიკოტირება?

მაიკენი: როგორც ვთქვი, ოკუპანტ ძალას სჭირდება შეინარჩუნოს ლეგიტიმურობის ფასადი, რისთვისაც ცდილობს არჩევნების ჩატარებას უფრო ხშირად კანდიდატების მცირე რაოდენობის მონაწილეობით, ვიდრე უბრალოდ ერთი კანდიდატის ხელოვნურად დანიშვნით. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში დიქტატურაა, მაინც სურთ შეინარჩუნონ დემოკრატიული იმიჯი. შედარებით უსაფრთხო ფორმა არჩევნების ბოიკოტირებისთვის არის თანამშრომლობაზე უარის თქმა, განზე დარჩენა და მონაწილეობაზე უარის თქმა.

ჰევდეთ დოდა. სტუდენტები ესწრებიან საშინაო სკოლაში გაკვეთილებს რამდენიმე თვით ადრე ვიდრე მასწავლებლებმა და სტუდენტებმა „დაიკავეს“ დაზიანებული შენობა ჰრიშტინას ცენტრში, ფოტო: შიქერი ობერტინჩა, 1990 ან 1991 წელი

სკეპტიკოსი: მაგრამ ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ უკრაინელები ვერ მოახდენენ გავლენას პროცესზე, თუ ვინ მოიგებს არჩევნებს. არ ჯობია ნაკლებად ცუდი კანდიდატი აირჩიონ?

მაიკენი: მე ვიტყოდი, რომ არა. ნაკლებად ცუდი კანდიდატის არჩევა ვერ იქნება უფრო სასარგებლო, ვიდრე ერთიანი მოსახლეობის სახელით გაგზავნო მძლავრი მესიჯი და არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმა. ეს იქნება სიგნალი მათთვის და გარე დამკვირვებლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ რუსები გააყალბებენ ამომრჩეველთა აქტივობის მონაცემებს, მაინც რთული იქნება მათთვის ლეგიტიმურობის მიღწევა.

სკეპტიკოსი: კარგი, შენ საუბრობ ბოიკოტის მეთოდებზე, როგორც არათანამშრომლობით ფორმებზე, რაც მეტნაკლებად უსაფრთხო გზებია. შენ გაფიცვებიც ახსენე.

მაიკენი: ოკუპაციის წინააღმდეგ მოქმედების ყველა ფორმა ყოველთვის შეიცავს რისკებს, ამიტომ გაფიცვის უსაფრთხოება დამოკიდებულია იმაზე თუ როგორ ხორციელდება ის და რას აკეთებენ გაფიცული ადამიანები. გაფიცვის ტრადიციული ფორმა შექმნეს მუშებმა, რომლებიც უარს ამბობდნენ მუშაობის გაგრძელებაზე, ვიდრე დამსაქმებელი არ დააკმაყოფილებდა მათ მოთხოვნებს, როგორიცაა ხელფასების გაზრდა ან უკეთესი სამუშაო პირობების შექმნა. თუმცა, გაფიცვის მეთოდებს იყენებდნენ პოლიტიკურ კონფლიქტებშიც და მას შეგვიძლია შემოქმედებითად მივუდგეთ და შევქმნათ ნაკლებრისკიანი ფორმები. პოლონეთში, კომუნისტური რეჟიმის დროს, მუშებმა გაფიცვის ხანგრძლივი ისტორია შექმნეს. ისინი ფართომასშტაბიან მსვლელობებს აწყობდნენ. რამდენჯერმე ეს დემონსტრაციები უსაფრთხოების ძალებთან სისხლიანი შეტაკებით დასრულდა და მუშები დახოცეს. თუმცა, 1980 წელს, როდესაც სოლიდარობის დამოუკიდებელი კავშირი შეიქმნა, მუშებმა შეიმუშავეს განსხვავებული ტაქტიკა. ქუჩაში მსვლელობების მოწყობის ნაცვლად, დაიკავეს ქარხნები და ბარიკადებად თვითონ გამაგრდნენ შიგნით, რაც იმას ნიშნავდა, რომ უსაფრთხოების სამსახურის თავდასხმის მიმართ ნაკლებად მოწყვლადები გახდნენ. ამით შესაძლებლობა მიეცათ, უკეთ

დაეორგანიზებინათ საკუთარი ერთობა და შეემუშავებინათ მოთხოვნები ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრის გარეშე, რითაც შექმნეს კონსტრუქციული წინააღმდეგობის კარგი მაგალითი.[11]

ოკუპაციის დროს გაფიცვებმა გადამწყვეტი როლი შეასრულა წინააღმდეგობის ბრძოლაში. შეგვიძლია, დავასახელოთ მეორე მსოფლიო ომის დროს დანიის ნაცისტური ოკუპაცია. რამდენიმე შემთხვევაში ერთი სამრეწველო სფეროდან დაწყებულმა გაფიცვებმა მთელი ქვეყანა მოიცვა, მაგრამ მე იმის ხაზგასმა მინდა, რომ ეს იყო ორწუთიანი გაფიცვების იდეა, რომელიც ექსპერიმენტის სახით სცადა წინააღმდეგობის მოძრაობამ ომის დასასრულისკენ საკუთარი ძალის საჩვენებლად. რამდენჯერმე, წინააღმდეგობის მოძრაობამ დააანონსა ორწუთიანი გაფიცვა და ერთი წუთის განმავლობაში დანია სრულად ჩერდებოდა. ვინაიდან დროის ხანგრძლივობა საკმაოდ მოკლე იყო, ის წარმოადგენდა წინააღმდეგობის უსაფრთხო ფორმას და თითქმის ყველასთვის იოლი იყო მასში ჩართვა, ვინც კი მხარს უჭერდა წინააღმდეგობას. ამავე დროს, ეს ნიშნავდა, რომ წინააღმდეგობის მოძრაობა ნაცისტებს უგზავნიდა მესიჯს: „ნახე რამდენი დანიელი გვისმენს ჩვენ?! რისი გაკეთება შეუძლიათ მათ თუ რამეს ვთხოვთ მომავალში?“ ომის შემდეგ, გერმანელმა ოფიცრებმაც განაცხადეს, რომ მათთვის იოლი იყო ძალადობრივ წინააღმდეგობასთან გამკლავება, მაგრამ არ იცოდნენ როგორ მოქცეულიყვნენ არაძალადობრივი დაუმორჩილებლობის საპასუხოდ.[12]

სკეპტიკოსი: შენ საუბრობ არათანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებზე, მაგრამ რას იტყვი არაძალადობრივი მეთოდების გამოყენებით უფრო დიდი კონფრონტაციის შექმნაზე?

---

[11] მაიკენ ჟულ სორენსენი, სტელან ვინთაგენი და იორგენ იოჰანსენი, კონსტრუქციული წინააღმდეგობა: უსამართლობის წინააღმდეგ წასვლა გამოსავლის შექმნით (ლონდონი: Rowman & Littlefield, 2023).

[12] იაკუს სემელინი, უიარაღოდ ჰიტლერის წინააღმდეგ: სამოქალაქო წინააღმდეგობა ევროპაში, 1939-1943 წწ (ვესტპორტი, CT: Praeger, 1993).

მაიკენი: არაძალადობის თეორიაში ჩვენ ვსაუბრობთ გაფანტვის და კონცენტრაციის ქმედებებზე. დემონსტრაციები არის კონცენტრაციის ტაქტიკის კლასიკური ფორმა, სადაც ერთ ადგილზე თავს უყრი ბევრ ადამიანს, მაგალითად - ცენტრალური მოედნის დაკავებით ან მასობრივი მსვლელობით. შეიძლება გახსოვს 2011 წელს, ეგვიპტეში ტაჰრირის მოედნის შთამბეჭდავი სურათები, სადაც ადამიანებმა მოედანზე დემონსტრაციები კვირების განმავლობაში გამართეს. გაფიცვებთან ერთად, ასეთმა დემონსტრაციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს პრეზიდენტ მუბარაკის 30-წლიანი მმართველობის დასრულებაში. რა თქმა უნდა ეს არის შთამბეჭდავი სანახაობა, როცა ბევრი ადამიანი იკრიბება, მაგრამ ამ დროს თავდასხმის პირდაპირი სამიზნე ხდები, როგორც ეს მოხდა პოლონეთში მუშათა დემონსტრაციების დროს. მუშებმა როცა ქარხნები დაიკავეს, ესეც კონცენტრაციის ტაქტიკა იყო, მაგრამ ის შეიცვალა, როცა მუშები ნაკლები სამიზნეები იყვნენ. თუმცა, სამხედრო ხელისუფლებას რომ ბრძანება გაეცა და დაკავებულ ქარხნებზე შტურმი მიეტანათ, ერთ ადგილას შეკრებილი ყველა მუშის წინააღმდეგ, ეს სრულად გაანადგურებდა აქციას. ამის სანაცვლოდ, როცა შენ იყენებ გაფანტვის მეთოდს, პროტესტი უფრო ფართო მასშტაბზე ვრცელდება და თვალსაჩინო ხდება, რამდენი მხარდამჭერი ყავს მოძრაობას. ამის საპირწონედ კი ნაკლებია რისკი.

ქვეყნებში, სადაც ბევრი მუსლიმი ცხოვრობდა, ხალხი დადგა საკუთარი სახლების სახურავებზე და დაიწყო ხმამაღლა ძახილი Allahu Akbar (ღმერთი დიდია), რითაც გამოხატეს დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ პროტესტი. ეს არის გაფანტვის ტაქტიკა და რთულია სასულიერო პირისთვის, მუსლიმურ ქვეყანაში იპოვოს მიზეზი, რის საფუძველზეც აუკრძალავს ხალხს გამოხატოს საკუთარი რელიგიური რწმენა. ლათინურ ამერიკაში, ტრადიციულად, ხალხი გამოდის აივნებზე და ხმამაღლა უკრავს ქვაბებზე პროტესტის გამოსახატავად. ასეთი პროტესტი, რომელიც ხორციელდება საკუთარი სახლის უსაფრთხო სივრცეში, ვერაფრით შეაშინებს ოკუპანტ ძალას,მაგრამ ამით იგზავნება მესიჯი, რომ პროტესტში მონაწილე ადამიანები ცოტანი არ არიან და ასეთმა ქმედებამ შესაძლოა, სხვებიც

წაახალისოს, ჩართოს პროტესტში. არაძალადობრივ მოძრაობებს, რომლებიც სხვადასხვა მეთოდს ემყარება, მათ შორის - პროტესტს და არათანამშრომლობას, პირდაპირ ქმედებას და ჩარევას, დიდი შანსია, მიზანს წარმატებით მიაღწიონ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსგავსი საპროტესტო მოძრაობა შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ადგილსა და სივრცეში ისე, რომ მასში ჩაერთოს მოსახლეობის სხვადასხვა ფენა.[13] მოძრაობები, რომლებიც ეფუძნება მოსახლეობის მხოლოდ ერთ ნაწილს, მაგალითად - სტუდენტებს და თავს უყრის მათ ერთ ადგილზე, უფრო მეტად მოწყვლადია, ვიდრე ის მოძრაობა, რომელიც მრავალფეროვანია და არაძალდობრივი წინააღმდეგობის სხვადასხვა ტიპს აერთიანებს.

სკეპტიკოსი: პარტიზანების ტაქტიკას გავს. შეიარაღებულმა და უიარაღო ბრძოლამ ერთმანეთისგან ბევრი რამე უნდა ისწავლოს.

მაიკენი: დიახ, ყველა სახის ბრძოლა, იქნება ის ძალადობრივი თუ არაძალადობრივი, საჭიროა, ხალხმა დაგეგმოს, შეიმუშაოს სტრატეგია და მოემზადოს წინასწარ. ასევე უნდა გაეცნონ პოლიტიკურ თამაშებს და გაიგონ მეორე მხარის პერსპექტივები - რა უნდა ოპონენტს, რისი დათმობისთვის არის მზად და სად უფრო იოლი იქნება მისი დათმობაზე წამოყვანა? მეორე საკითხია, გაიგო, როგორ გამოიყენო შენი საკუთარი რესურსები ჭკვიანურად და სტრატეგიულად. უკრაინაში რუსეთის შეჭრის დასაწყისში, რუსეთს ჰქონდა უპირატესობა, რადგან მან აიღო ინიციატივა, ყავდა მეტი ჯარისკაცი და იარაღი. თუმცა, უკრაინის ჯარიც ინოვაციურად მოიქცა და შეძლო რუსების გაოცება, მაგალითად - უჩვეულო გზით პატარა დრონების გამოყენებით. „თამაშის წაკითხვის“ ეს უნარი და იმპროვიზაცია, ასევე, საჭიროა უიარაღო ბრძოლაშიც.

სკეპტიკოსი: თუ ამდენი მსგავსებაა, მაშინ გამოიყენონ უიარაღო მეთოდები, შეიარაღებული ბრძოლის პარალელურად.

---

[13] კურტ შოკი, უიარაღო აჯანყებები: ხალხის ძალის მოძრაობა არადემოკრატიულ საზოგადოებებში, ტომი 22, სოციალური მოძრაობები, პროტესტი და განხეთქილება (მინეაპოლისი: მინოსეტის უნივერსიტეტის პრესა, 2005).

მაიკენი: არავითარ შემთხვევაში. უიარაღო და შეიარაღებელი მეთოდები ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუთავსებელია, რადგან ორივე სხვადასხვა ლოგიკას ექვემდებარება. სამხედრო ლოგიკა ნიშნავს, კონტროლი აიღო ხელში ფიზიკური ძალით. ამის საპირისპიროდ, ოკუპაციის წინააღმდეგ უიარაღო ბრძოლა ნიშნავს, ოკუპანტისთვის პოლიტიკურად შეუძლებელი გახადო, გააგრძელოს ბრძოლა, მით უფრო, როცა უარს ეუბნები თანამშრომლობაზე. მაშინ, როცა სამხედრო ბრძოლამ შეიძლება სარგებელი მიიღოს თანმდევი გაფიცვებით და სხვა არათანამშრომლობითი მეთოდებით, თავიდანვე არაძალადობრივი ბრძოლა ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებს თანმდევი ძალადობრივი პრაქტიკით. პირიქით, ნებისმიერი ძალადობა შეიძლება გახდეს კონტრპროდუქციული, რადგან ერთი ძალადობრივი ეპიზოდითაც კი შეიძლება მთელი წინააღმდეგობის მოძრაობას ბრუტალობა დაბრალდეს. არაძალადობის თეორიაში, ჩვენ ვსაუბრობთ „არაძალადობრივი დისციპლინის“ შენარჩუნების მნიშვნელობაზე. ვაცნობიერებ, რომ გავრცელებული აზრი ბევრს არწმუნებს ძალადობრივი წინააღმდეგობის ეფექტურობაში, მაგრამ ამ შემთხვევაში, ეს აზრი ძალიან მცდარია. კვლევა, სადაც ერთმანეთს შეადარეს ძალადობრივი და არაძალადობრივი მეთოდები, ცხადყოფს, რომ არაძალადობრივი წინააღმდეგობა გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ძალადობა. ერიკა ჩენოვეთი და მარია სტეფანი ატარებდნენ კვლევას, რომელიც წიგნის სახით გამოიცა 2011 წელს - „რატომ აქვს სამოქალაქო წინააღმდეგობას შედეგი“.[14]

სკეპტიკოსი: კი, მსმენია ამ წიგნის შესახებ, მაგრამ მაინც დაუჯერებლად ჟღერს, რომ არაძალადობრივი მეთოდი უფრო ეფექტური შეიძლება იყოს.

მაიკენი: ეს მეცნიერებისთვისაც დაუჯერებელი იყო. კვლევის გამოქვეყნებიდან მალევე შევხვდი ერიკა ჩენოვეთს. მან ამიხსნა, რომ რეალურად მათი მოლოდინი იყო, დაემტკიცებინათ

[14] ერიკა ჩენოვეთი და მარია სტეფანი, რატომ მუშაობს სამოქალაქო წინააღმდეგობა: არაძალადობრივი კონფლიქტის სტრატეგიული ლოგიკა, კოლუმბიის ტერორიზმისა და არარეგულარული საომარი ვითარების კვლევები, (ნიუ-იორკი: კოლუმბიის უნივერსიტეტის პრესა, 2011)

არაძალადობრივი მეთოდების ეფექტურობის მხარდამჭერი მკვლევარებისთვის, რომ ცდებოდნენ. თუმცა, ჩენოვეთისა და სტეფანის საძირკვლის გამომთხრელმა კვლევამ საპირისპირო შედეგი აჩვენა - სტატისტიკურად, ბრძოლები, რომლებიც უწინარესად იყო არაძალადობრივი, ორჯერ უფრო მეტ წარმატებას აღწევდა, ვიდრე ძალადობრივი ბრძოლები. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაძალადობრივი კამპანიები ყოველთვის წარმატებულია ან რომ ძალადობრივი ბრძოლა ყოველთვის მარცხით მთავრდება, მაგრამ მათ დაასაბუთეს ეს ძალიან აშკარა ტენდენცია. კვლევის დაწყებამდე, არაძალადობრივი და სამოქალაქო აქტივიზმზე დაფუძნებული თავდაცვის კვლევა, ძირითადად, ეყრდნობოდა ცალკეული ქვეყნების მაგალითების შესწავლას, რისი გენერალიზება რთული იყო. თუმცა, ჩენოვეთმა და სტეფანმა მოახერხეს ყოველგვარი ეჭვის გარეშე ეჩვენებინათ, რომ ხალხს, რომელიც ჩართულია უპირატესად არაძალადობრივ კამპანიებში, აქვს კარგი შესაძლებლობა, მიაღწიოს საკუთარ მიზანს გაცილებით წარმატებით, ვიდრე ამას შეიარაღებული ბრძოლის მეთოდით შეძლებდნენ.

სკეპტიკოსი: ამის მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ არაძალადობრივი კამპანიების კვლევა დემოკრატიულ ქვეყნებში ჩაატარეს, სადაც რეპრესიები არც კი შეედრება იმას, რაც ხდება რუსეთში ან უკრაინაში დღეს?

მაიკენი: არა, მათ კვლევაში არ შეიტანეს დემოკრატიებში მიმდინარე ასეთი კამპანიები. 1960-იანი წლების ცნობილი სამოქალაქო უფლებების მოძრაობა აშშ-ში, რომელმაც სახელი გაუთქვა მარტინ ლუთერ კინგს და როზა პარკს, არ განხილულა

მათ წიგნში. ჩენოვეთმა და სტეფანმა გადაწყვიტეს, თავიანთი კვლევა დაეყრდნოთ იმ მაგალითებზე, სადაც მათი აზრით, *სულ მცირე ალბათობა* არსებობდა, რომ არაძალადობრივ მეთოდს წარმატება მოეტანა; ამას მათ „მაქსიმალისტის მიზნები“ დაარქვეს. ჩენოვეთმა და სტეფანმა შეაგროვეს *ყველა* კამპანია, სადაც მოძრაობებმა სცადეს დიქტატურის დამხობა, დამოუკიდებლობის მოპოვება ან ოკუპანტ რეჟიმთან ბრძოლა 1900 წლიდან 2006 წლამდე პერიოდში. მთლიანობაში, მათ შეისწავლეს 323 როგორც ძალადობრივი ისე არაძალადობრივი შემთხვევა. შემდგომ, გამოარკვიეს რამდენი მათგანი დასრულდა მარცხით, ნაწილობრივი გამარჯვებით ან გამარჯვებით. ამდენად, კამპანიის მიზანი თუ იყო დიქტატორის გადაგდება, წარმატების კრიტერიუმი იყო დიქტატორის რეალურად გადაყენება. თუ მიზანი ოკუპაციის დასრულება იყო, წარმატების კრიტერიუმიც აქ იყო ოკუპაციის დასრულება.

სკეპტიკოსი: ეს საინტერესო ჩანს. უფრო მეტი მიამბე ოკუპაციის საქმეების შესახებ?

მაიკენი: ჩენოვეთმა და სტეფანმა 78 კამპანიას მისცეს „ანტისაოკუპაციო“ კლასიფიკაცია. აქ შედის არაძალადობრივი ანტისაოკუპაციო წარმატებული კამპანიები, როგორიცაა აღმოსავლეთ ტიმორის გათავისუფლება ინდონეზიისგან 1990-იან წლებში და გერმანიის რუჰრის რეგიონის არაძალადობრივი ბრძოლა ფრანგული ოკუპაციის წინააღმდეგ 1923 წელს. თუმცა, ეს სია მოიცავს წარუმატებელ კამპანიებსაც, როგორიცაა 1956 წლის უნგრეთის და 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის კამპანიები, სადაც ორივე ქვეყანა დაპყრობილი იყო საბჭოთა კავშირის მიერ და სპონტანური არაძალადობრივი წინააღმდეგობა არ აღმოჩნდა საკმარისი ოკუპაციის შესაწყვეტად. საქმე როცა ოკუპაციას ეხება, ჩენოვეთისა და სტეფანის მიგნებები აჩვენებს, რომ წარმატების რეიტინგი ძალადობრივი და არაძალადობრივი კამპანიების შემთხვევაში დაახლოებით იგივეა - 36% და 35% შესაბამისად. თუმცა, როცა საქმე ეხება ნაწილობრივ წარმატებას, როგორიცა - ავტონომიის ან ძალაუფლების გაზიარების მიღწევა, არაძალადობრივი კამპანიები გაცილებით მეტ წარმატებას აღწევენ, ვიდრე შეიარაღებული ბრძოლა.

სკეპტიკოსი: მაგრამ თუ წარმატების რეიტინგი ძალადობრივ და არაძალადობრივ მეთოდებში თითქმის იგივეა, როცა საქმე ოკუპაციას ეხება, რატომ ხარ ასე დარწმუნებული, რომ არაძალადობრივი სტრატეგია უკეთესია უკრაინისთვის ვიდრე შეიარაღებული თავდაცვა?

მაიკენი: ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ჩვენ უნდა შევხედოთ ომის შედეგებს. ჩემი აზრით, ხალხი ძალიან დიდ საფასურს იხდის ამდენი სიცოცხლის განადგურებით. ამას დავამატოთ განადგურებული ინფრასტრუქტურა, რომელსაც მივყავართ ჰუმანიტარულ კატასტროფამდე და ძალადობრივი კონფლიქტის ათწლეულობით გაგრძელების პერსპექტივამდე. მეორე, ჩვენ არ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ არაძალადობრივი წინააღმდეგობის მაგალითებიდან მიღებულ გაკვეთილებს. ოკუპაციურ სიტუაციებსა და რეჟიმის ცვლილებას შორის პარალელები იმდენად ბევრია, რომ წინააღმდეგობის მოძრაობებმა შეიძლება იპოვონ ბევრი შთაგონება წინა კამპანიებიდან, რომლებმაც რეჟიმები შეცვალეს. დიქტატურაში, ადამიანები არიან „ოკუპირებული“ საკუთარი მთავრობის მიერ. ამიტომაც არსებობს ბევრი პარალელი.[15] საქმე როცა ეხება რეჟიმის საწინააღმდეგო კამპანიებს, წარმატების რეიტინგი არაძალადობრივ ბრძოლაზე გაცილებით მაღალია, ვიდრე ოკუპაციის წინააღმდეგ დაგეგმილი კამპანიების შემთხვევაში - 59% არაძალადობრივი კამპანიისთვის და მხოლოდ 27% ძალადობრივის შემთხვევაში. ეს სტატისტიკა მოტანილია ჩენოვეთისა და სტეფანის პირველად კვლევაში. უფრო ახალ სტატიაში ჩენოვეთი წერს, როგორ იცვლებოდა წარმატების რეიტინგი არაძალადობრივი კამპანიების შემთხვევაში 2010-2020 წლებში წინა ათწლეულთან შედარებით. თუმცა, ძალადობრივი კამპანიების წარმატების ალბათობაც უფრო მეტად შემცირდა. ამიტომ შეფარდება ახლა არის 1:4-თან, არაძალადობრივი მეთოდის სასარგებლოდ.[16]

---

[15] მადლობა იორგენ იოჰანსენს, რომელიც დამეხმარა ამგვარად ამეხსნა პარალალელები.
[16] ერიკა ჩენოვეთი, “არაძალადობრივი წინააღმდეგობის მომავალი,“ დემოკრატიის ჟურნალი 31, ნომერი 3 (2020).

სკეპტიკოსი: რას ნიშნავს ეს?

მაიკენი: ჩენოვეთი გვთავაზობს გარკვეულ განმარტებებს, მაგრამ ვიდრე ამაზე გადავალთ, მინდა კომენტარი გავაკეთო იმ კრიტიკაზე, რაც ჩენოვეთისა და სტეფანის კვლევის მისამართით გაისმა.

“არა! ვერ მაიძულებ!”
საპროტესტო პლაკატი
რურიდან 1923 წელი

სკეპტიკოსი: კარგი.

მაიკენი: მსგავსი საყოველთაოდ ცნობილი კვლევა ყოველთვის ხდება კრიტიკის საგანი, მაგალითად - მკვლევარებისთვის, რომლებმაც იციან ასეთი საქმეების დეტალები და ფიქრობენ, რომ მოხდა ამ საქმეების არასწორი კლასიფიკაცია. ყველაზე მეტი კრიტიკა წამოვიდა ალექსეი ანისინისგან, რომელმაც ასევე გააკეთა კვლევა ჩენოვეთისა და სტეფანის მიერ შესწავლილ და სხვა ფაქტებზეც.

ანისინმა წამოჭრა ორი მნიშვნელოვანი საკითხი. პირველ რიგში, მას სურს კვლევაში სხვა შემთხვევების დამატებაც და ათვლის წერტილად გვთავაზობს 1800 წელს, ნაცვლად 1900 წლისა, რომლის შემდგომ მომხდარი ფაქტების კვლევაც ჩაატარეს ჩენოვეთმა და სტეფანმა. წინა საუკუნეში ანისინმა ვერ იპოვა არაძალადობრივი კამპანიები, მაგრამ დაამატა ისეთი კამპანიები~, რომელიც მოიცავდა ძალადობის გარკვეულ ფორმებს და მათი უმრავლესობა წარმატებით დასრულდა. ეს ცხადია, ნიშნავს, რომ სტატისტიკურად ძალადობრივი კამპანიების წარმატების ალბათობა იზრდება. ამას გარდა, ანისინი ამტკიცებს, რომ ძალიან მარტივია მსჯელობა მხოლოდ „ძალადობრივ“ და „არაძალადობრივ“ მეთოდებს შორის. ამდენად, მან დაამატა კიდევ ორი კატეგორია, რომელსაც დაარქვა „შეუიარაღებელი ძალადობა“ და „რეაქციული ძალადობა“. „შეუიარაღებელ ძალადობაში“ ანისინი გულისხმობს აჯანყებას, ქვების სროლას, მოლოტოვის კოქტეილების გამოყენებას და მანქანების და შენობების დაწვას. ხოლო რეაქციულ შეუიარაღებელ ძალადობაში გულისხმობს იგივე მეთოდებს, მაგრამ როცა ამ მეთოდს იყენებენ მეორე მხარის ძალადობის საპასუხოდ.[17] ჩემი რწმენით, ჩენოვეთს და სტეფანს არ უპასუხიათ ანისინის კრიტიკისთვის, მაგრამ დანარჩენმა სამმა მკვლევარმა უპასუხა. მონიკა ონკენმა, დალილა შემია-გოეკემ და ბრაიან მარტინმა დაწერეს დეტალური პასუხი, სადაც განიხილეს ანისინის კრიტიკაში ნახსენები რამდენიმე პრობლემა. ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრება ანისინთან შედარებით კიდევ უფრო

[17] ალექსეი ანისინი, “არაძალადობრივი სამოქალაქო წინააღმდეგობის უკან არსებული მითების გამჟღავნება,“ კრიტიკული სოციოლოგია 46, ნომერი 7-8 (2020).

განავრცეს, მაგალითად - სხვადასხვა კამპანიების კატეგორიებად დაყოფის საკითხი.[18]

სკეპტიკოსი: ვფიქრობ, რომ ეს კრიტიკა საკმაოდ გონივრულია. შეუიარაღებელ ხალხს შეუძლია ჩაერთოს ძალადობაშიც და ის არ უნდა იყოს იგნორირებული!

მაიკენი: აბსოლუტურად გეთანხმები. შეუიარაღებელი წინააღმდეგობა რომ უკეთ გავიგოთ, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია საბოტაჟის, აჯანყებისა და სხვა შეუიარაღებელი ძალადობრივი კამპანიების ეფექტის ანალიზი, რომლებიც მეტწილად არაძალადობრივია. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ასევე გვჭირდება გამოვიკვლიოთ არაძალადობრივი ძალადობის როლი ამ ბრძოლაში. საკმარისი არაა იმის იდენტიფიცირება, ახლანდელია ეს ფაქტი თუ არა. ჩენევოთისა და სტეფანის და ასევე ანისინის სტატისტიკურ კვლევებში ხედავ, რომ კორელაციაა ძალადობა/არაძალადობასა და წარმატება/წაგებას შორის, მაგრამ კორელაცია არაფერს ამბობს მიზეზებსა და ეფექტზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეუიარაღებელი ძალადობა რომც იყოს, ეს ნამდვილად არ ნიშნავს, რომ ამან წვლილი შეიტანა თავდაპირველად არაძალადობრივი კამპანიის წარმატებაში. შესაძლოა, უიარაღო ძალადობის არსებობა რეალურად კონტრპროდუქტიული იყო და ნიშნავდა, რომ ბრძოლას მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე დასჭირდებოდა უიარაღო ძალადობის გარეშე? მსგავს კითხვაზე საპასუხოდ, ჩვენ ასევე გვჭირდება ხარისხობრივი კვლევა, სადაც თითოეული საქმის დეტალებს შევისწავლით. მსგავსმა კვლევამ შეიძლება დაადასტუროს, რომ შეუიარაღებელი ძალადობა იყო ბრძოლის ინტეგრირებული ნაწილი და ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებისთვის. თუმცა, სხვა შემთხვევებში, ანალიზმა შეიძლება აჩვენოს, რომ აჯანყება იყო რეჟიმის გამართლება - ყოფილიყო უფრო მკაცრი. ასეთი კვლევები ასევე გვაძლევენ განმარტებებს, რა ეფექტი აქვს ძალადობას. ჩვენ უკვე განვიხილეთ არაძალადობის თეორია და საკმაოდ ძლიერი არგუმენტია, რისთვის უნდა შევინარჩუნოთ

[18] მონიკა ონკენი, დალილა შემია-გოეკე და ბრაიან მარტინი, „სწავლებები სამოქალაქო წინააღმდეგობის კრიტიკიდან,“ კრიტიკული სოციოლოგია 47, ნომერი 7-8 (2021).

არაძალადობრივი დისციპლინა. ის მხარდაჭერილია ლოგიკური განმარტებით, რომ მცირე ძალადობრივი ქმედების არსებობაც კი შეიძლება კონტრპროდუქტიული იყოს, რადგან მას იოლად გამოიყენებენ მოწინააღმდეგეებზე თავდასასხმელად. არ მგონია, რომ ანისინმა კარგად ახსნა როგორ შეიძლება ისარგებლოს ბრძოლამ შეუიარაღებელი ძალადობისგან, რომელიც არ აფასებს რეჟიმის სისასტიკეს.

სკეპტიკოსი: თუნდაც კრიტიკოსი არ წერდეს ამაზე თავად, ბევრი არგუმენტი არსებობს საბოტაჟისა და აჯანყების სასარგებლოდ.

მაიკენი: აბსოლუტურად გეთანხმები. მოდი ვისაუბროთ საბოტაჟისა და აჯანყების სარგებელზე, მაგრამ ასევე გვახსოვდეს ის რისკი, რაც ამ მეთოდებს ახასიათებს. ჩემს აკადემიურ ნაშრომებში გავაკრიტიკე არაძალადობრივ მეთოდებზე არსებული ლიტერატურა დანიაში ნაცისტური ოკუპაციის წინააღმდეგ არაძალადობრივი მოძრაობის ქებისა და გაუფასურების გამო. მათი დიდი სურვილის მიუხედავად, ეჩვენებინათ როგორი ეფექტური შეიძლება იყოს არაძალადობრივი მეთოდი, რამაც უნდა წააქეზოს სხვებიც, დანიის ტენდეციის შესახებ ავტორებმა გაამარტივეს ძალიან კომპლექსური სიტუაცია. მათ ლამაზად წარმოაჩინეს დანიელებსა და გერმანელებს შორის არსებული შინაგანი დაპირისპირება, უგულვებელყვეს ის ფაქტი, რომ ომის განმავლობაში ოკუპაციის პირობები შეიცვალა. ეს ცვლილებები მოხდა დანიის შიდა პოლიტიკის და ასევე გერმანიის მზარდი სამხედრო დანაკარგის გამო.

ზოგიერთი ავტორი ასევე უარს ამბობს იმსჯელოს წინააღმდეგობის მოძრაობის საბოტაჟზე რკინიგზის და ქარხნების წინააღმდეგ, სადაც იწარმოებოდა გერმანელებისთვის ომის დროს საჭირო საქონელი და ამას ხელი შეუშალეს არაძალადობრივი წინააღმდეგობის ფორმებით. დანიელებმა მაღალი ფასი გადაიხადეს, როცა ნაცისტებმა სიკვდილით დასაჯეს რიგითი მოქალაქეები საბოტაჟში მონაწილეობისთვის, მაგრამ წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები მაინც აგრძელებდნენ ბრძოლას, რადგან ღირდა გაღებული მსხვერპლი მიზნის მიღწევად. ომის დროს და შემდეგაც ფართოდ

გავრცელებული მოსაზრება იყო, რომ რკინიგზის საბოტაჟს, რაც აფერხებდა ჯარების და საქონლის ტრანსპორტირებას, ჰქონდა განსაკუთრებული გავლენა გერმანელების შესაძლებლობაზე, მოეგოთ ომი. ეს მითი რკინიგზის საბოტაჟის ეფექტის შესახებ დაინგრა 1971 წელს, როდესაც დანიელმა ისტორიკოსმა დაწერა, რომ ამას ძალიან მცირე პრაქტიკული შედეგი ჰქონდა გერმანული ჯარისთვის და მაქსიმალური შეფერხება, რასაც ასეთი საბოტაჟი იწვევდა, გრძელდებოდა მხოლოდ 2 დღე.[19] თუმცა, ომის დროს დანიელმა ხალხმა არ იცოდა ამის შესახებ. გონივრულია ვარაუდი, რომ საბოტაჟს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ხალხის მორალზე, მაგრამ ისტორიკოსმა არ გამოიკვლია რკინიგზის საბოტაჟის ეს ასპექტი.

საბოტაჟმა და აჯანყებამაც შეიძლება შეასრულოს თავისი როლი, როდესაც ის ხელს უშლის დამპყრობელს, შეინარჩუნოს მათი სასურველი სიმშვიდე. ეს ნიშნავს უფრო მეტი ადამიანური და სხვა რესურსების მობილიზებას ოკუპაციის შესანარჩუნებლად. ამ ვითარებაში შეუძლებელია ომის წარმოება წინა ხაზზე. ვფიქრობ, უნდა განვიხილოთ ასეთი საკითხები უფრო მეტად არაძალადობრივი მეთოდების მკვლევარებთან. ეს საჭიროებს საბოტაჟისა და აჯანყებების საღი აზრით შეფასებას, იმის გათვალისწინებით, რომ ორივეს შეუძლია დაეხმაროს არაძალადობრივ მოქმედებას; ასევე უნდა განვიხილოთ რა საფასური შეიძლება ჰქონდეს საბოტაჟსა და აჯანყებებს. შესაძლოა საბოტაჟისა და აჯანყებების გარეშე ნაკლებრისკიანი არაძალადობრივი მეთოდების მიღება იყოს საკმარისი, რათა დავარღვიოთ მტრის სიმშვიდე და ბრძოლის სურვილიც ძლიერი დარჩეს. უკვე ვახსენე უკრაინასთან მიმართებაში რამდენიმე ვარიანტი და ისტორიული მაგალითებით კიდევ შეიძლება ამ მეთოდების შესწავლა.

[19] Claus Bundgård Christensen et al., Danmark Besat: Krig Og Hverdag 1940-45, 3. reviderede udgave ed. (København: Information, 2009).

სახალხო გაფიცვა კოპენჰაგენში, 1942 წელი

დანიაში მეორე მსოფლიო ომის დროს, თავისუფლების საბჭომ, რომელიც კოორდინაციას უწევდა წინააღმდეგობის მოძრაობას, მოამზადა შიდა ანგარიში, სადაც ნათქვამია, რომ გაფიცვები უფრო მეტად აზარალებდა გერმანიის ომისუნარიანობას, ვიდრე აჯანყებები და საბოტაჟი. ეს შეფასება დაიწერა 1944 წლის ცნობილი მოვლენის - „სახალხო გაფიცვის“ მერე, როცა წინააღმდეგობის მოძრაობა საბოტაჟის მეთოდს წლების განმავლობაში იყენებდა.[20] თუმცა, ეს შეფასება თითქმის არაა ცნობილი დანიაში, სადაც გმირული საბოტაჟის შესახებ ნარატივი კვლავ დომინანტურია.[21]

[20] ლენარტ ბერგფელდტი, „სამოქალაქო წინააღმდეგობის გამოცდილებები: დანიის მაგალითი, 1940-1945 წლები,“ (PhD, უპსალას უნივერსიტეტი, 1993).
[21] მაიკენ ჯულ სორენსენი, “დანიაში მეორე მსოფლიო ომის დროს არაძალადობრივი წინააღმდეგობის კვლევის დიდება და სიმარტივე," წინააღმდეგობის კვლევების ჟურნალი 3, ნომერი. 1 (2017).

დანიის თავისუფლების საბჭოს წევრები ოკუპაციის შემდეგ

სკეპტიკოსი: კარგი, საინტერესო იყო დანიის მაგალითის მოსმენაც და საბოტაჟის როლთან დაკავშირებით ნიუანესების გაგება, მაგრამ შენს საყვარელ კვლევასთან დაკავშირებით იმდენი პრობლემაა და კიდევ არ გიპასუხია ჩემს კითხვაზე - რატომ ფიქრობ, რომ არაძალადობრივი გზა უკრაინისთვის საუკეთესო გამოსავალია?

მაიკენი: დავაზუსტებ - ჩენოვეთი და სტეფანის კვლევა ჩემი საყვარელი ნაშრომი არაა და ჩემთვის საინტერესოა არა ზუსტი ციფრები, არამედ ზოგადი ტენდენციაა, რაზეც ამ კვლევაშია საუბარი. ჩემთვის ეჭვგარეშეა რომ 1900 წლიდან დიქტატორების და ოკუპანტების დამარცხებაში არაძალადობრივმა გზამ გაცილებით მეტი შედეგი აჩვენა, ვიდრე ძალადობრივმა მეთოდებმა. ჩენოვეთიც საინტერესოდ მსჯელობს, რა შეიძლება იყოს ბოლო პერიოდში არაძალადობრივი კამპანიების წარმატების რეიტინგის შემცირების მიზეზი. მისი თქმით, ერთ-ერთი ფაქტორი არის ის, რომ ავტორიტარული და ოკუპანტი

რეჟიმებიც სწავლობენ და აკვირდებიან პროცესებს.[22] წარსულში, ალბათ, დიქტატორები არ უფრთხოდნენ არაძალადობრივ მოძრაობებს, რადგან ისინიც პოპულარული მითების მსხვერპლი იყვნენ და სჯეროდათ, რომ მხოლოდ ძალადობას შეუძლია მიგვიყვანოს რეალურ ცვლილებამდე. დღეს მათ ნახეს, რომ ერთმანეთის მიყოლებით რეჟიმები იშლება არაძალადობრივი წინააღმდეგობების შედეგად. ეს ნიშნავს, რომ ამჟამინდელ დიქტატორებს ეშინიათ არაძალადობრივი გაერთიანებების და თავიანთ რეპრესიებს იწყებენ უფრო ადრე, უფრო ძლიერად, ვიდრე ადრინდელი დიქტატორები. რუსეთის ხელისუფლება ამის ძალიან კარგი მაგალითია, რომლის შესახებაც, იმედი მაქვს, მოგვიანებით უფრო მეტს ვისაუბრებთ.

დიქტატორები რასაც სწავლობენ, არის ოპოზიციური მოძრაობების კონტროლი გარედან, მაგრამ ჩენოვეთიც მიუთითებდა წარმატების რეიტინგის ვარდნის სხვა შესაძლო ახსნაზე, რაზეც თავად ამ მოძრაობებმა იქონიეს გავლენა. უპირველეს ყოვლისა, ჩენოვეთის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვიხილეთ 2010 და 2020 წლების შთამბეჭდავი მასობრივი საპროტესტო შეკრებები, საყოველთაო ტენდენცია არის ის, რომ ეს მოძრაობები მცირდებოდა პიკის დროს წინა ათწლეულების არაძალადობრივ მოძრაობებთან შედარებით. ეს არის მთავარი ცვლილება, იქიდან გამომდინარე, რაც ჩენოვეთისა და სტეფანის პირველმა კვლევამ აჩვენა, რომ არაძალადობრივი მოძრაობების წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი იყო მისი უნარი, მოეხდინა მოსახლეობის დიდი რაოდენობის მობილიზაცია.

ჩენოვეთი ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ბოლოდროინდელი კამპანიები, ძირითადად, მასობრივ დემონსტრაციებს ეყრდნობოდა, რაც მათ გაცილებით მოწყვლადს ხდის რეპრესიისადმი, ვიდრე წინააღმდეგობის ის მოძრაობები, რომლებიც საკუთრ თავში მოიცავენ არაძალადობრივი მეთოდების უფრო მეტ რეპერტუარს, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. არათანამშრომლობის ამ აქციების

[22] იხილეთ ასევე: ვილიამ უმცროსი დობსონი, The Dictator's Learning Curve: Inside the Global Battle for Democracy, პირველი გამოცემა. (ნიუ-იორკი: Doubleday, 2012).

რეპერტუარზე დამატებით გაცილებით დიდი შანსი ჩნდება, რომ რეჟიმს ან დამპყრობელს მიადგეს ეკონომიკური ზარალი. მესამე ფაქტორი, რაზეც ჩენოვეთი მიუთითებს, არის ის, რომ ბოლოდროინდელი მოძრაობები ეყრდნობოდა წინააღმდეგობების ციფრულ სივრცეში დაორგანიზებას, რაც მონაწილეებს ფარული თვალთვალისადმი მოწყვლადს ხდის. ზეინებ თუფექჩი კიდევ ერთი მკვლევარია, რომელიც ასევე წერდა ამ კონკრეტულ საკითხზე, სადაც აღნიშნავდა, რა ძალისხმევა სჭირდება ხალხის დიდი მასების მცირე დროში შეკრებას. ინტერნეტამდე ეპოქაში მოძრაობები იძულებული იყვნენ, შეექმნათ ინფრასტრუქტურა ხალხის შესაკრებად, რაც ქმნიდა ხანგრძლივვადიან მყარ მოძრაობებს. დღესდღეობით მსგავსი წინააღდეგობა სხვანაირად უნდა შეიქმნას. ე.ი. მოძრაობებს სჭირდებათ გაიაზრონ, რომ საკმარისი არაა მხოლოდ ხალხის ერთად შეკრება პოლიტიკური ზეწოლის შესაქმნელად.[23]

ბოლო ფაქტორი, რაზეც ჩენოვეთი მიუთითებს თავის სტატიაში, არის ის, რომ დღესდღეობით უფრო მეტი მოძრაობა მოიცავს საკუთარ თავში რადიკალურ ფლანგებს, რომლებიც ჩართულები არიან ძალადობაში, ამით კი ძირს უთხრიან არაძალადობრივ დისციპლინას და საფუძველს აძლევენ რეჟიმებს, გაამართლონ საკუთარი ძალადობრივი რეპრესიები. ზოგიერთი ასეთი ძალადობა ორკესტრირებულია მთავრობის აგენტების მიერ, რადგან ასეთი ქმედება შემდეგ საშუალებას აძლევს რეჟიმს, გაამართლოს ყველანაირ წინააღმდეგობაზე თავდასხმა. თუმცა, ამ ყველაფერზე იმიტომ ვსაუბრობთ, რომ მოძრაობებმა, მათ შორის - უკრაინაში, სამომავლოდ ისწავლონ ამ მაგალითებით და გამოიყენონ გამოცდილება, როცა დაიწყებენ დაორგანიზებას, სტრატეგიის შემუშავებას და სწავლებას. ამდენად, მომავალი მოძრაობების მონაწილეებს შეუძლიათ, კარგად გაიაზრონ არაძალადობრივი კამპანიების უნიკალური ლოგიკა, რომელიც სრულიად განსხვავდება საომარი ლოგიკისგან.

[23] ზეინებ ტუფექჩი, ტვიტერი და ცრემლსადენი გაზი: ქსელური პროტესტის ძალა და სიმყიფე (New Haven: Yale University Press, 2017).

სკეპტიკოსი: რას გულისხმობ?

მაიკენი: უიარაღო ბრძოლა ეფუძნება ლოგიკას, რომ შეიარაღებული მხარე, ამ შემთხვევაში - ოკუპანტი ძალა, და უიარაღო მხარე მოქმედებენ სხვადასხვა მეთოდებით. ჯინ შარპი, რომელიც ზემოთ ვახსენე, საუბრობს „პოლიტიკურ ჯიუ-ჯიცუზე“. როგორც სავარაუდოდ იცი, ჯიუ-ჯიცუში და ზოგიერთ სხვა აზიურ საომარ ხელოვნებაში შენ იყენებ ოპონენტის ძალას მის წინააღმდეგ. თუ ის თავს დაგესხმება მთელი ძალით, შენ მთელ ამ ძალას დაუბრუნებ უკან შენი კონტრ-მოძრაობით, ისე, რომ ის დაკარგავს ბალანსს და ეცემა. იგივეა უიარაღო ბრძოლის ლოგიკაც. რუსეთის საოკუპაციო ძალა როცა თავს ესხმის უიარაღო მოწინააღმდეგეებს მთელი რეპრესიული ძალით და ხოცავს მათ, ეს ძალა უკან უნდა დაუბრუნო შემხვედრი ცეცხლივით. არაძალადობრივი მეთოდების კიდევ ერთმა მკვლევარმა, ბრაიან მარტინმა კიდევ უფრო განავრცო შარპის თეორია და ჩაიხედა დინამიკაში, როგორ შეიძლება აქციო თავდასხმა შემხვედრ ცეცხლად.[24] მაგალითად - აჩვენო რეალობა მას, ვისაც აღელვებს რუსეთის ხელისუფლების ქმედება, რათა შეშფოთდნენ. ახლა დასავლეთში ხალხი უკვე შეშფოთებულია. ამიტომ ისინი აღარ არიან შენი სამიზნე. ახლა უნდა ეკონტაქტო რუსეთში მცხოვრებ ადამიანებს, რომლებიც შესაძლოა ახლა ინდიფერენტულები არიან ან მხარს უჭერენ პუტინის რეჟმს. ასევე უნდა ესაუბრო იმ ქვეყნებს, რომლებიც არ აკრიტიკებენ რუსეთის ხელისუფლებას. ასეთი ქვეყნებია: ბრაზილია, ჩინეთი, ინდონეზია და სამხრეთ აფრიკა.

სკეპტიკოსი: საინტერესოა და მინდა მეტი გავიგო ამის შესახებ. მაგრამ პირველ რიგში, გთხოვ, დავუბრუნდეთ რისკის თემას, რადგან ვფიქრობ, ეს საკმარისად არ განვიხილეთ.

[24] ბრაიან მარტინი, Justice Ignited: The Dynamics of Backfire (Lanham: Rowman & Littlefield, 2007).

უიარაღო ბრძოლა, როგორც სარისკო ექსპერიმენტი

სკეპტიკოსი: ჩვენ ცოტა უკვე ვისაუბრეთ რისკებზე და იმ მეთოდზე, თუ ხალხს როგორ შეუძლია დაორგანიზდეს გაფანტვის გზით, რათა თავდასხმის ნაკლები სამიზნე გახდეს. თუმცა, შენი მთელი არგუმენტი ეყრდნობა ხალხის სიმამაცეს, რომ ჩვეულებრივი ადამიანები ბედავენ წინააღმდეგობას. რა მოხდება თუ უკრაინის მოსახლეობა იმდენადაა დაშინებული, რომ ვერ შეძლებს წინააღმდეგობას? რუსული რეჟიმი ზეწოლას მოახდენს მსგავსი წინააღმდეგობის ყველა ლიდერზე და დახოცავს კიდეც მათ.

მაიკენი: უიარაღო წინააღმდეგობა მოითხოვს სიმამაცეს და ასევე - მსხვერპლსაც, როგორც მიმდინარე ომი საჭიროებს მსხვერპლს. ამჟამად ბევრი ადამიანი ამხნევებს ახალგაზრდა მამაკაცებს, რომლებიც მზად არიან სიცოცხლე შესწირონ უკრაინას, როგორც ჯარისკაცებმა. მე ნამდვილად ვერ ვხედავ განსხვავებას ამ ორ მსხვერპლშეწირვას შორის. ორივე შემთხვევაში, მზად ხარ წახვიდე რისკზე იმისთვის, რაც გჯერა, რომ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შენი სიცოცხლე, მაგრამ ასევე გაქვს იმედი, რომ ომიდან ცოცხალი დაბრუნდები. მართალია, უიარაღო წინააღმდეგობა მოითხოვს მსხვერპლს, მაგრამ ალბათობა იმისა, რომ საჭირო გახდება ადამიანური სიცოცხლის დაკარგვა, ნაკლებია, ვიდრე ომის დროს. ასევე, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს უამრავი აქტივობა, რითაც ჩვენ - უცხოელებს შეგვიძლია დავეხმაროთ უიარაღო ბრძოლას უკრაინაში. ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მოვლენა ბოლო ათწლეულების მშვიდობის მშენებლობის საქმხიანობაში იყო საერთაშორისო მისიების (International Accompaniment) ანუ „უიარაღო პირადი დაცვის“ სხვადასხვა ექსპერიმენტები, რაც უკვე ხორციელდება უკრაინის ომის წინა ხაზზე. საერთაშორისო მისიების მასშტაბური ტესტირება არ განხორციელებულა ოკუპაციის დროს. თუმცა, ვფიქრობ, რომ მას აქვს უზარმაზარი პოტენციალი და პუტინის მთავრობა მოწყვლადია მსგავსი სახის მეთოდების მიმართ, რაც

გულისხმობს მის გამომზეურებას, თუ მას ახორციელებენ მართალი ადამიანები.

სკეპტიკოსი: ძალიან გულუბრყვილოა ამტკიცო, რომ შეგიძლია ვინმეს დაცვა, როცა არ გინდა იარაღის გამოყენება და თავდასხმელისთვის ზიანის მიყენება. გულწრფელად მეპარება ეჭვი, რომ შენი „უიარაღო მცველები“ რამეს შეცვლიან.

მაიკენი: ვფიქრობ, ყველა ქალი, რომელსაც ერთხელ მაინც უგრძვნია შიში ღამით ქუჩაში სიარულისას, გაიგებს ამ ლოგიკას. თუ გეშინია, უსაფრთხოება მოდის ერთად ყოფნით და არ უნდა იარო მარტომ, უნდა დაიყენო გვერდით მეგობარი.

უიარაღო ბრძოლის დროს, იქნებიან ლიდერები და სხვადასხვა დონეზე ჯგუფები, მაგალითად - გაერთიანებები, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ გაფიცვებს, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ესენი არიან ახალგაზრდული ორგანიზაციები, სათემო ორგანიზაციები, რელიგიური ორგანიზაციები და ა.შ. თუკი რომელიმე მათგანი გახდება რეპრესიის მსხვერპლი, იქნება მანევრირების შესაძლებლობა, როცა ადგილზე იქნებიან საერთაშორისო დამკვირვებლები. დამკვირვებლებს თავისთავად არაფრის პრევენცია შეუძლიათ, მაგრამ ქმნიან გარანტიას, რომ რეპრესიები შეუმჩნეველი არ დარჩება. ისინი მოამზადებენ ანგარიშებს და აღრიცხავენ უიარაღო ბრძოლაში ჩართული ადამიანების მიმართ ჩადენილი თითოეული თავდასხმის, შევიწროების, გაუჩინარების ან მკვლელობის ფაქტს. მათ მიერ მომზადებულმა ანგარიშებმა, შესაძლოა, განსაკუთრებული როლი შეასრულოს მოგვიანებით სასამართლო განხილვებისას. თუმცა, ეს არაა მყისიერი შედეგი. ეს ნიშნავს, რუსეთის საოკუპაციო ადმინისტრაციას ეცოდინება, რომ მათ აკვირდებიან და იძულებული გახდება, ბევრ შემთხვევაში, უკან დაიხიოს. თავის მხრივ, უიარაღო მოწინააღმდეგეებს საშუალება ექნებათ, დრო მოიგონ და უკეთესად დაორგანიზდნენ საბრძოლველად.

სკეპტიკოსი: მაგრამ რუსი ოკუპანტები რატომ შეიკავებენ რამეზე თავს? უამრავი დოკუმენტი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ რუსეთი სჩადის ომის დანაშაულებს და ხოცავს მშვიდობიან მოსახლეობას, სასტიკად უსწორდება ხალხს და თავს ესხმის

დამოუკიდებლად ორგანიზებულ შეკრებებს როგორც რუსეთში, ისე ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

მაიკენი: დიახ, მართალია. და მაინც, ეს მკვლელობები, ძირითადად, იმ დროს ხდება, როცა ჯარისკაცებს ჰგონიათ, რომ ვერავინ აღმოაჩენს ამ ფაქტებს ან პასუხს არ მოსთხოვენ ამის გამო. თუმცა, ახლა ჩვენ ვსაუბრობთ ოკუპაციაზე. ეს საკმაოდ განსხვავებული ვითარებაა, როცა ოკუპანტები ცდილობენ გარკვეული ლეგიტიმურობის შენარჩუნებას. ასეთ ვითარებაში, ძირითადად, შესაძლებელია უფრო მეტი გამჭვირვალობა, ვიდრე მიმდინარე ომის პირობებში. ასევე, გაცილებით რთულია მშვიდობიანი მოქალაქეების მკვლელობაც. თუნდაც იმას გათვალისწინებით, რომ რუსეთის მმართველი რეჟიმი იყენებს მასობრივი თვალთვალის მეთოდს ნებისმიერი შეკრების წინააღმდეგ. რეპრესიებსაც აქვს თავისი ვადა. რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს ისე, რომ ხალხში არ გამოიწვიოს აღშფოთება შინ თუ საზღვარგარეთ მათ მხარდამჭერებს შორის.

სკეპტიკოსი: შეუძლებლად მიმაჩნია ეს ყველაფერი, მაგრამ მაინც გისმენ. ვის მოუნდება ასეთი სარისკო საქმე ჩაიდინოს?

მაიკენი: გაიხსენე, რა ვისაუბრეთ ჩვენ არაძალადობის უნიკალურ დინამიკასთან დაკავშირებით. საჭიროა ზეწოლის გაძლიერება მათზე, ვინც ახლა ეხმარება რუსეთს, ან სულ მცირე, არ აპროტესტებს რუსეთის ქმედებას. ასეთია სამხრეთ აფრიკა, ბრაზილია და ინდონეზია. მათი მოქალაქეები იქნებოდნენ იდეალური დამკვირვებლები და საერთაშორისო მისიის წევრები ოკუპირებულ უკრაინაში. ახლა ეს ექსპერიმენტი იქნებოდა, ვინაიდან საერთაშორისო წარმომადგენლობა სხვა კონტექსტში გამოიყენება. მოგიტან რამდენიმე მაგალითს ლათინური ამერიკიდან, სადაც ხალხი, რომელსაც სხვებიც უდგნენ გვერდით, ცალსახად აცხადებდა, რომ ამ მხარდაჭერის გარეშე დღეს ცოცხლები აღარ იქნებოდნენ.[25]

[25] ლაიამ მაჰონი და ლუის ენრიქე ეგურენი, უიარაღო დამცველები: საერთაშორისო მისია ადამიანის უფლებების დასაცავად (West Hartford, Conn: Kumarian Press, 1997).

შემთხვევა, რომელმაც ნამდვილად მოახდინა ცვლილება როგორც უიარაღო თანმხლებ პირთა მისიის „აღმოჩენამ“, ეხება ორგანიზაციის *მოწმეები მშვიდობისთვის* (Witness for Peace) მიერ აშშ-ის მოქალაქეების გაგზავნას ნიკარაგუაში სანდინისტასა და კონტრასს შორის 1980-იანი წლების ომის დროს. კონტრასს, რომელიც ებრძოდა დემოკრატიულად არჩეულ სოციალისტურ მთავრობას, ზურგს უმაგრებდა აშშ-ის მთავრობა, რომელიც უგზავნიდა იარაღს და წვრთნიდა მათ წევრებს. ამდენად, აშშ-ის მოქალაქეები ჩავიდნენ ნიკარაგუაში, რათა საკუთარი თვალით ეხილათ იმ ომის შედეგები, რომელშიც საკუთარი მთავრობაც იყო ჩართული. მათი იქ ყოფნის დროს, კონტრასი იძულებული იყო, თავშეკავებულად ემოქმედა, ვინაიდან ღელავდნენ, თუ რა შეიძლებოდა მოყოლოდა ნიკარაგუაში მცხოვრები აშშ-ის მოქალაქის მკვლელობას. იმ სცენარში, რომელსაც მე ვთავაზობ უკრაინას, რუსებს არ ექნებათ სურვილი, მოკლან ბრაზილიელი, ინდონეზიელი ან სამხრეთ აფრიკელი მოქალაქე, რომელიც უკრაინაში ჩავიდოდა დამკვირვებლად.

დაახლოებით იმავე დროს, როცა ორგანიზაციამ *მოწმეები მშვიდობისთვის* აშშ-ის მოქალაქეები ნიკარაგუაში გაგზავნა, ორგანიზაციამ - *მშვიდობის ბრიგადები* თავისი პირველი მოხალისეები გაგზავნა გვატემალაში, რომელსაც მართავდა სამხედრო დიქტატურა აშშ-ის მხარდაჭერით. გვატემალას ხელისუფლება ავიწროებდა და კლავდა უფლებადამცველ აქტივისტებს. ამავე დროს ცდილობდა შეენარჩუნებინა „ცივილური“ სახე. დასავლეთის ქვეყნებიდან საერთაშორისო მოხალისეების ჩასვლა უზრუნველყოფდა გარკვეულ დაცვას. ხშირად ისინი თან დაყვებოდნენ რისკის ქვეშ მყოფ მოქალაქეებს 24/7 დროის რეჟიმში. მიზეზი, რის გამოც მოხალისეები

უზრუნველყოფდნენ უსაფრთხოებას, არ იყო დაკავშირებული მათ ფიზიკურად ბრძოლის უნართან, არამედ მათი ადგილზე ყოფნა წარმოადგენდა ადგილზე საერთაშორისო მეთვალყურის არსებობას. ისინი თუ გახდებოდნენ თავდასხმის და ძალადობის მოწმე, დაუყოვნებლივ ატყდებოდა განგაში მათ ქსელში და დასავლეთის ქვეყნების საელჩოებში. *მოწმეები მშვიდობისთვის* და *მშვიდობის ბრიგადები* ეყრდნობოდნენ მათ ცოდნას კონკრეტულ ადგილებში არსებული უნიკალური დინამიკის შესახებ. თუმცა, 1980-იანი წლებიდან კონცეფცია განვითარდა მნიშვნელოვნად და უფრო მეტი ორგანიზაცია ჩაერთო წარმომადგენლობის უზრუნველყოფაში. ორგანიზაცია *არაძალადობრივი სამშვიდობო ძალები/Nonviolent Peaceforce* გახდა ძალიან პროფესიონალი ამ სფეროში. მათ მოხალისეების ნაცვლად უკვე ჰყავთ ანაზღაურებადი თანამშრომლები ველზე. ეს ორგანიზაცია უკვე მუშაობს უკრაინის ნაწილში, რომელსაც აკონტროლებს უკრაინა - შედარებით უსაფრთხო ადგილებზე, წინა ხაზებზე ან იქ, სადაც რუსულმა ჯარმა უკან დაიხია. ისინი ეხმარებიან ადგილობრივ მოხალისეობრივ ქსელებს, მაგალითად - რისკის ქვეშ მყოფი ოჯახების გამოყვანაში. იმ სცენარში, რაზეც მე ვსაუბრობ, ოკუპირებულ უკრაინაში საერთაშორისო წარმომადგენლობის შესახებ, სიტუაცია რა თქმა უნდა, განსხვავებულია. თუმცა, არსებობს უამრავი შესაძლებლობა, რომ საერთაშორისო წარმომადგენლობის პრაქტიკა უფრო მეტად დაიხვეწოს.

სკეპტიკოსი: მაგრამ პუტინის რეჟიმი არასდროს დაუშვებს მსგავს დამკვირვებლებს უკრაინის დაპყრობილ ტერიტორიებზე. რატომ იზამენ ამას?

მაიკენი: მე ვფიქრობ, ეს კითხვა ასე უფრო უნდა დაისვას: პუტინის მთავრობა რა ვითარებაში იქნება იძულებული, დამკვირვებლები დაუშვას იმ ქვეყანაში, რომელიც ოკუპირებული აქვს? პასუხი არის, რომ ეს დამოკიდებულია, ვინ სთხოვს ამას. თუ ეს თხოვნა მოდის იმ ქვეყნიდან ან ქვეყანათა ჯგუფიდან, რომელზეც რუსეთია დამოკიდებული, მაგალითად - ბრაზილია და სამხრეთ აფრიკა, მაშინ რუსეთის მმართველი რეჟიმისთვის რთული იქნება მათთვის უარის თქმა. ვინაიდან ეს ქვეყნები დემოკრატიულია და

ასევე, სურთ, კარგი ურთიერთობა შეინარჩუნონ დასავლეთთან. ამ ქვეყნებს შესაძლოა ჰქონდეთ ინტერესი ასეთი მოთხოვნა დააყენონ, რითაც აჩვენებენ, რომ ახორციელებენ ზეწოლას რუსეთზე. თუმცა, როგორც ვთქვი, ასეთი რამე არასდროს უცდიათ ოკუპაციამდე და არც გარანტია არსებობს, რომ ისევე იმუშავებს ეს მეთოდი უკრაინაში, როგორც ნიკარაგუაში ან გვატემალაში იმუშავა. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ ცდად ღირს.

სკეპტიკოსი: კარგი, ე. ი. ესაა შენი პასუხი ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით, მაგრამ რას იტყვი იმ ტერიტორიების თაობაზე, სადაც უკრაინელი ჯარისკაცები ამჟამად იბრძვიან სამხედრო მეთოდებით ოკუპაციის წინააღმდეგ. უნდა დანებდნენ და დაყარონ იარაღი?

მაიკენი: მე ვფიქრობ, უნდა დაყარონ იარაღი, მაგრამ ნამდვილად არ უნდა დანებდნენ. უიარაღო წინააღმდეგობის აქამდე განხილული არც ერთი მეთოდი არ გულისხმობს დანებებას. ისინი გულისხმობს სხვა მეთოდებით ბრძოლის გაგრძელებას. მესმის, რომ კონტრ-ინტუიტურად ჟღერს ბევრი ადამიანისთვის, მაგრამ ეს არის ის, რაც ვიცით დღეს ომის შედეგების შესახებ და რასაც გვეუბნება უიარაღო მეთოდებით ოკუპაციასთან ბრძოლის შესაძლებლობები. ხანგრძლივ პერსპექტივაში, ეს შედის უკრაინელი მშვიდობიანი მოსახლეობის საუკეთესო ინტერესებში. როგორც უკვე ვიხილეთ, რუსული ოკუპაცია სასტიკია და ხალხი ნამდვილად არაა უსაფრთხოდ. მიუხედავად ყველაფრისა, ოკუპაციასთან უიარაღო ბრძოლაში უფრო ნაკლები ხალხი დაიღუპება, ვიდრე ომში. პირადად მე მირჩევნია გადავრჩე ცოცხალი და ოკუპაციის ქვეშ გავაგრძელო სხვა მეთოდებით ბრძოლა. ასევე, მირჩევნია ჩემი საყვარელი ხალხიც გადარჩეს. კი, ქვეყანა იქნება ოკუპირებული, მაგრამ ეს მირჩევნია, ვიდრე ადამიანები მოკვდნენ ომში. რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ვაცნობიერებ, რომ ეს ყველაფერი სპეკულაციაა, ვინაიდან უკრაინის არმია ასე ერთბაშად ვერ შეწყვეტს ბრძოლას საომარი მეთოდებით. მე ვცდილობ ავხსნა პაციფისტური პოზიციის ლოგიკა აქტიური არაძალადობრივი წინააღმდეგობის საფუძველზე.

სკეპტიკოსი: მაგრამ არ გაქვს უფლება, ვინმეს ასწავლო როგორ უნდა იბრძოლონ!

მაიკენი: სრულად გეთანხმები. ცხადია, ეს გადაწყვეტილება უკრაინელმა ხალხმა უნდა მიიღოს. თუმცა, შენ მკითხე - მე რას ვფიქრობ და ჩემს პასუხებს ვაფუძნებ იმას, რასაც სოციალური მეცნიერება გვასწავლის თანამედროვე საომარ ხელოვნებასა და უიარაღო ბრძოლის შესახებ.

სკეპტიკოსი: ჩემი აზრით, ეს ძალიან გულუბრყვილო პასუხია არა მარტო უკრაინასთან, არამედ ყველა ქვეყანასთან მიმართებაში, რომელიც გრძნობს საფრთხეს პუტინის რეჟიმის მხრიდან. შეწყვიტო შეიარაღებული ბრძოლა და გადაერთო უიარაღო ბრძოლაში ოკუპაციის წინააღმდეგ?

მაიკენი: ზუსტად ასეა, ეს პაციფისტის პოზიციაა.

სკეპტიკოსი: ანუ, ყველამ ნება უნდა მისცეს პუტინს ზედ გადაუაროს?

მაიკენი: ისევ გავიმეორებ, მე არასდროს მითქვამს, რომ ვინმეს უფლება უნდა მისცე გადაგიარონ. ყველა უნდა იყოს მზად ოკუპანტ ძალასთან საომრად. არა აქვს მნიშვნელობა, ვინაა დამპყრობელი. მოდი, წარმოვიდგინოთ ერთი წამით, რომ ეს რეალურად ასე ხდება: ქვეყანას, რომელიც ისეა კბილებამდე შეიარაღებული, როგორც რუსეთი, გარს არტყია ქვეყნები, რომლებსაც არ ჰყავთ ჯარი. როგორ ფიქრობ, რამდენი ხანი მოითმენს რუსეთის მოსახლეობა მილიარდების ხარჯვას შეიარაღებაზე იმ ქვეყნებთან სავარაუდო ომის დასაწყებად, რომლებიც არ შეიძლება განიხილო საფრთხედ? თუნდაც რუსეთმა გააგრძელოს მძიმედ შეიარაღება და ამას მიიჩნევდეს მეზობელი ქვეყნების დაპყრობის შესაძლებლობად, რამდენი რესურსი დასჭირდება მიზანსწრაფული, კარგად მომზადებული და სრულად უმართავი ერების ოკუპაციის შესანარჩუნებლად მთელ ევროპაში?

სკეპტიკოსი: არ ვიცი ეს შენი თამაშია. მაგრამ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი იქნება ცამდე მაღალი.

მაიკენი: მე უიარაღო ბრძოლას მიმდინარე ექსპერიმენტად მივიჩნევ, სადაც ადამიანები სწავლობენ ცდით და შეცდომებით. ადამიანებმა გადაიტანეს ომები საუკუნეების მანძილზე და არცერთ ომს არ მოუტანია კეთილდღეობა და ბედნიერება დედამიწის მოსახლეობის უმეტესი ნაწილისთვის. ამდენად, მე გთავაზობთ, შანსი მივცეთ უიარაღო ბრძოლას ომის და უსამართლობის წინააღმდეგ ერთი-ორი საუკუნე და მერე შევაფასოთ და ვნახოთ, რას მოაქვს უკეთესი შედეგი ხანგრძლივ პერსპექტივაში.

მე ყოველ დაკარგულ სიცოცხლეს ტრაგედიად ვთვლი, არ აქვს მნიშვნელობა ჯარისკაცია ის თუ მშვიდობიანი მოქალაქე. ბევრს მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი უფრო ადარდებს და უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე ომების უმეტესობაში მოქალაქეების მსხვერპლი გაცილებით მაღალია, ვიდრე ჯარისკაცებისა ბრძოლის ველზე. ომის შედეგებს გამანადგურებელი ეფექტი აქვს საზოგადოებაზე. ჩემი

შეხედულებით, რუსეთის თავდასხმის წინააღმდეგ გამოყენებულ ბრძოლის მეთოდებს ბევრი გვერდითი ეფექტი აქვს, რომელიც გადაწონის ყველაფერს, რაც კი შეიძლება ამ ომიდან სარგებელი მიიღო. უკრაინაში მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლი სხვა თანამედროვე ომებთან შედარებით დაბალიც რომ იყოს, ადამიანის სიცოცხლის პატივისცემა შემცირდა, ადამიანის უფლებები ირღვევა და ომთან დაკავშირებულ კორუფციას მძიმე შედეგები ექნება უკრაინისთვის.[26]

უბრალოდ ავიღოთ ერთი მაგალითი, უკრაინის სახელმწიფო ზეწოლას ახორციელებს თითოეული აქტორის საფუძვლიან წინააღმდეგობაზე სამხედრო სამსახურის მიმართ, რაც პაციფისტებს და ომის მოწინააღმდეგეებს ხდის უკიდურესად მოწყვლადს უკრაინაში დღეს, მხოლოდ იმის გამოც, რომ ამ

[26] ყოველთვის რთულია სანდო ციფრების მიღება, როცა საქმე ეხება ომის მსხვერპლებს. უკრაინის ომთან დაკავშირებით, ვიკიპედია აქვეყნებს მონაცემებს ომის ველზე და მშვიდობიან მოსახლეობაში არსებულ მსხვერპლზე სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით https://en.wikipedia.org/wiki/Casualties_of_the_Russo-Ukrainian_War#Russian_invasion_of_Ukraine. როცა საქმე ეხება უკრაინაში კორუფციას, იხ. ეს ნიუსი, რომელიც გამოქვეყნდა „გარდიანში“: შუან ვოლკერი, „უკრაინელებს ესმით რომ კორუფციას შეუძლია მოკლას: კიევი ძველ მტერს ებრძვის,“ გარდიანი, 19 სექტემბერი, 2023 წ.

თემაზე საუბრობენ. ამდენად, ვფიქრობ, დროა, შენც დასვა კითხვები მილიტარიზმის შედეგებთან დაკავშირებით.[27]

„შენ შეგიძლია მილიტარიზმი მიიჩნიო ინფექციად, რომელიც იწვევს პანდემიას“

პაციფიზმი, მილიტარიზმი და იარაღის ექსპორტი

სკეპტიკოსი: შენ აგრძელებ საუბარს მილიტარიზმზე როგორც პრობლემაზე და მხარს უჭერ უიარაღო ბრძოლას, მაგრამ ან უკრაინელებმა არ იციან ამის შესახებ, ან თუ იციან, ფიქრობენ, რომ ამისთვის უკვე გვიანია. სწორედ ახლა, ჩვენ უნდა დავეხმაროთ უკრაინელებს გადარჩენაში და მივცეთ ის იარაღი, რასაც ითხოვენ!

მაიკენი: არ გეთანხმები. ჩვენ არ უნდა გავუგზავნოთ იარაღი, რადგან ეს არ ეხმარება უკრაინელებს გადარჩენაში. ვთვლი, რომ ვალდებულები ვართ, ყველაფერი ვცადოთ მშვიდობის შესაქმნელად და დავეხმაროთ ყველა ხმას, რომელიც ითხოვს დემოკრატიას, ადამიანის უფლებებს, სამართლიანობას და ადამიანის სიცოცხლის პატივისცემას, არ აქვს მნიშვნელობა უკრაინელი იქნება ის, რუსი თუ სხვა. ჩემთვის უაზრობაა იარაღის გაგზავნა, როცა ვიცით, რომ ის მხოლოდ ტანჯვას ახანგრძლივებს და მშვიდობიანი თანაცხოვრების ნებისმიერ პერსპექტივას შეუძლებელს ხდის. მე ვერ დავუჭერ მხარს იარაღის გაგზავნას, როცა ვიცი, რომ ეს საშიშ გზაზე სიარულია.

---

[27] უკრაინის პაციფისტური მოძრაობა “მშვიდობის დღის წესრიგი უკრაინისთვის და მსოფლიოსთვის,“ მშვიდობის საერთაშორისო ბიურო https://ipb.org/peace-agenda-for-ukraine-and-the-world/; "უკრაინელი პაციფისტები: ომი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია,“ საერთაშორისო ორგანიზაცია ომის მოწინააღმდეგეები: https://wri-irg.org/en/story/2022/ukrainian-pacifists-war-crime-against-humanity.

სკეპტიკოსი: ვფიქრობ ძალიან პატერნალისტურად მსჯელობ, არა?

მაიკენი: შემიძლია შენთან ერთად ვიცხოვრო და მჯეროდეს, რომ პატერნალისტი ვარ, რადგან იარაღზე მთხოვნა არის მილიტარიზმის შედეგი. შეგიძლია იფიქრო მილიტარიზმზე როგორც ინფექციურ დაავადებაზე, რომელიც იწვევს პანდემიას. როცა შენს გარშემო ყველას სჯერა რომ სამხედრო რეაგირება ერთადერთი გამოსავალია, ძნელია მას წინ აღუდგე და თქვა: „ომი არასდროს არის ამ სიტუაციიდან გამოსავალი.“ თუ იარაღების ყუთში მხოლოდ ჩაქუჩი გიდევს, მსოფლიო იოლად დაემსგავსება ლურსმანს. მილიტარიზმი გაბატონებულია დღეს არსებულ ყველა საზოგადოებაში. მილიტარისტები ახდენენ ძალადობისა და შეიარაღებული ბრძოლის რომანტიზებას ფილმებში, ლიტერატურასა და პოლიტიკურ გამოსვლებში. ასეთ საზოგადოებებში თითქმის არ არსებობს ადგილი პაციფიზმისთვის ან ანტიმილიტარისტული ხმისთვის. სამყაროს ჩემს ნაწილში, რომელიც საკუთარ თავს თვლის ტოლერანტად, ლიბერალად და დემოკრატად, მედიაც კი, რომელიც ტრადიციულად ანტიმილიტარისტული იყო ან სულ მცირე, სკეპტიკურად უყურებდა ომებს, ახლა გაჰყვირის - „გაგზავნეთ მეტი იარაღი უკრაინაში.“ მეინსტრიმულ მედიას როცა უსმენ და მხოლოდ გესმის - „გაგზავნეთ მეტი იარაღი,“ და შენი მეზობელი ამბობს - „ცხადია მათ აქვთ უფლება, დაიცვან თავი საომარი საშუალებებით,“ დიდ სიმამაცეს მოითხოვს შენგან, რომ ამ დინების წინააღმდეგ იცურო. თუმცა, თუკი იარაღების ყუთში ერთზე მეტი იარაღი გაქვს, ან იცი, რომ არსებობს სხვა იარაღებიც, მაშინ იოლდება წარმოდგენა, რომ ჩაქუჩი შესაძლოა არ იყოს ყველაზე სწორი იარაღი ხის ორ ნაწილად გასაჩეხად. ხერხი შეიძლება უკეთესი იარაღი იყოს. იგივენაირად, შენ თუ ღელავ, რომ შენი ქვეყანა შეიძლება დაიპყროს მძიმედ შეიარაღებულმა მეზობელმა, საუკეთესო გზა საკუთარი თავის დასაცავად შეიძლება იყოს არა იმავე საშუალებებით საპასუხო ბრძოლა, არამედ ისეთი ინსტრუმენტების გამოყენება, როგორიცაა გაფიცვა და ბოიკოტი, რომლებიც შენი ინსტრუმენტების ყუთში ყველაზე ზემოთ გექნება შენახული.

იური შელიაზენკო, უკრაინის პაციფისტური მოძრაობიდან აპროტესტებს ღაზაში გენოციდს და იმ ისრაელელების დაპატიმრებას, რომლებმაც უარი თქვეს ომში მონაწილეობაზე, თებერვალი, 2024 წელი

სკეპტიკოსი: ვერც კი წარმოვიდგენ რას გულისხმობ „ინსტრუმენტებში.“ მოწინავე სამხედრო ძალაუფლების ქონა კონფლიქტების დასრულების საუკეთესო ინსტრუმენტია.

მაიკენი: არ მიკვირს შენი კომენტარი, რადგან თანამედროვე საზოგადოებაში ნაციონალიზმი და მილიტარიზმი ხელიხელჩაკიდებული დადიან და მილიტარიზმი დომინირებს სრულად. ჩვენ გვაქვს იარაღის უზარმაზარი წარმოება, საიდანაც მფლობელები დაუჯერებელ ფინანსურ სარგებელს იღებენ ომების საშუალებით და ომების მომზადებით. მილიტარიზმი დომინირებს ისტორიულ ჩანაწერებში, მედიაში და ა.შ. ჩემთვის ბუნდოვანი მიზეზის გამო, უამრავი ადამიანი იჯერებს, რომ ომი არის მშვიდობის დამყარების საუკეთესო გზა. მაგალითისთვის ავიღოთ დღევანდელი სიტუაცია ისრაელსა და პალესტინაში: მესმის, რომ ისრაელის მოსახლეობისთვის შოკისმომგვრელი იყო ისრაელის მშვიდობიან მოქალაქეებზე „ჰამასის“ თავდასხმა 2023

წლის 7 ოქტომბერს. აბსოლუტურად ვგმობ იმას, რაც „ჰამასმა“ ჩაიდინა! ჩემი ხედვით, უკვე ნათელი უნდა გამხდარიყო, რომ ყოველთვის ვგმობ ნებისმიერ ძალადობას, არ აქვს მნიშვნელობა, ვინ დგას ამის უკან. თანავუგრძნობ მსხვერპლებს და მათ ოჯახებს, რომლებმაც საშინელი დანაკარგი მიიღეს.

„ჰამასის“ თავდასხმამ ბიძგი მისცა ღაზაში შურისძიების ომის დაწყებას, რომელიც „ჰამასის“ მიერ ჩადენილ დანაშაულს პროპორციულად ძალიან აღემატება. მოკლულია ათასობით პალესტინელი მამაკაცი, ქალი და ბავშვი ღაზაში და მე იგივე თანაგრძნობას ვგრძნობ დაღუპულებისა და მათი ოჯახების მიმართ. ზემოთ ვისაუბრეთ, რომ უკრაინაში მშვიდობიან მოსახლეობაში არსებული მსხვერპლი უჩვეულოდ დაბალია თანამედროვე ომისთვის. ღაზაში კი მსხვერპლი საკმაოდ მაღალია. ისრაელის პოლიტიკოსებმა განაცხადეს, რომ ომის მიზანი იყო „ჰამასის“ „პირიდან მიწისა აღგვა“, მაგრამ ჩემთვის წარმოუდგენელია, ამდენ ადამიანს რატომ სჯერა, რომ ეს შურისძიების ომი სამართლიანი და საჭირო იყო. კიდევ უფრო ბუნდოვანია, რატომ სჯერათ, რომ ეს ომი აახლოებს სამომავლო მშვიდობას. პალესტინელები, რომლებიც დაიბომბნენ, არ აპირებენ მშვიდად ჯდომას და ბედთან შეგუებას. თითოეული ბომბი, რომელსაც ისრაელი აგდებს ღაზაში, აღვივებს უფრო მეტ სიძულვილს და კონტრშურისძიების სურვილს. ისრაელის არმიამ რომც შეძლოს „ჰამასის“ განადგურება, ახალი პალესტინური წინააღმდეგობის ორგანიზაციები ეტაპობრივად გამოჩნდება.

ისრაელს ღაზა და დასავლეთ სანაპირო დაპყრობილი აქვს 1967 წლიდან, რომელსაც მკაცრად გმობს გაერო. „ჰამასის“ თავდასხმა ამის შედეგია - უკანონო ოკუპაციის. საინტერესოა. რომ ამ ოკუპაციას არ მოჰყოლია საერთაშორისო სანქციები და ისრაელის იზოლაცია, რაც ხდება იმ უმრავლესი ქვეყნის მიმართ, რომლებიც იპყრობენ მეზობელს, მაგალითად - როგორც ვიხილეთ რუსეთის შემთხვევაში. მიზეზი, რის გამოც ისრაელს განსხვავებულად ექცევიან, რა თქმა უნდა, არის მეორე მსოფლიო ომის დროს ებრაელების წინააღმდეგ განხორციელებული ჰოლოკოსტი, რაც გახდა 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნის პირდაპირი მიზეზი. ისრაელის ჩამოყალიბების წინმდევი გარემოებების

გამო, ეს ქვეყანა უკიდურესად მილიტარისტულია. ისრაელის მოსახლეობის დიდ ნაწილს სჯერა, რომ ძლიერი სამხედრო შეიარაღება მათი საუკეთესო თავდაცვაა, მაგრამ მე არ მესმის მათი დასაბუთება. თუ ქვეყანა ათწლეულების მანძილზე არის ოკუპანტი, ოკუპირებულ ხალხს სძულს ისინი. როგორც უკრაინაში, ისინი ყოველგვარ მეთოდს გამოიყენებენ ოკუპაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. წლების შემდეგ, პალესტინელებმა სცადეს არაძალადობრივი და ასევე შეიარაღებული ბრძოლაც, მაგრამ არც ერთმა არ გაამართლა. თუმცა, ამ მარცხებს ხელი არ შეუშლია პალესტინელებისთვის, გააგრძელონ წინააღმდეგობა. თუ ისრაელელებს გაუმართლებთ, პალესტინელები მიხვდებიან, რომ მათი ყველაზე ძლიერი იარაღი არის არაძალადობრივი წინააღმდეგობა, მაგრამ ვშიშობ, რომ ეს არ არის ის, რაც პირველ ეტაპზევე მოხდება.

სკეპტიკოსი: ასე რომ, ეს კიდევ ერთი მაგალითია, სადაც შენი არაძალადობრივი მეთოდი არ მუშაობს...

მაიკენი: ბედნიერი ვიქნები ისრაელი-პალესტინის კონფლიქტზე შენთან უფრო დეტალურად სხვა დროს ვისაუბრო და განვიხილო ყველა შესაძლო ვარიანტი არაძალადობრივი ბრძოლის გასამართად, მაგრამ ახლა ამის დრო არაა. რაც ახლა მინდა ავხსნა, ისაა, რომ ოკუპირებული ხალხი ყოველთვის პასუხობს ბრძოლით და ამას გააგრძელებს. ვერავინ შეძლებს ხალხის ბრძოლის ჟინის მოკვლას თითოეული ადამიანის გენოციდის გზით დახოცვის გარეშე. ამდენად, თუ ისრაელელებს უნდათ მშვიდობა, მათ უნდა იპოვონ მეზობლებთან თანაცხოვრების გზა ურთიერთპატივისცემის საფუძველზე; სხვაგვარად ძალადობის ციკლი უბრალოდ გაგრძელდება. მშვიდობის კვლევების მთელი სფეროა, რომელიც მუშაობს შერიგებასა და მშვიდობიანი თანაცხოვრების მიმართულებით, საიდანაც შეგვიძლია ვისწავლოთ.[28] ისრაელში, არის რამდენიმე მამაცი ადამიანი,

[28] იხ. მაგალითად ეს კლასიკოსები: ჯონ პოლ ლედერაქი, მშვიდობის მშენებლობა: მდგრადი შერიგება გაყოფილ საზოგადოებებში (Washington, D.C.: United States Institute of Peace Press, 1997); ენდრიუ რიგბი, სამართალი და შერიგება: ძალადობის შემდეგ (Boulder, Colo.: L. Rienner, 2001); ანტონია ჰენდლერ ჩეიეზი და მართა მინოუ, წარმოიდგინე თანაცხოვრება: ძალადობრივი ეთნიკური კონფლიქტების შემდეგ ჰუმანიზმის აღდგენა (San Francisco: Jossey-Bass, 2003).

რომლებიც საუბრობენ ამაზე, მაგრამ ისინი წარმოადგენენ უმცირესობას. სადაც მილიტარიზმი ბატონობს, პაციფისტური ხმები ყოველთვის ისმის მილიტარიზმის და ომის გასაკრიტიკებლად. მიუხედავად იმისა, რომ ეს, უკიდურესად იშვიათია, პაციფისტები იბრძვიან, რომ მათი ხმა გაიგონონ. დღემდე პაციფისტური ხედვა მიიჩნევა „ნაივურად“ და ზოგჯერ მათ თვლიან „მოღალატეებად“. ასეა ისრაელშიც, როგორც სხვა ნებისმიერ მილიტარისტულ საზოგადოებაში.

სკეპტიკოსი: მოკლედ, მიუხედავად ყველაფრისა, შენ და სხვები რატომ აკეთებთ ამას?

მაიკენ: მე მხოლოდ ჩემზე შემიძლია ვისაუბრო და არა ყველა პაციფისტის სახელით. ჩემი აზრით, კაცობრიობა იმსახურებს, იცხოვროს ისეთ მსოფლიოში, სადაც კონფლიქტები გვარდება ძალადობის გარეშე და სადაც ჩვენ ვიბრძვით ერთმანეთის და ჩვენი საზოგადოებების მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის. სრულიად ვაცნობიერებ, რომ ჩემი სიცოცხლის მანძილზე ვერ მოვესწრები იმას, რომ პაციფისტურმა პოზიციამ გაიმარჯვოს, მაგრამ ვიღაცამ უნდა აცოცხლოს ეს იდეები, განსაკუთრებით - იმ დროს, როცა მილიტარიზმი მზარდად დომინირებს. ერთი გზა, რომ ომის ალტერნატიული გზები არ დავივიწყოთ, როცა მილიტარიზმი იზრდება, არის გავაგრძელოთ მასზე საუბარი და წერა საჯაროდ. თუნდაც მე მივეკუთნებოდე უმცირესობას და ვგრძნობდე, რომ კედელს ვეჯახები, ვთვლი, ჩემი ვალია, ყურადღება გავამახვილო სხვადასხვა შესაძლებლობებზე და სცენარებზე, თუნდაც დარჩეს ისინი სპეკულაციურად და ეყრდნობოდეს ვარაუდს - „რა იქნებოდა, ასე რომ ყოფილიყო“. საქმე როცა პაციფიზმს ეხება, ყველაზე გავრცელებული შეცდომა არის მისი პასიურობასთან გაიგივება, მაშინ, როცა იმედი მაქვს, შევძელი დამერწმუნებინე, რომ არაძალადობრივი მეთოდი გულისხმობს კონფლიქტში აქტიურად ჩართვას. ხალხი იწყებს წარმოდგენას, რომ მსოფლიო შეიძლება ნამდვილად იყოს სხვანაირი, მაგრამ ამისთვის, პირველ რიგში, საჭიროა ცვლილება. ცინიკოსების მხრიდან ჩემი ნაივურად ჩათვლა ძალიან მცირე

საფასურია ჩემთვის, განსაკუთრებით იმასთან შედარებით, რისი გადატანაც სხვა ადამიანებს უწევთ ომის შედეგად.

სკეპტიკოსი: როგორც პაციფისტი, ნამდვილად უნდა გძულდეს ჯარისკაცები, რომლებიც იბრძვიან იარაღით.

მაიკენი: მე დიდ პატივს ვცემ ყველას, ვინც იბრძვის იმისთვის, რისიც სწამთ, განსაკუთრებით - თუკი იბრძვიან ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და უმცირესობების უფლებების დასაცავად. მე რომ უკრაინაში ვცხოვრობდე და სამხედრო გზას ერთადერთ გზად ვთვლიდე ამ ღირებულებების დასაცავად, იმედია, მეც იარაღით ვიბრძოლებდი. თუმცა, ახლა რადგან ვიცი, რომ ეს არაა ერთადერთი გამოსავალი, ვერ წარმომიდგენია, ოდესმე შევუერთდე იარაღით ბრძოლას. ვცდილობ, ყოველთვის მახსოვდეს, რომ ჯარისკაცებიც არიან ომის და მილიტარიზმის მსხვერპლები. ბევრი მეომარი სახლში ტრამვებით ბრუნდება, რადგან ის სისასტიკეები, რაც მათ იხილეს ან ჩაიდინეს, ხშირად იწვევს ფსიქიკურ პრობლემებს, როგორიცაა პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD) და თვითმკვლელობისკენ მიდრეკილება. როგორც პაციფისტი, ჩემი მოწოდებაა, ვიბრძოლო მსოფლიოში სიძულვილის შესამცირებლად და არა გასაზრდელად.

სკეპტიკოსი: ყოლველთვის პაციფისტი იყავი?

მაიკენი: ეს ტერმინი აღმოვაჩინე დაახლოებით 13-14 წლის ასაკში. არ ვიცნობდი არცერთ პაციფისტს ან მილიტარიზმის მოწინააღმდეგეს და არ ვიცი, ეს იდეები საიდან მოვიდა. ბევრს ვკითხულობდი და გამოკვეთილი გრძნობა მქონდა, რომ ომი იყო არასწორი და უაზრო და რომ აუცილებლად იარსებებდა სხვა მეთოდებიც. 1989 წელს, 12 წლის ვიყავი და მამაჩემის გაზეთში ვკითხულობდი ჩინელი სტუდენტების მიერ ტიანანმენის მოედნის დაკავების ამბებს. ჩინელი სტუდენტები და მუშები პირდაპირ ებრძოდნენ ავტორიტარულ რეჟიმს და ითხოვდნენ დემოკრატიას. მოგვიანებით, იმ წელსვე, ბერლინის კედელი დაინგრა, რამაც დაასრულა ცივი ომი და ოპტიმიზმს გასაქანი მისცა. ტიანანმენის მოედანზე ტრაგედიით დასრულდა მოვლენები, როცა ჩინეთის მმართველმა რეჟიმმა სტუდენტები

და მუშები დახოცა. მიუხედავად ამისა, მე გავაცნობიერე ის ძალა, რაც ე.წ. ჩვეულებრივ ადამიანებს აქვთ. თუ ერთად დადგებიან, ხალხს შეუძლია გამოიწვიოს ყველაზე სასტიკი დიქტატურაც. შემთხვევით გადავაწყდი პაციფისტურ ჟურნალს ადგილობრივ ბიბლიოთეკაში და დავიწყე კითხვა პაციფიზმსა და არაძალადობაზე, რამაც გამინათა გონება. მერე ჩავერთე ადგილობრივ სამშვიდობო ჯგუფში და ვიპოვე თანამოაზრეები. მოგვიანებით კი, როდესაც არაძალადობრივი მოქმედების თეორიას ვსწავლობდი, ვიპოვე ჩემი შინაგანი გრძნობების გამომხატველი სიტყვები და რაც მეტს ვსწავლობ, მეტად თავდაჯერებული პაციფისტი ვხდები.

სკეპტიკოსი: ისე ჩანს, თითქოს ახლა ეძებ კვლევას, რომელიც მხარს დაუჭერს შენს შეხედულებას და ყველა დანარჩენს უარყოფს.

მაიკენი: მაშინ ძალიან ცუდი სოციოლოგიის მეცნიერი ვიქნები და არა მგონია, აკადემიაში ჩემმა კარიერამ დიდხანს გასტანოს. პირადი პოზიციის ქონა და ამაზე ღიად საუბარი, უბრალოდ, ნიშნავს, რომ მე მჭირდება ჩემი არგუმენტების გამყარება. მკვლევარებს, რომლებიც მხარს უჭერენ ომს და შეიარაღებულ ბრძოლას, ასევე აქვთ თავიანთი მოსაზრება, მაგრამ მათ იშვიათად ადანაშაულებენ მიკერძოებულობაში, ვინაიდან ისინი გამოხატავენ იმას, რაც „ყველამ“ იცის, რომ მართალია. ესეც ჩვენს საზოგადოებებში მილიტარიზმის გაბატონების შედეგია.

სკეპტიკოსი: უკრაინაზე როცა თავდასხმა მოხდა, ეჭვი არ გაგიჩნდა, რომ ომის შესახებ შენი წარმოდგენა არასწორი იყო?

მაიკენი: რა თქმა უნდა, ამან დამაფიქრა, რამე ხომ არ შეიცვალა ჩემს არგუმენტებში და ამიტომაც გვაქვს ახლა ჩვენ ეს საუბარი, მაგრამ რაც უფრო მეტს ვფიქრობ თუ რა ხდება, უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ ომი არაა გამოსავალი.

სკეპტიკოსი: მაგრამ სხვებმა, ვინც ასევე აკრიტიკებდა ომს, შეიცვალეს აზრი და ახლა მხარს უჭერენ ომს და იარაღის ექსპორტს.

მაიკენი: ვიცი. ისეთმა აგრესიამ, რაც არის რუსეთის შეჭრა უკრაინაში, პაციფისტებს შეიძლება შეაცვლევინოს აზრი. 1930-იანი წლების ესპანეთის სამოქალაქო ომმა პაციფისტები დააეჭვა საკუთარ შეხედულებებში და მხარს უჭერდნენ ესპანელი ფაშისტების წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლას, რადგან სხვა გზას ვერ ხედავდნენ. ასევე მოხდა 1930-იანი წლების ბოლოს და 1940-იან წლებში ევროპის ქვეყნებში ნაცისტური თავდასხმის დროს, რამაც პაციფიზმის მხარდაჭერა გაართულა.

სკეპტიკოსი: ანუ, შენ ჯიუტად რჩები შენს აზრზე, მაშინ როცა სხვები ღია იყვნენ აზრის შესაცვლელად?

მაიკენი: მიმაჩნია, რომ ადრეულ პერიოდში პაციფიზმი, ძირითადად, ეყრდნობოდა ინდივიდუალურ რწმენებს, როგორიცაა - „მე არ მინდა ვიღაცის სიცოცხლის მოსპობა.“ ხალხმა როცა გაიაზრა, რომ მათთვის ძვირფას ადამიანებს ესხმოდნენ თავს, მათაც უნდოდათ მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში და არ იცოდნენ ბრძოლის სხვა არანაირი მეთოდი. მართალია, ვიზიარებ მოსაზრებას, რომ ომის წარმართვა მორალურად არასწორი გადაწყვეტილებაა, მაგრამ პაციფიზმის მხარდასაჭერი ჩემი არგუმენტები მხოლოდ ინდივიდუალური რწმენის შედეგი არაა. ჩემი მთავარი სადარდებელი ის კი არაა, რომ თავი ავარიდო სხვების მკვლელობას, არამედ ესაა ის, რაც საზოგადოებამ ვიცით ძალადობაზე და კონფლიქტზე. აქამდე მე და შენ ცოტა ვისაუბრეთ სიკვდილიანობაზე, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი ვისაუბრეთ არაძალადობრივი მეთოდის ეფექტურობასა და ომის გამანადგურებელი შედეგების შესახებ. ეს ნიშნავს, რომ შენ შეგიძლია მთელი ძალისხმევა ჩადო არაძალადობრივ ბრძოლაში და ყურადღება გაამახვილო სამხედრო ბრძოლის პრობლემურ მხარეებზე, თუნდაც არ იყო დარწმუნებული, გინდა თუ არა გერქვას პაციფისტი ან ანტიმილიტარისტი. დღეს ჩვენ გვაქვს ცოდნა უიარაღო ბრძოლის შესახებ, რაც ადრე არ არსებობდა, მაგრამ ზოგიერთი ავტორი მას ეძახის „პრაგმატულ პაციფიზმს.“ „პრაგმატულ პაციფიზმში“ გულისხმობენ არაძალადობრივი მეთოდის პრინციპულ მხარდაჭერას, რომელიც არ ეფუძნება მორალურ არგუმენტებს, არამედ პოლიტიკის რეალისტურ აღქმას, რომელიც ითვალისწინებს არაძალადობის თანამედროვე

ცოდნასაც. ეს ავტორები ამტკიცებენ, რომ პაციფისტები კი არ არიან გულუბრყვილო და დაბნეული ადამიანები, არამედ მილიტარისტები არიან გულუბრყვილო, რადგან სჯერათ, რომ ომს შეუძლია მშვიდობის დამყარება. ამ ადამიანებს აქვთ არარეალისტური მოლოდინები იმაზე თუ რისი მიღწევაც შესაძლებელია ძალადობით.[29]

სკეპტიკოსი: ეს ნიშნავს, რომ შენ ოპტიმისტურად უყურებ პაციფიზმის მომავალს?

მაიკენი: როგორც ვთქვი, პაციფიზმის მხარდასაჭერად მორალური არგუმენტი არაა ისევე მნიშვნელოვანი, როგორც ადრე იყო. ალბათ, უფრო მეტად არარელევანტური ხდება იმის გაცნობიერება, პაციფისტი ხარ თუ არა. მე ჯერ კიდევ პაციფისტს ვეძახი ჩემს თავს, რადგან მორალური კომპონენტი ჩემთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, და არაძალადობრივი დისციპლინა არაძალადობრივი ბრძოლის ცენტრია. ჩემი აზრით, უფრო იოლი იქნება, მოძრაობამ შეინარჩუნოს არაძალადობრივი დისციპლინა თუ მორალური რწმენით უარს ამბობს ვინმესთვის ზიანის მიყენებაზე და ეს არაა მხოლოდ შედეგების თვლა. ვისაც ებრძვი, ის ხალხიც დიდი ალბათობით დაიჯერებს, რომ შენ გულწრფელი ხარ თუ დაინახავენ, რომ არაძალადობრივი ბრძოლისთვის შენი მონდომება ღრმაა და არა იმ მომენტისთვის არჩეული ტაქტიკური სვლა. ზოგჯერ არაძალადობრივი მეთოდისადმი პრინციპული და სტრატეგიული მიდგომები ერთმანეთს ეწინააღმდეგება თუ საჭირო ხდება პრინციპებსა და კარგ სტრატეგიებს შორის არჩევანის გაკეთება. ამავე დროს, არაძალადობრივი ბრძოლების ლიდერები, როგორებიც იყვნენ - განდი და მარტინ ლუთერ კინგი, რომლებიც ძალიან პრინციპულად მისდევდნენ არაძალადობრივ მეთოდს, ასევე იყვნენ დიდებული სტრატეგები. მათი შეხედულებები აჩვენებს, რამდენად ხელოვნურია პრინციპებსა და სტრატეგიებს შორის ზღვარი.

[29] დასტინ ელს ჰოუვესი, პაციფიზმის მარცხი და არაძალადობის წარმატება," პოლიტიკის პერსპექტივები 11, no. 02 (2013).

სკეპტიკოსი: კარგი, მოგვიანებით დავუბრუნდეთ თემას, თუ როგორ აღიქვამს მოწინააღმდეგე მხარე არაძალადობრივ აქციებს, მაგრამ შენ არ გიპასუხია ჩემს კითხვაზე პაციფიზმის მომავლის შესახებ. ოპტიმისტი ხარ?

მაიკენი: საქმე როცა ეხება მომავალს, მნიშვნელობა აქვს იმას, რამდენად შორ მომავალს გულისხმობ. თუ ჩვენ ვსაუბრობთ მომავალ ათწლეულზე, სამწუხაროდ, მე არ ვარ ოპტიმისტურად განწყობილი. ვერ ვხედავ, რომ უახლოეს მომავალში ომებს და უკრაინის, ღაზას და დასავლეთ სანაპიროს ოკუპაციას ბოლო მოეღება და ეს ომები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე განჭვრეტად მომავალში. თუმცა, ხანგრძლივ პერსპექტივაში მე ოპტიმისტი ვარ პაციფიზმისა და არაძალადობრივი ბრძოლის შესახებ. ფრთხილად უნდა ვიყოთ წინასწარ რამის მტკიცებისას, მაგრამ მჯერა, უფრო და უფრო მეტი ადამიანი გაიაზრებს მომავალ ათწლეულებში, რომ ომებს არ მოაქვს არანაირი შედეგი მშვიდობიანი თანაცხოვრების შესაქმნელად. შედეგად, ისინი მოძებნიან სხვა გამოსავალს და შთაგონებული იქნებიან არაძალადობრივი ბრძოლით და პაციფიზმით.

სკეპტიკოსი: კარგი, ახლა მინდა თემა შევცვალოთ და შევეხოთ იმ საკითხს, რომელიც უფრო საჭირბოროტო მგონია პაციფიზმისთვის. რას იზამ თუ ვინმე დაგესხმება თავს ან შენ ან შენთვის საყვარელ ადამიანებს ქუჩაში? უბრალოდ, მეორე ლოყას მიუშვერ და უფლებას მისცემს გაგაუპატიურონ და შენი საყვარელი ადამიანი მოკლან?

მაიკენი: არც ერთმა ჩვენთაგანმა არ ვიცით, როგორი რეაქცია გვექნება მსგავს სიტუაციებში, ვიდრე საკუთარ თავზე არ გამოვცდით. გაუპატიურების ბევრ მსხვერპლს არ შეუძლია მოძალადეს შეებრძოლოს და არა მგონია, ვინმემ ოდესმე დაადანაშაულოს ისინი, რატომ გაიყინენ შიშით. მყავს მეგობრები, რომლებმაც მოახერხეს დანებით შეიარაღებული თავდამსხმელების დამშვიდება, მაგრამ არ ვიცი, მეც ვიქნები თუ არა ასეთი მამაცი მსგავს სიტუაციაში. მე რომ თავს დამესხნენ, ნამდვილად მინდა მჯეროდეს, რომ ვეცდები მთელი ძალით გაქცევას და თუ ეს არ იქნება საკმარისი, ვეცდები, დავიცვა

საკუთარი თავი. თუ მექნება შანსი, მეც გამოვიყენებ რამე ფიზიკურ ძალას, რომ შევაჩერო თავდამსხმელი. მადლობელი ვიქნები თუ ვინმე გადამარჩენს. ამ კითხვით, მე არ ვიზიარებ იმ პაციფისტების მოსაზრებას, ვინც ფიქრობს, რომ ნებისმიერი ძალადობა არასწორია, მათ შორის პირადი თავდაცვაც. შეიძლება მათ მე დამაბრალონ, რომ ნამდვილი პაციფისტი არ ვარ. თუმცა, ჩემი აზრით, როცა ვინმეს თავდაცვის მიზნით შიშველი ხელით ურტყამ ან ცდილობ, თვალები ამოთხარო, ეს ქმედება ძალიან განსხვავება მკვლელობისგან.

სკეპტიკოსი: გამოდის, შენ ამართლებ თავდაცვის დროს ძალადობას?

მაიკენი: ადამიანებს შორის ძალადობაზე როცა ვსაუბრობთ, ფიზიკური ძალის პროპორციული გამოყენება თავდამსხმელისგან თავდასაცავად, ალბათ, საჭიროა, მაგრამ, ჩემი უსაფრთხოების საფუძვლად მიმაჩნია მშვიდობიან საზოგადოებაში ცხოვრება, სადაც ხალხის უმრავლესობა არ ხდება თავდასხმის მსხვერპლი თავიანთი ცხოვრების მანძილზე და სადაც იარაღი ძალადობაა და შესაბამისად - იშვიათად სანახავიც. მე თუ ვთვლი, რომ ჩემი უსაფრთხოების გარანტი არის ფიზიკური ძალით საკუთარი თავის დაცვა, მაშინ საომარ ხელოვნებაში ვივარჯიშებდი ან მოვიპოვებდი უფლებას ვატარო იარაღი. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ შეიარაღებული თავდაცვა კონტრპროდუქტიულია, ვინადან ეს ნიშნავს, რომ საზოგადოებაში დიდი რაოდენობით იარაღია და იზრდება ადამიანების მკვლელობის რისკი. აქ ასევე არის პარალელი მილიტარიზმის რისკთან, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, როგორ იქცევა მილიტარიზმი პანდემიად. თუ მუდამ გესმის, რომ იარაღი არის გამოსავალი, მაშინ ივიწყებ ყველა სხვა მეთოდს. უსაფრთხოება იქმნება იმ სოციალური ურთიერთობებით, რომლის ნაწილი შენც ხარ, ასევე მნიშვნელოვანია გქონდეს მეზობლებთან კომუნიკაციის შესაძლებლობა და პატივს სცემდე მათ. თუნდაც გქონდეთ უთანხმოებები, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, სიტუაცია გააანალიზო მათი პერსპექტივითაც, რათა უკეთ გაიგო, რატომ იქცევიან ისე, როგორც იქცევიან.

სკეპტიკოსი: მაგრამ შენი დასახელებული მაგალითი, როცა თავდამსხმელის შესაკავებლად ფიზიკურ ძალას იყენებ, იგივეა,

რაც ახლა უკრაინაში ხდება - პატარა ქვეყანას თავს დაესხა დიდი მოძალადე!

მაიკენი: ომზე როცა ვსაუბრობთ, ეს სრულიად სხვა მასშტაბია და შედეგების წინასწარ გათვლაც ძალიან რთულია. მე თუ დამესხმებიან თავს და იქვე დაგდებულ ქვას გამოვიყენებ თავის დასაცავად, მე ზუსტად ვიცი, რომ ამით ჩემზე თავდამსხმელს დავარტყამ და სხვას არავის. ომში ვერასდროს გეცოდინება, სად დაეცემა შენი ჭურვები და ვინ დაზარალდება შენი ქმედებით. ომში პოტენციური გვერდითი შედეგებიც ისეთი კატასტროფულია, ამ სიტუაციების შედარებაც კი შეუძლებელია. შენს კითხვას ჩვენ უფრო იმისკენ მივყავართ, რომ განვიხილოთ ისეთი თემა, რაზეც არ გვიმსჯელია ჯერ: შენ რუსეთი დიდ მოძალადეს, ბულერს შეადარე, რომელიც თავს დაესხა პატარა უკრაინას. ამ შედარებითაც კი შენ აიგნორებ უფრო დიდ სურათს.

უფრო დიდი სურათი: ნატო

სკეპტიკოსი: ამ წუთას შენ თქვი, რომ მე დამავიწყდა უფრო დიდი სურათი, როდესაც რუსეთი დიდ ბულერს შევადარე. ვვარაუდობ, რომ „უფრო დიდი სურათის“ ხსენებით შენ გინდა ვისაუბროთ NATO-ზეც?

მაიკენი: ზუსტად. ნებისმიერ ომში ყოველთვის არის კომპლექსური ისტორია, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ და ამ შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, სულ მცირე, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდზე. 1989 წელს დასრულდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ცივი ომი, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებში დომინირებდა მეორე მსოფლიო ომის ბოლო დღეების შემდეგ. ეს იყო სახალხო მოძრაობების შედეგი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, როგორიცაა: პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი და აღმოსავლეთ გერმანია, სადაც უიარაღო მასებმა აიძულეს რეჟიმი, შეცვლილიყო ისე, რომ ამას ვერც ერთი საერთაშორისო დამკვირვებელი წინასწარ ვერ წარმოიდგენდა. მნიშვნელოვანი ფაქტორი ამ ცვლილებებში იყო საბჭოთა კავშირის ლიდერის, მიხეილ გორბაჩოვის ღიაობა. ეს ნიშნავს, რომ საბჭოთა ლიდერი იყო პასუხისმგებელი

დეესკალაციაზე და არა ვინმე დასავლეთიდან. ისტორიაში ეს მომენტი, ბერლინის კედელის დანგრევა და საბჭოთა კავშირის დანგრევა, დეესკალაციის უპრეცედენტო შესაძლებლობა იყო.

ცივი ომის დროს, აღმოსავლეთის ბლოკს ჰქონდა საკუთარი ნატოს მსგავსი გაერთიანება, რომელსაც ვარშავის პაქტი ერქვა და ისიც 1991 წელს დაიშალა. ამ დროს ნატოც უნდა დაშლილიყო. ამის ნაცვლად, დასავლეთის ძალაუფლებებმა მოძებნეს ახალი გზები, რითაც გაამართლეს ნატოს არსებობა და პირველად ჩაერთნენ „ზონის მიღმა“ ომებში: ჯერ სერბეთში 1999 წელს და მოგვიანებით „მისიებით“ ერაყში, ავღანეთსა და ლიბიაში. ყველა მათგანს კატასტროფული შედეგები მოჰყვა. მაშინ, როცა რუსეთი თავისი ისტორიის მანძილზე ყველაზე დასუსტებული იყო, ნატოს წევრმა ქვეყნებმა არ მოახდინეს დაძაბულობის დეესკალაცია. ამის ნაცვლად აშშ გახდა ერთადერთი სუპერძალა, რომელსაც მძლავრად უჭერდნენ მხარს ნატოს მოკავშირეები. ნატომაც დაიწყო გაფართოება ყოფილი ვარშავის პაქტის წევრი ქვეყნებიდან, რასაც რუსეთი საკუთარ „გავლენის სფეროდ“ მიიჩნევდა. ეს გაფართოება არასაჭირო პროვოკაცია იყო და უკრაინაში დღევანდელი ომის გამომწვევი მნიშვნელოვანი ფაქტორიც ესაა. ეს არანაირად არ ამართლებს რუსეთის თავდასხმას, მაგრამ ეს არის ახსნა-განმარტების ნაწილი, რაზეც თვალს ვერ დავხუჭავთ.

სკეპტიკოსი: მაგრამ რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე ადასტურებს სრულიად საპირისპიროს - ნატო ისეა საჭირო, როგორც არასდროს, რათა დაიცვას დასავლეთის ქვეყნები რუსეთისგან!

მაიკენი: რუსეთს აღმოსავლეთ ევროპაში აგრესიულად მოქმედების ხანგრძლივი ისტორია აქვს. მე სრულად ვაცნობიერებ და მესმის, რომ რუსეთის მოსაზღვრე ქვეყნები ღელავენ და სურთ განიხილონ ყველა შესაძლო ვარიანტი, როგორ დაიცვან საკუთარი თავი უკეთესად. მგონია, რომ საუკეთესო არჩევანი არის ცივილური მეთოდებით თავდაცვა, სადაც ისინი მოემზადებიან უაიარაღო ბრძოლისთვის. ამის გაკეთება ძალიან კარგად შეუძლიათ ევროპულ ქვეყნებთან ალიანსში. მაგრამ, არა მგონია გონივრული იყოს ამჟამინდელ სიტუაციაზე ვისაუბროთ

ისე, რომ არ განვიხილოთ რა წვლილი შეიტანა ნატომ არსებულ ვითარებაში.

.

პროტესტი NATO-ს წინააღმდეგ, სტრასბურგი. ფოტოს ავტორი: იოს ვან ზეტენი, CC ლიცენზიით.

სკეპტიკოსი: აქ შენს ლოგიკას ვეღარ მივყვები - რუსეთს არ დასხმიან თავს. უკრაინას დაესხნენ თავს!

მაიკენი: რა თქმა უნდა. ჩვენ სრულად ვთანხმდებით, რომ ამ ბრუტალური აგრესიული ქმედების ინიციატორი არის რუსეთი, რომელმაც დაარღვია საერთაშორისო სამართალი, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ რუსეთის მთავრობა გრძნობდა საფრთხეს და პროვოკაციებს ათწლეულების მანძილზე ნატოს გაფართოებით, რომელიც ახლა სწორედ რუსეთის ზღურბლთან მივიდა, რადგან უკრაინას სურს ნატოში გაწევრიანება. თუ ვინმეს სურს სიტუაციის გაგება და შემდგომი გზების პოვნა, რაც მოახდენს ძალადობის დეესკალაციას, აუცილებელია გავაცნობიეროთ, როგორ აღიქვამენ ვითარებას სხვები, თუნდაც მათი რეაქციები ჩანდეს ირაციონალური ან პარანოიდული.

სკეპტიკოსი: მაგრამ გონივრული არაა ის, რომ ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია გაერთიანდეს ნებისმიერ ალიანსში ან კავშირში, რომელშიც სურს?

მაიკენი: ეს შესაძლოა იყოს გონივრული პრინციპი, მაგრამ არ ნიშნავს, რომ ბრძნული იქნება ამის გაკეთება. ამ შემთხვევაში, შენ გყავდა ყოფილი მსოფლიო ძალა - რუსეთი, რომელიც 1990-იანი წლების დასაწყისში მუხლებზე იყო დაჩოქილი და მისი სიამაყე მძიმედ იყო შეურაცხყოფილი. რუსეთი აგრესიული იყო ბევრი მისი მეზობლის მიმართ, მაგრამ ამ ქვეყანას დასავლეთიდან მუქარების მრავალწლიანი ისტორიაც აქვს. მაგალითად 1708 წელს შვედეთის თავდასხმა, 1812 წელს ნაპოლეონის მცდელობა, დაეპყრო რუსეთი და გერმანიის შეჭრა მეორე მსოფლიო ომის დროს.[30] ამდენად, შეუძლებელი არაა იმის გაცნობიერება, რატომ გრძნობენ რუსეთის ლიდერები საფრთხეს უკრაინის ნატოში გაწევრიანების იდეით. თუ შევხედავთ, როგორ ვითარდება ომი დღეს, ნატო მნიშვნელოვნად არის ჩართული მასში. მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის ჯარი იბრძვის ადგილზე, ის მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ იარაღზე, რასაც იღებს ნატოს წევრებისგან.

სკეპტიკოსი: კარგი, მესმის შენი აზრი აქ, მაგრამ თუ ეწინააღმდეგები ნატოს ჩართულობას, იარაღით დახმარებას და ასევე უკრაინის შეიარაღებულ წინააღმდეგობას, როდის შეიძლება ეს ყველაფერი დასრულდეს? უკრაინელები რომც გამოყვნენ უიარაღო წინააღმდეგობის შენეულ იდეას, მათ მოუწევთ ათწლეულების მანძილზე მძიმე ოკუპაციის და რეპრესიების ატანა.

მაიკენი: მართალი ხარ, შესაძლოა, ასე იყოს. არაფრის გარანტია არ არსებობს. უბრალოდ იმას ვამბობ, რასაც კვლევა აჩვენებს და ვცდილობ ავხსნა პაციფისტის პოზიცია, რომელიც მომდინარეობს სწორედ ამ ცოდნისგან. თუმცა, მეც შემიძლია იგივე კითხვა დაგისვა: როდის შეიძლება ეს ყველაფერი

[30] ალექსანდრე ჰილი, „რუსეთის დასავლეთისადმი ღრმად ფესვგადგმულმა შიშმა წააქეზა პუტინის თავდასხმა უკრაინაზე," საუბარი, https://theconversation.com/deep-rooted-russian-fear-of-the-west-has-fuelled-putins-invasion-of-ukraine-178351.

დასრულდეს? ათწლეულების მანძილზე ომს არ ვუყურებთ? უკრაინამ, ნატოს მხარდაჭერით, რუსეთის ჯარები რომ განდევნოს მისი ტერიტორიიდან, დაძაბულობა დარჩება განჭვრეტადი მომავლის პერიოდში. დაბალი ინტენსივობის შეტაკებები დიდი ალბათობით გაგრძელდება საზღვრისპირა რეგიონებში, როგორც ეს ხდებოდა რუსეთის სრულმასშტაბიან თავდასხმამდე. როდის უნდა იგრძნონ მშვიდობა უკრაინელებმა? მგონი, საჭიროა ვიფიქროთ, ვის შეუძლია პუტინის მმართველობიდან მოცილება და რუსეთის მოსახლეობის დამოკიდებულების შეცვლა იმის მიმართ, რაც ხდება უკრაინაში. ამ ეტაპზე, რუსეთში ავტორიტარული ძალები არიან გაძლიერებული და რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ომი, მით უფრო გაძლიერდება მტრობა რუსეთსა და უკრაინას შორის და გაგრძელდება ათწლეულების მანძილზე.

უკრაინაში პუტინის შეჭრის პროტესტის სიმბოლო

როგორ დავამხოთ პუტინი

სკეპტიკოსი: ამ წუთას შენ დასვი ძალიან საინტერესო კითხვა თუ ვის შეუძლია პუტინის ჩამოგდება. შენ როგორ ფიქრობ, ვის შეუძლია ამის გაკეთება?

მაიკენი: ჩემი აზრით, პუტინის და მისი რეჟიმის ჩამოგდება მხოლოდ რუს ხალხს შეუძლია. პუტინს საკუთარი

მოსახლეობის ეშინია და ისიც დაინახა, რა შედეგი მოჰყვა ფერად რევოლუციებს სერბეთში, საქართველოში და უკრაინაში 2000-იანი წლების დასაწყისში.[31] ბერლინის ომის დაცემის მსგავსად, სახალხო მოძრაობებმა შეცვალა ავტორიტარული რეჟიმები და გადაარჩინა დემოკრატიული არჩევნები. სერბეთში, 1999 წელს, ნატომ ვერ შეძლო სლობოდან მილოშევიჩის დაბომბვით ჩამოგდება, მაგრამ ერთი წლის შემდეგ სერბებმა იგი ჩამოაგდეს უიარაღო რევოლუციით. პუტინის რეჟიმი ბევრს მუშაობს, რომ მსგავსი სცენარი აღკვეთოს რუსეთშიც და ბელარუსშიც.

რუსეთი როცა თავს დაესხა უკრაინას, რუსეთში პოლიტიკური ოპოზიცია და პრაქტიკულად რუსული სამოქალაქო საზოგადოების ყველა პოლიტიზებული ნაწილი დაიშალა ან იძულებით წავიდა ქვეყნიდან. რუსეთს არასდროს ჰყოლია ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და პუტინი და მისი მხარდამჭერები ყოველთვის ძალიან ჭკვიანურად ახერხებდნენ მათი ძალაუფლების მიმართ არსებული ნებისმიერი საფრთხის განეიტრალებას. განსაკუთრებით მძლავრი ინსტრუმენტი გამოდგა კანონი, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას და ფიზიკურ პირებს არეგისტრირებს „უცხოეთის აგენტებად," რითაც აჩუმებს ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების კრიტიკას და წინააღმდეგობას. ეს ტერმინი რუსეთში პირველად დამკვიდრდა 2012 წელს და მას შემდეგ ნელ-ნელა იზრდება იმ ადამიანების და ორგანიზაციების რიცხვი, რომლებსაც ამ იარლიყით მოიხსენებენ. ერთ-ერთმა დამკვირვებელმა ამ ვითარების გამო რუსეთის სამოქალაქო საზოგადოება დაახასიათა როგორც „სამოქალაქო უდაბნო."[32] ეს ნიშნავს, რომ ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიისთვის

[31] ევგენი ფინკელი და იტჟაკ მ. ბრუდნი, eds., ფერადი რევოლუციები და ავტორიტარული რეაქციები (Oxon: Routledge, 2013); ენდრიუ ვილსონი, უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუცია (New Haven: Yale University Press, 2005).

[32] იგორ გრეტსკი, "არსებობს სიცოცხლე უდაბნოში? რუსეთის სამოქალაქო საზოგადოება უკრაინაში სრულმასშტაბიანი თავდასხმის შემდეგ" (ტალინი, ესტონეთი: თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთაშორისო ცენტრი, მაისი, 2023 წ).

ორგანიზებული მუშაობა თითქმის სრულად შეჩერებულია რუსეთში.

სკეპტიკოსი: ეს იმედისმომცემად არ ჟღერს. რუსი ხალხი როგორ შეძლებს პუტინის ჩამოგდებას თუ არ ეყოლება ორგანიზებული სამოქალაქო საზოგადოება? უფრო რეალისტური ხომ არაა პუტინის დამარცხება სამხედრო გადატრიალებით?

მაიკენი: შესაძლოა ეს ნამდვილად მოხდეს და რუსმა სახალხო მოძრაობებმა საჭიროა იცოდნენ ამ რისკის შესახებ და ასევე გაითვალისწინონ ისიც, როგორ უნდა უპასუხონ სამხედრო გადატრიალებას. შეიძლება, პუტინის თავიდან მოშორება ვინმეს შვება ეგონოს, მაგრამ სამხედრო გადატრიალება იოლად გადაიქცევა სამხედრო დიქტატურად. თუნდაც სამხედრო ძალებმა ქვეყანას მოაშოროს ავტორიტარი ლიდერი, ის მაინც სამხედრო ძალაა და ყოველთვის იმართება მილიტარიზმის და ძალადობის ლოგიკით. შესაძლოა იყოს სხვა ავტორიტარული ძალები სცენის უკან რუსეთში, რომლებსაც სურთ ძალაუფლების ხელში ჩაგდება.

სკეპტიკოსი: კარგი, მოდი წინ წავიდეთ და მოვისმინოთ შენი აზრი რუსეთში ხალხის ძალის შესახებ, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ მე სკეპტიკურად ვარ განწყობილი.
მაიკენი: მეც მაქვს ეჭვები და ვფიქრობ, რომ დიდი დრო დასჭირდება ჭეშმარიტად დემოკრატიული მოძრაობის შენებას. ბევრი შიდა სამუშაოა საჭირო, რომ განსხვავებული აზრის და ადამიანის უფლებების, მათ შორის - უმცირესობების პატივისცემის სულისკვეთება გაძლიერდეს. თუმცა, რუსი ხალხის ძალა ერთადერთი რეალისტური არჩევანია, რასაც მე ვუყურებ და ცხადია რუსებისთვის უფრო იოლი იქნება ამაზე მუშაობა, თუ უკრაინაში ბრძოლა ჩანაცვლდება არაძალადობრივი მეთოდებით. როგორც უკვე ვისაუბრეთ, როცა საქმე ეხება არაძალადობრივ მეთოდს, კითხვა ისმის გრძელვადიან სტრატეგიაზე და გარკვევაზე, თუ რა სახის ძალაუფლების თამაში მიდის, ასევე - გააზრებაზე, ვის ვისი მოსმენა სურს.

გრაფიტი მოსკოვში, შესრულებული ხელოვანის მიერ სახელად Zoom.

წერია: „თქვენ ჩვენ ჯოჯოხეთში მიგყავართ“

ამ ეტაპზე, პუტინი რიგითი რუსული მოსახლეობის დიდ ნაწილში საკმაოდ პოპულარულია. მას თვლიან ძლიერ ლიდერად, რომელიც იცავს კონსერვატიულ ღირებულებებს და ფიქრობენ, რომ ის რუსეთს ძველ დიდებას დაუბრუნებს. ხალხი ყიდულობს მის პროპაგანდას, რომელიც აცხადებს, რომ რუსეთის თავდასხმა უკრაინაზე არის „მცირემასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია“ ნაცისტების თავიდან მოსაშორებლად და რომ რუსეთი საფრთხის ქვეშაა. ჩემი აზრით, რიგითი რუსი მოქალაქე, დიდი ალბათობით, დაუპირისპირდება პუტინს თუ მის ეკონომიკურ ინტერესებს დაემუქრება საფრთხე, თუ ჩვეულებრივ სამომხმარებლო პროდუქტებზე ძალიან გაიზრდება ფასები და ვეღარ შეძლებენ ახლანდელი ცხოვრების პირობების შენარჩუნებას მათი საშუალო პენსიებით და ხელფასებით. რუსეთში ხალხი არ განსხვავდება ჩვენგან. ისინიც დარდობენ ქირის გადახდაზე, ოჯახისთვის სადილის მომზადებაზე, საღამოობით ტელევიზორის წინ დაჯდომაზე და კვირის ბოლოს დასვენებაზე ან გართობაზე. ვის უნდა ენდონ? ვინ ეტყვის, სინამდვილეში რა ხდება უკრაინაში? რიგით რუსს არ სჯერა ოპოზიციის ლიდერების, რომლებიც მხარს უჭერენ ევროკავშირს, ან ისეთ პროვოკაციულ ოპოზიციურ ჯგუფებს, როგორებიც ჩვენ მოგვწონს დასავლეთში, მაგალითად Pussy Riot-ს. რუსეთში ხალხმა შეიძლება მოუსმინოს თავის ადგილობრივ მღვდელს ან სკოლის მასწავლებელს ან მეზობლის ვაჟიშვილს, ვისაც

ბავშვობიდან იცნობენ. კარგი შანსია, რომ უკრაინაში ომიდან დაბრუნებული ეს ბიჭები მათ მოუყვებიან ნამდვილ ისტორიებს. ამ მიზეზით, უკრაინაში ბრძოლა რა გზით განვითარდება, დიდად არის დამოკიდებული რუსეთის შიგნით მიმდინარე მოვლენებზე.

იმ სცენარით, რომლის ილუსტრირებასაც ვცდილობ, ჩვენ გვაქვს ოკუპაციის წინააღმდეგ უიარაღო ბრძოლა უკრაინაში და მხოლოდ რუსულ ტყვიებს ისვრიან იქ. თუ უკრაინელები მოახერხებენ შეინარჩუნონ არაძალადობრივი დისციპლინა, რიგითი რუსი ჯარისკაცისთვის ძნელი იქნება, გააგრძელოს ოკუპაცია, როცა მას პირადად ემუქრება საფრთხე. ჯარისკაცები შეეჩეხებიან მშვიდობიან პროტესტებს, ბევრ არათანამშრომლობით კამპანიას გაფიცვების სახით, მშობლების უარს, გააგზავნონ თავიანთი შვილები იმ სკოლებში სასწავლებლად, სადაც რუსული განათლების სისტემაა და ა.შ. სულ მცირე, რუსეთის რიგითი მოქალაქეების ერთი ნაწილი შეწუხდება იმით, რომ მშვიდობიანი პროტესტის მონაწილეები მოკლა უკრაინაში იმ ხალხმა, ვისაც ენდობიან.

სკეპტიკოსი: მაგრამ რუსული რეჟიმი ეცდება მიჩქმალოს მსგავსი მოვლენები ცენზურით!

მაიკენი: რა თქმა უნდა, მაგრამ ვერც ერთმა რეჟიმმა ვერ მოახერხა სრული და ტოტალური ცენზურის ბოლომდე შენარჩუნება, ბევრი მცდელობის მიუხედავად. ისტორიები გამოქვეყნდება სოციალურ მედიაში. ჯარისკაცები, რომლებიც მონაწილეობენ ოკუპაციაში, ეტაპობრივად დაბრუნდებიან სახლში და ოჯახის წევრებს მოუყვებიან, რაც ნახეს ადგილზე. მნიშვნელოვანია ვიფიქროთ, რა ისტორიებს მოყვებიან - იმას, რომ ნახეს უკრაინელი ჯარისკაცები, რომლებიც მათ ესროდნენ ნატოს ქვეყნების მიერ მიცემული იარაღიდან, თუ მოყვებიან ისტორიებს, რომ უმართავი საზოგადოება აორგანიზებდა პროტესტს და არ თანამშრომლობდა მათთან?

სკეპტიკოსი: რას იტყვი ყალბ ამბებზე?

მაიკენი: პროპაგანდა ომებში ყოველთვის იყო. გაიხსენე ნორვეგიელი მასწავლებლების გაფიცვა, რომლითაც დავიწყეთ

საუბარი - მასწავლებლებმა გაგზავნეს ინდივიდუალური დეკლარაციები, სადაც ნათქვამი იყო, რომ არ თვლიდნენ თავს ახალი ნაცისტი მასწავლებლების ორგანიზაციის წევრად, რადგან ეს ეწინააღმდეგებოდა მათ მსოფლმხედველობას. გახსოვს ეს? ერთ-ერთი პირველი რეაქცია ეკლესიის და განათლების სამინისტროსგან იყო მცდელობა არასწორი ინფორმაცია მიეცათ ნორვეგიის მოსახლეობისთვის მასწავლებლების ქმედებაზე, რომ თითქოს ითხოვდნენ სამსახურიდან წასვლას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. მკაცრი ცენზურით, ნაცისტები თითქოს აკონტროლებდნენ კომუნიკაციებს, მაგრამ უკანონო იატაკქვეშა გაზეთები, რომლებიც ქვეყნდებოდა და ვრცელდებოდა ჩუმად, მოსახლეობას აწვდიდა სწორ ინფორმაციას, თუ რა გააკეთეს მასწავლებლებმა. კომუნიკაციამ და პროპაგანდამ ახალი სახე მიიღო ე.წ. ღრმა სიცრუის გავრცელებით, რაც იმდენად კარგად კეთდება, რომ შეუძლებელია აღმოაჩინო ყალბია თუ არა. ცხადია, რუსეთის ჯარი, დიდი ალბათობით, ქმნის ყალბ ამბებს. როგორ ყალბ ამბებს მოიფიქრებენ უკრაინის უიარაღო ბრძოლის ძირგამოსათხრელად?

სკეპტიკოსი: შესაძლოა, რუს სამხედრო ნაწილებზე შეიარაღებული თავდასხმის შესახებ?

მაიკენი: ზუსტად. ესეც ადასტურებს ჩემ მოსაზრებას, რომ არაძალადობრივი დისციპლინა მნიშვნელოვანია. ნებისმიერი ძალისმიერი თავდასხმა, თუნდაც ყალბი ინფორმაცია ერთ მათგანზე, შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც უკრაინაში არაძალადობრივი ბრძოლის წინააღმდეგ ძალადობის გამოყენების გამართლებად.

სკეპტიკოსი: მაგრამ ეს შეიძლება გულისხმობდეს იმას, რომ საჭირო გახდეს არაძალადობრივი სტრატეგიის ცდა!

მაიკენი: როგორც ვთქვი, პროპაგანდა ყოველთვის იყო ომის და ოკუპაციის ნაწილი. ცნობილი ფაქტია, რომ ახალი ამბების სანდოობა გამომდინარეობს იქიდან, ვინ გაწვდის ამ ინფორმაციას. ასეთი მასშტაბის სიცრუის გავრცელებით შეიძლება მომავალში მივიღოთ ის, რომ ხალხი ნაკლებად დაიჯერებს ფოტო და ვიდეო დოკუმენტაციას. პოტენციურად ეს

ნიშნავს, რომ თვითმხილველები უფრო სანდო გახდებიან და ამ შემთხვევაში, ჩვენ გვჭირდება მსჯელობა, ვის უფრო დაუჯერებს რუსეთის მოსახლეობა.

არაძალადობრივ დისციპლინასთან დაკავშირებით, საჭიროა, ლიდერები იყვნენ ძალიან მკაფიო, როგორი უნდა იყოს მოძრაობა სრულად არაძალადობრივი. ნებისმიერი, ვინც ურჩევს შეიცვალოს არაძალადობრივი სტრატეგია ძალადობისკენ, უნდა ჩაითვალოს აგენტ პროვოკატორად, რომელიც ჩანერგა რუსეთის მთავრობამ. ამ არგუმენტის გასაგრძელებლად, ნებისმიერი ვიდეო ან აუდიო ჩანაწერი, რომელიც აჩვენებს, რომ მოძრაობიდან ვინმე მხარს უჭერს ძალადობას, იქნება აუცილებლად ყალბი.

სკეპტიკოსი: მაგრამ რიგით რუსებს როგორ ექნებათ წვდომა ასეთ ინფორმაციაზე, ფართომასშტაბიანი ცენზურის პირობებში? ჩვენ უკვე ვისაუბრეთ რუსეთის სამოქალაქო საზოგადოების საშინელ მდგომარეობაზე და დამოუკიდებელი მედიის არარსებობაზე. ვინ გაბედავს გაავრცელოს ასეთი ინფორმაცია, როცა ნებისმიერ წინააღმდეგობას პასუხობენ ასეთი სასტიკი რეპრესიებით და ხდება მათი სტიგმატიზირება „უცხოეთის აგენტებად?“

მაიკენი: იმ დროსაც კი, როცა სამოქალაქო საზოგადოების პოლიტიზებულმა ნაწილმა დატოვა ქვეყანა ან ძალით გააჩუმეს, რუსეთს ჯერ კიდევ ყავს შემოქმედებითი ოპოზიციური მემკვიდრეობა, ვინც რუსებს ნამდვილად ახსოვთ. ესენი არიან განათლებული აკადემიკოსები და მასწავლებლები. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება ღიად აღარ მუშაობს პოლიტიკის თემაზე, ხალხი მაინც ხვდება ერთმანეთს. ასეთი შეხვედრების ადგილები რიგითი რუსებისთვის პოტენციურად შეიძლება იქცეს ინფორმაციულ ქსელად, რომელიც გააცოცხლებს ოპოზიციას. ვფიქრობ, როცა უკრაინელების წინააღმდეგობა დაეფუძნება ექსკლუზიურად არაძალადობრივ მეთოდებს, ის მალე შეუცვლის აზრს რიგით რუსებსაც. ზოგიერთი დამოუკიდებელი ხმა, რომელიც ეხლა ჩუმადაა, კიდევ ამოიღებს ხმას, ან ახლები გაჩნდებიან. თუ უკრაინელი ხალხი საკუთარ თავს იცავს ექსკლუზიურად არაძალადობრივი მეთოდებით, რუსეთის

ოპოზიციის შრომა რუსეთის აგრესიის და ოკუპაციის წინააღმდეგ ადვოკატირების მიზნით გაცილებით გაიოლდება, ვიდრე ახლა. ასეთ სცენარში რაც შეუძლიათ გააკეთონ, ძალიან ჰგავს იმას, რასაც მშვიდობიანი მოქალაქეები აკეთებენ უკრაინაში: მოახდენენ რუსი სამხედროების მხრიდან უკრაინის მშვიდობიანი მოსახლეობის შევიწროების და ძალადობის ფაქტების დოკუმენტირებას, მოაწყობენ გაფიცვებს და ბოიკოტებს რუსეთის შიგნით ომის გაპროტესტების მიზნით. ამას გარდა, გამოიყენებენ მათ ქსელებს სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, მშობლებს, გაერთიანებებს, ეკლესიებსა და მეზობლებს რუსეთში მოსახლეობის იმ ნაწილთან კომუნიკაციისთვის, რომლებიც არ წარმოადგენენ მეინსტრიმ ახალი ამბების ნაწილს.

არ გამიკვირდება თუ რუსი ქალები აიღებენ ინიციატივას, გაუძღვნენ უკრაინაში ომის საწინააღმდეგო აქციას, რადგან უკვე იყო ამის მცირე ნიშნები, როცა ქალები ცდილობდნენ თავიანთი ქმრები, შვილები და ძმები დაებრუნებინათ სახლში.[33] ჩეჩნეთის ომის დროს, 1990-იან წლებში, როცა რუსული ჯარი საშინელ დანაშაულებებს სჩადიოდა, ჯარისკაცების დედები შეიკრიბნენ ომის გასაპროტესტებლად. ზოგი მათგანი ჩეჩნეთშიც კი წავიდა შვილების მოსაძებნად და მოახერხეს მათი სახლში დაბრუნება. ეს დედები საერთაშორისო დონეზე გახდნენ ცნობილი მათი მონდომებისთვის, შეექმნათ მშვიდობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა და ესწავლებინათ რუსებისთვის მათი უფლებები სამხედრო მოქმედებების დროს. ისინი პუტინის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წინააღმდეგ გაჩაღებული ძალადობის მსხვერპლთა შორის მოხვდნენ და ახლა აღარ აქვთ იგივე სტატუსი, რაც 1990-იან წლებში. ამის მიუხედავად, ეს იყო იმდაგვარი პროტესტი, რომელიც შეიძლება გაცოცხლდეს თუ უკრაინული წინააღმდეგობა დაეყრდნობა მხოლოდ უიარაღო მეთოდებს.[34]

---

[33] მაგალითად, იხ. პიოტრ საუერი, „ჩვენ ვცადეთ კარგ გოგოებად მოქცევა: რუსი ჯარისკაცების ცოლების და დედების პროტესტი პუტინის წინააღმდეგ,“ გარდიანი, დეკემბერი 25, 2023.

[34] ბენუა ვიტკინი, “რუსი ჯარსიკაცების დედების კომიტეტი იწყებს ახალ ბრძოლას,“ Le Monde, 1 ოქტომბერი, 2022 წ.

ოპოზიციის შესაძლებლობები რომ შევაფასოთ, საჭიროა გავიგოთ რუსული საზოგადოების კომპლექსურობა. რუსეთის საზოგადოებაში არ არიან მხოლოდ პუტინის მარიონეტები. პუტინის ძალაუფლებიდან მოშორება რომ ვიხილოთ, უკრაინელებმა და ჩვენ დასავლეთში, ვინც მხარს ვუჭერთ მათ მიზანს, გვჭირდება ყურადღებით გავიაზროთ, როგორ შეგვიძლია კარგად დავეხმაროთ დემოკრატიულ ძალებს რუსეთში. რუსეთში ყველაფრის ბოიკოტირება ყველაზე დიდი სისულელეა, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. ამის ნაცვლად, საჭიროა გავაფართოოთ ჩვენი კავშირები სხვა რუსეთში და ვკითხოთ, რითი შეგვიძლია მათი დახმარება. შესაძლოა, საერთოდ არ სჭირდებათ ჩვენი ჩარევა, რადგან პუტინის რეჟიმი გამოიყენებს ნებისმიერ ფინანსურ ან მორალურ დახმარებას, რათა ისინი მოაქციოს „უცხოეთის აგენტის“ ჩარჩოებში. როგორც ვთქვი, როცა განვიხილავდით სხვა ქვეყნიდან უიარაღო პირადი მცველების დახმარების შესაძლებლობას, ჩვენ დასავლეთში ამჯერად არ ვართ იმ მდგომარეობაში, რამე როლი შევასრულოთ სხვების საქმეებში.

უიარაღო ბრძოლისთვის მომზადება

სკეპტიკოსი: ჩვენი საუბრის დასაწყისში გინდოდა გვესაუბრა უიარაღო ბრძოლის მომზადების შესახებ, მაგრამ მე არ მოგეცი საშუალება, რომ ამ საკითხს ჩავღრმავებოდით, რადგან მინდოდა მომესმინა უკრაინაში დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე შესაძლებლობები. ახლა კი მინდა გავიგო, შენი აზრი, როგორ უნდა მოემზადოს საზოგადოება უიარაღო ბრძოლისთვის?

მაიკენი: მიხარია, რომ გაიხსენე ეს თემა, რადგან ვფიქრობ, ცოტა უსამართლოა ჩვენ, პაციფისტებს, გვკითხო აზრი, რა უნდა გაკეთდეს, როცა ომი ფაქტად იქცევა. ჩვენი მსოფლმხედველობა ემყარება ომის თავიდან არიდებას და კონფლიქტების მართვას არაძალადობრივი ბრძოლით და პრევენციული აქტივობებით მანამდე, ვიდრე ძალადობა დაიწყება.

სკეპტიკოსი: მაშინ, გამოდის პაციფისტების დასაბუთება და არგუმენტები ემყარება ოცნების სცენარს, რაც არ არსებობს და დიდი ალბათობით არც არასდროს იარსებებს.

მაიკენი: ბევრი სცენარი, რომელზეც ვისაუბრე, სპეკულაციურია და დიდი დრო დასჭირდება დარწმუნებას, რომ ჩემს ვარაუდებში მართალი ვიყავი. არაძალადობრივი ქმედებების ფორმები, რომელთა ადვოკატირებასაც მე ვახდენ უკრაინასთან დაკავშირებით, დიდი ალბათობით, შეიძლებოდა წარმატებული ყოფილიყო და უფრო მალე იმუშავებდა, თუ წინასწარ დაიგეგმებოდა. ბევრი მაგალითი, რაც მე დავასახელე, ისტორიული ფაქტებია, სადაც ხალხი წინასწარ არ იყო კარგად მომზადებული, მაგრამ განავითარეს ჩამოთვლილი საპასუხო ქმედებები მიმდინარე ომის და ოკუპაციის დროს. ამდენად, პაციფიზმი და არაძალადობრივი მეთოდი არაა მხოლოდ ოცნების სცენარი, რომელიც არ არსებობს. პაციფისტები გადაწყვეტილებებს იღებენ საკუთარი რწმენის მიხედვით აქ და ახლა - იმ სამყაროში, რომელიც ძალიან შორსაა მათი იდეალებისგან. თუმცა, მართალი ხარ, იმ თვალსაზრისით, რომ უფრო სპეკულაციური ნაწილები, რაც მე შემოგთავაზეთ, შეესაბამება იმ იდეებს, სადაც აზრი არ აქვს მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინებას და სხვების გამოტოვებას. მაგალითად, როცა ვთქვი, რომ რუს ხალხს ყველაზე მეტი შანსი აქვს, პუტინი ჩამოაგდოს, ეს აზრი ემყარება იმ არგუმენტს, რომ უკრაინელებმა უნდა შეწყიტონ შეიარაღებული ბრძოლა.

სკეპტიკოსი: კარგი, მოდი დავუბრუნდეთ შენს იდეებს წინასწარი დაგეგმვის შესახებ.

მაიკენი: საქმე როცა ეხება სამხედრო საშუალებებს, ყველა აცნობიერებს, რომ ტრენინგი და მომზადება არის საჭირო, რათა გახდე კარგი ჯარისკაცი ან შეიმუშაო სამხედრო სტრატეგია. ბევრგან, ბაზისური სამხედრო წვრთნა გრძელდება დაახლოებით ერთი წელი. ამ დროს, ჯარისკაცები სწავლობენ იარაღის, ტანკების და სხვა აღჭურვილობის გამოყენებას, მაგრამ სამხედროები ასევე ბევრს მუშაობენ გუნდურობის უნარების შეძენაზე და სამხედრო ნაწილებში ერთმანეთის ნდობის

მშენებლობაზე. იგივე ეხება უიარაღო ბრძოლისთვის მზადებასაც. არაძალადობრივ გუნდშიც ადამიანებს სჭირდებათ იცნობდნენ და ენდობოდნენ ერთმანეთს, რათა ეფექტურად იმუშაონ.

ოკუპაციის უიარაღო წინააღმდეგობა დიდი ალბათობით წარმატებული იქნება, თუ ყველა გაიგებს უიარაღო ბრძოლის ლოგიკას და რა იგულისხმება, როცა ვსაუბრობთ არათანამშრომლობაზე, უკუშედეგზე და პოლიტიკურ ჯიუ-ჯიცუზე. როგორც ვთქვი, ისმის კითხვა - როგორ დავგეგმოთ და მოვემზადოთ და როგორ მოვამზადოთ სტრატეგია და გამოვიყენოთ ყველა ხელმისაწვდომი რესურსი კონკრეტულ კონტექსტში? ზოგიერთი ასპექტი, რისი სწავლაც შეუძლია ადამიანს წინასწარ, არის ის თეორია, რაზეც ვისაუბრე. ასევე არსებობს პოლიტიკური თამაშების გამოცნობის უნარი. ვერავინ შეძლებს წინასწარ ყველაფერი დეტალებში დაგეგმოს, მიუხედავად იმისა, რომ რაც უფრო მეტ ექსპერიმენტს ვატარებთ სხვადასხვა სცენარებით, უფრო უკეთესი ხდება ჩვენი უნარები, ვიფიქროთ შემოქმედებითად და სტრატეგიულად. **სკეპტიკოსი:** რას ფიქრობ, როგორ შეუძლია ადამიანს სცადოს სხვადასხვა სცენარები?

მაიკენი: შეიძლება ჰქონდეს კომპიუტერული სიმულაციები ან თამაშები, სადაც შენ იქნები არაძალადობრივი ჯგუფი, რომელიც იბრძვის რეპრესიის და ოკუპაციის წინააღმდეგ. უკვე არსებობს ერთი-ორი ასეთი სიმულაცია და თამაში, მაგრამ არის დიდი პოტენციალი, რომ განვავითაროთ მეტად.[35] ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ თეორიის, სტრატეგიის და ტაქტიკის შესახებ ცოდნა იყოს დეცენტრალიზებული, რადგან ეს არაა ის უნარები, რაც რამდენიმე ლიდერს სჭირდება გადაწყვეტილების მისაღებად. ოკუპაციის ვითარებაში არაძალადობრივი ბრძოლის დროს ბევრი საქმე გაკეთდა პატარა დამოუკიდებელი ჯგუფების მიერ, რომლებსაც შესაძლოა არ ჰქონდათ ბევრი კომუნიკაცია და

[35] მაგალითად, იხ.: "ლამაზი პრობლემის სტრატეგიული კარტი": https://beautifultrouble.org/ ან "ხალხის ძალა: სამოქალაქო წინააღმდეგობის თამაში": http://peoplepowergame.com/

დისკუსიები სხვებთან, უსაფრთხოების მიზეზებიდან გამომდინარე. თუ ყველამ იცის რომ სხვები, რომლებიც მონაწილეობენ ბრძოლაში, კარგად არიან ინფორმირებული არაძალადობრივ პრინციპებზე, გონივრულია. მზარდი წარმატების მოლოდინი გქონდეს. აქ მთავარი არის ის, რომ ყველას ესმის, რატომ არის მნიშვნელოვანი არაძალადობრივი დისციპლინის შენარჩუნება. ამას გარდა, მნიშვნელოვანია ადგილზე შესაბამისი ინფრასტრუქტურის ქონა, რათა განსაზღვრო, როგორ მოიქცე თავდასხმის შემთხვევაში.

სკეპტიკოსი: რას გულისხმობ „ინფრასტრუქტურაში“?

მაიკენი: ჩემი წარმოდგენით, ყველა არსებულ ორგანიზაციას ნაფიქრი აქვს, რა შეიძლება იყოს მისი როლი იმ ძალის თავდასხმის შემთხვევაში, ვისიც ეშინიათ. საჯარო მოხელეები, რომლებიც მუშაობენ პასპორტებზე და სხვა პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებზე, ვალდებული არიან, მოამზადონ საიდუმლო ადგილები, სადაც შეძლებენ დოკუმენტების გაცემას იმ ადამიანებზე, ვისაც დასჭირდება ახალი პირადობის მოწმობა. მასწავლებელთა კავშირი ვალდებულია, ჰქონდეს გეგმა არათანამშრომლობის შესახებ და სპორტული კლუბები, ეკლესიები და გაერთიანებები უნდა ფიქრობდნენ, როგორ შეძლებენ ინფორმაციის გავრცელებას. მთელი სამოქალაქო საზოგადოება უნდა გეგმავდეს, როგორ მიიღებენ გადაწყვეტილებებს და აირჩევენ ახალ ლიდერებს თუ მათ ლიდერებს დააკავებენ ან თუ მოუწევთ იატაკქვეშა კომუნიკაცია. რელიგიურმა ორგანიზაციებმა შესაძლოა, განიხილონ, რა შეუძლიათ გააკეთონ მორალის გაძლიერებით სიმბოლური ქმედებების ინიცირების გზით და როგორ შეუძლიათ დაეხმარონ პატიმართა ოჯახებს. ამ შემთხვევაში, ვინც გადაწყვეტს რისკზე წასვლას, აღარ იღელვებს ოჯახებზე, რადგან მათზე იზრუნებენ.

სკეპტიკოსი: მაგრამ შეუძლებელია ასეთი გეგემები საიდუმლოდ შეინახო და მერე მთელი დაგეგმილი სცენარი ნაგავში იქნება გადასაგდები!

მაიკენი: დაგეგმვის მნიშვნელოვანი ასპექტი არის მისი დიდი ნაწილის საჯაროდ კეთება, რადგან ეს იქნება პოტენციური თავდამსხმელისთვის გაფრთხილება. თუ ვინმე გეგმავს თავდასხმას, წინასწარ ეცოდინება, რომ ხალხი არ დაემორჩილება და სამხედრო ოკუპაციას დაჭირდება ბევრი ძალა, სანაცვლოდ კი ბევრს ვერ მოიგებს ამით.

სკეპტიკოსი: როგორ მოხდა, რომ ძალიან ცოტა ქვეყანამ გამოხატა ინტერესი საკუთარი თავის უიარაღოდ თავდაცვაზე? იმის გამო ხომ არა, რომ ეშინიათ, ვინც გაიგებს არაძალადობრივი ბრძოლის შესახებ, მერე იგივე შესაძლოა გამოიყენონ მათივე მთავრობის წინააღმდეგ?

მაიკენი: ვფიქრობ, ბოლო კომენტარი ზუსტია. ზოგიერთმა ქვეყანამ გამოხატა დაინტერესება ცივილური მეთოდებით თავდაცვაზე და არსებობს ლიტერატურის დარგი ჰიბრიდულ თავდაცვაზე, რომელიც ცდილობს გააერთიანოს სამხედრო და უიარაღო საშუალებები. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, სახელმწიფო როგორც ინსტიტუცია, ნამდვილად ვერ ეგუება არაძალადობრივ ბრძოლას. საჭიროა სოციალური თავდაცვის განხორციელება და არაძალადობრივი ბრძოლა უფრო მეტად შეესატყვისება თემის დონეზე თვითორგანიზებას, ვიდრე ზემოდან ქვემოთ მთავრობის ინსტრუქციებს. გულწრფელად ვეჭვობ, რომ რომელიმე მთავრობა ოდესმე აიღებს ინიციატივას, ნამდვილად მოამზადოს მოსახლეობა სოციალური თავდაცვისთვის მათთვის საჭირო ტრენინგების ჩატარებით. ამის გამო, ჩვენ ე.წ. ჩვეულებრივი მოქალაქეები უნდა გავუძღვეთ უიარაღო წინააღმდეგობისთვის მომზადების გზას. ჩემი რჩევა ძალიან განსხვავდება იმისგან, რაც ვიცით დღეს, როდესაც საქმე ეხება სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს საზოგადოებაში. მომავალში, იმედია, ვისაუბრებთ, თუ როგორ შეიძლება ეს ჩამოყალიბდეს.

სკეპტიკოსი: ზოგიერთი შენი გიჟური იდეა ახლა მისაღებად მეჩვენება. შენ ცოტა ხნის წინ ახსენე, რომ არაძალადობრივი თავდაცვის შესახებ ცოდნა ახალი არაა. სად შემიძლია ვიპოვო მეტი ინფორმაცია?

მაიკენი: იდეები, თუ როგორ ჩავანაცვლოთ სამხედრო მეთოდი არაძალადობრივი თავდაცვის მეთოდით, განიხილებოდა ერთი საუკუნის განმავლობაში ხშირად „მოქალაქეებზე ორიენტირებული თავდაცვის“ სახელის ქვეშ. ზოგიერთი ავტორი მოქალაქეებზე ორიენტირებულ თავდაცვას წარმოაჩენდა სამხედრო მეთოდის ჩანაცვლებად, რაც იმავე მიზანს ემსახურება და იცავს კონკრეტულ ტერიტორიას თავდასხმისგან.[36] ანგარიშგასაწევი ძალისხმევა დაიხარჯა მთავრობების დარწმუნებაში, რომ თავდაცვის გეგმებში ჩაემატებინათ ეს მიმართულებებიც. მე ვიტყოდი, რომ რამდენიმე ადგილას იყო საკითხისადმი მეტ-ნაკლები ინტერესი. გამონაკლისი იყო ლიეტუვა, სადაც თავდაცვის მინისტრმა განაცხადა - „მე მირჩევნია მქონდეს ეს წიგნი, ვიდრე ატომური ბომბი“ - მას შემდეგ, რაც წაიკითხა ჯინ შარბის წიგნი „მოქალაქეებზე ორიენტირებული თავდაცვა.“[37] ლიეტუვაში, ასევე, იყო მცდელობები გაევრცელებინათ ინფორმაცია თავდასხმის წინააღმდეგ არაძალადობრივ რეაგირებაზე ფართო საზოგადოებაში.[38]

სხვა ავტორები იყენებდნენ სხვა ტერმინებს ამ კონტესტში, როგორიცაა „არაძალადობრივი თავდაცვა“ ან „სოციალური თავდაცვა.”[39] ისინი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ტერიტორიას და მეტწილად კი ადამიანს, რომელსაც შეუძლია დაიცვას თემი, ღირებულებები და ცხოვრების წესი. აქედან გამომდინარეობს ტერმინი - „სოციალური.“ ამ თემაზე ბოლოს გამოქვეყნებული წიგნი „სოციალური თავდაცვა“ ეკუთვნის იორგენ იოჰანსენს და ბრაიან მარტინს. წიგნში განხილულია მასების მიდგომა, თუ როგორ შეუძლია სოციალურ მოძრაობებს სოციალური

[36] იორგენ იოჰანსენი და ბრაიან მარტინი, სოციალური თავდაცვა (Sparsnäs, Sweden: Irene Publishing, 2019).
[37] იქვე
[38] ჯორჯ ისტი, „მზადყოფნა რუსეთისთვის: ლიეტუველებს ასწავლეს როგორ აღდგომოდნენ წინ თავდასხმას,“ გარდიანი, 2016 წლის 5 დეკემბერი
[39] იოჰანსენი და მარტინი, სოციალური თავდაცვა; რობერტ ბაროუსი, არაძალადობრივი თავდაცვის სტრატეგია: განდისეული მიდგომა (Albany: State University of New York Press, 1996).

თავდაცვის იდეის ხელშეწყობა და მომზადება. წიგნი გამოქვეყნდა უკრაინაზე ფართომასშტაბიან თავდასხმამდე რამდენიმე წლით ადრე. ასე რომ, ის ძალიან დროულია და განიხილავს ასევე ბოლოდროინდელი ტექნოლოგიური განვითარების პოტენციურ გავლენას, როგორიცაა სოციალური მედია. და შენს ბოლო კითხვას რომ ვუპასუხო, ქვემოთ შეგიძლია იხილო იმ წიგნების მოკლე სია, რომლებიც კარგი დასაწყისია უიარაღო წინააღმდეგობის, არაძალადობრივი მოქმედებისა და თეორიაზე მეტი ინფორმაციის შესასწავლად.

დამატებითი საკითხავი მასალა:

მოკლე, ანოტაციური ბიბლიოგრაფია

პიტერ აკერმანი და ქრისტოფერ კრუეგლერი, „სტრატეგიული არაძალადობრივი კონფლიქტი: ხალხის ძალის დინამიკა მეოცე საუკუნეში," 1994

ეს წიგნი დღეს უკვე 30 წლისაა, მაგრამ ჯერ კიდევ ინარჩუნებს სიძლიერეს. შემთხვევების კვლევის რამდენიმე ბოლოდროინდელი კრებული არსებობს, რომლებშიც ასახულია არაძალადობრივი ბრძოლის უფრო ახალი მაგალითები, მაგრამ ეს წიგნი არაძალადობრივი წინააღმდეგობის სტრატეგიული ასპექტების ანალიზით დაინტერესებულ მკითხველს სთავაზობს ყველაზე სისტემურ შედარებებს.

ერიკა ჩენოვეთი და მარია სტეფანი, „რატომ მუშაობს სახალხო წინააღმდეგობა," 2011

დიალოგში ზემოთ, მე აქტიურად ვახსენებდი ჩენოვეთისა და სტეფანის ამ წიგნს. კვლევამ გარდამტეხი როლი შეასრულა არაძალადობრივი მეთოდის პოპულარიზაციაში და მის მიმართ აკადემიური ინტერესის გაღვივებაში. ის ასაბუთებს რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს არაძალადობრივი გზა ძალადობასთან შედარებით და ასევე ხსნის მიზეზებს.

ერიკა ჩენოვეთი, „სამოქალაქო წინააღმდეგობა: რისი ცოდნა სჭირდება ყველას," 2021

ეს წიგნი უფრო ხელმისაწვდომია, ვიდრე 2011 წლის კვლევა, რომელიც ჩენოვეთმა მარია სტეფანთან ერთად გამოსცა. ის ძალიან კარგი შესავალია სამოქალაქო წინააღმდეგობის გასაგებად, არაძალადობრივი გზების დინამიკის ბევრი მაგალითით და განმარტებებით.

იორგენ იოჰანსენი და ბრაიან მარტინი, „სოციალური თავდაცვა," 2019

ამ პატარა წიგნში სოციალურ თავდაცვაზე, იორგენ იოჰანსენმა და ბრაიან მარტინმა განიხილეს სამხედრო თავდაცვასთან დაკავშირებული პრობლემები და იმსჯელეს, საზოგადოებებს როგორ შეუძლიათ უკეთ დაიცვან საკუთარი თავი თავდასხმის და სამხედრო გადატრიალების წინააღმდეგ ჩვენს დროში. ავტორები ხსნიან მოქალაქეებზე დაფუძნებულ თავდაცვასა და სოციალურ თავდაცვას შორის განსხვავებას ყველაზე გასაგები ენით. ავტორები ასევე გვთავაზობენ ბევრ ისტორიულ მაგალითს, რომლებიც ჩვენს დიალოგში არ განხილულა, მაგრამ ძალიან რელევანტურია უკრაინაში დღეს არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.

ლაიამ მაჰონი და ლუის ენრიქე ეგურენი, „უიარაღო პირადი მცველები: ადამიანის უფლებების დასაცავად საერთაშორისო თანმხლებ პირთა მისიები," 1997

უიარაღო საერთაშორისო თანმხლ პირთა მისიების პროგრამით დაინტერესებული მკითხველისთვის ეს წიგნი *მშვიდობის საერთაშორისო ბრიგადის* ადრეული წლების მოღვაწეობის შესახებ კარგი შესავალია. ავტორები დეტალურად აღწერენ სამშვიდობო მოძრაობის ადრეულ ექსპერიმენტებს და გვატამელაში ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. წიგნში საუბარია როგორც წარმატებებზე, ასევე პრობლემებზე, რომელმაც საერთაშორისო თანმხლებ პირთა მისიების უნიკალური დინამიკის ფართო გაგებასთან მიგვიყვანა.

ჯინ შარპი, „არაძალადობრივი ქმედების პოლიტიკა," 1973

ამ წიგნს ზოგჯერ „არაძალადობრივი მეთოდის ბიბლიად" მოიხსენიებენ არაძალადობის თეორიზაციაზე ჯინ შარპის გავლენის გამო. წიგნი 50 წელზე მეტი ხნის წინ გამოიცა. ამიტომ მასში არ ასახულა გვიანი პერიოდის მოვლენები. ეს წიგნი როცა წავიკითხე, ჩემს ადრეულ 20 წლის ასაკში ვიყავი და მან მთლიანად გადააყირავა ჩემთვის სამყარო.

ძალაუფლების შარპისეული თანხმობის თეორია ჯერ კიდევ მთავარი საკითხავია ნებისმიერისთვის, ვისაც სურს შეისწავლოს არაძალადობრივი მეთოდები უფრო ღრმად, ისევე როგორც მისი იდეა პოლიტიკურ ჯიუ-ჯიცუზე და არაძალადობრივი დისციპლინის შენარჩუნების მნიშვნელობაზე. თუმცა, არაძალადობაში თეორეტიკული ინტერესის მქონე მკითხველებმა უნდა გააგრძელონ სტელან ვინთაგენის წიგნი „არაძალადობრივი ქმედების თეორია: როგორ მუშაობს სამოქალაქო წინააღმდეგობა."

მაიკენ ჯულ სორენსენი, სტელან ვინთაგენი და იორგენ იოჰანსენი, „კონსტრუქციული წინააღმდეგობა: უსამართლობის წინ დადგომა გამოსავლის შექმნით," 2023

ზემოთ დიალოგში, ვახსენე „კონსტრუქციული წინააღმდეგობის" კონცეფცია მოკლედ და **სკეპტიკოსისთვის** გაცემულ ერთ-ერთ ბოლო პასუხებში მივანიშნე პირდაპირი დემოკრატიის შესაძლებლობებზე და თემის დონეზე თვითორგანიზების იდეაზე. „კონსტრუქციულ წინააღმდეგობაში", ჩემი თანაავტორები და მე ვხსნით დეტალურად, რომ საზოგადოების შექმნის მცდელობა პარალელურად შესაძლოა იყოს სტატუს კვოს წინააღმდეგობის გზა. ეს ხელმისაწვდომი წიგნია ბევრი ისტორიული და თანამედროვე მაგალითებით, სადაც ხალხი დაორგანიზდა დამოუკიდებლად და მმართველი ძალის წინააღმდეგ ცვლილების შესაქმნელად. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ხალხი, ვინც შემოქმედებითად აერთიანებს წინააღმდეგობას და კონსტრუქციულ მიდგომებს იყენებს თავის ბრძოლაში, დიდი ალბათობით, გაიმარჯვებს.

სტელან ვინთაგენი, „არაძალადობრივი მოქმედების თეორია: როგორ მუშაობს სამოქალაქო წინააღმდეგობა," 2015

ეს წიგნი არის მთავარი საკითხავი, როცა საქმე ეხება არაძალადობრივი მეთოდების დინამიკის გაგებას თეორიულად და ამ საკითხის უფრო სიღრმისეულად გაგებას, რასაც ზემოთ

მოკლედ შევეხე. ვინთაგენმა შთააგონა ჩემი ფიქრები არაძალადობაზე, მიუხედავად იმისა, რომ დიალოგში წყაროდ არ გამომიყენებია. ვინთაგენი ხსნის შარპის თანხმობის ძალის თეორიას, მაგრამ ასევე პრობლემად ხდის მას და უფრო სიღრმისეულად იკვლევს. ამისთვის, ვინთაგენი იშველიებს განდის, გემინიზმის და მთელი რიგი სოციოლოგი მოაზროვნეების ხედვებს არაძალადობრივი მოქმედების მეტად შემოქმედებით და ინოვაციურ თეორიასთან ერთად.

ბიბლიოგრაფია

Amundsen, Sverre S., ed. *Kirkenesferda 1942 [The Journey to Kirkenes 1942]*. Oslo: Cappelen, 1946.

Anisin, Alexei. "Debunking the Myths Behind Nonviolent Civil Resistance." *Critical sociology* 46, no. 7-8 (2020): 1121-39.

Austad, Torleiv. *Kirkelig motstad: Dokumenter fra den norske kirkekamp under okkupasjonen 1940-45 med Innledninger og kommentarer.* [Church Resistance: Documents from the Norwegian Church Struggle during the Occupation 1940-45 with Introductions and Comments]. Kristiansand, Norway: Høyskoleforlaget, 2005.

Bergfeldt, Lennart. "Experiences of Civilian Resistance: The Case of Denmark 1940-1945." PhD, Uppsala University, 1993.

Boulding, Elise. *Cultures of Peace: The Hidden Side of History.* Syracuse Studies on Peace and Conflict Resolution. Syracuse, N.Y.: Syracuse University Press, 2000.

Bundgård Christensen, Claus; Joachim Lund; Niels Wium Olesen, and Jakob Sørensen. *Danmark besat: Krig og hverdag 1940-45.* 3rd revised edition. København: Information, 2009.

Burrowes, Robert J. *The Strategy of Nonviolent Defense: A Gandhian Approach.* Albany: State University of New York Press, 1996.

Chayes, Antonia Handler, and Martha Minow. *Imagine Coexistence: Restoring Humanity after Violent Ethnic Conflict.* San Francisco: Jossey-Bass, 2003.

Chenoweth, Erica. "The Future of Nonviolent Resistance." *Journal of democracy* 31, no. 3 (2020): 69-84.

Chenoweth, Erica, and Maria J. Stephan. *Why Civil Resistance Works: The Strategic Logic of Nonviolent Conflict.* Columbia Studies in Terrorism and Irregular Warfare. New York: Columbia University Press, 2011.

Clark, Howard. *Civil Resistance in Kosovo.* London: Pluto Press, 2000.

Dobson, William J. *The Dictator's Learning Curve: Inside the Global Battle for Democracy.* New York: Doubleday, 2012.

East, George. "Ready for Russia: Lithuanians Taught How to Resist Invasion." *The Guardian*, 5th December 2016. Accessed 29th January 2024 https://www.theguardian.com/world/2016/dec/05/ready-for-russia-lithuanians-taught-how-to-resist-invasion.

Finkel, Evgeny, and Yitzhak M. Brudny, eds. *Coloured Revolutions and Authoritarian Reactions*. Oxon: Routledge, 2013.

Gretskiy, Igor. "Is There Life in the Desert? Russian Civil Society after the Full-Scale Invasion of Ukraine." Tallinn, Estonia: International Centre for Defence and Security, May 2023.

Hill, Alexander. "Deep-Rooted Russian Fear of the West Has Fuelled Putin's Invasion of Ukraine." The Conversation, Accessed 22nd December 2023 https://theconversation.com/deep-rooted-russian-fear-of-the-west-has-fuelled-putins-invasion-of-ukraine-178351.

Howes, Dustin Ells. "The Failure of Pacifism and the Success of Nonviolence." *Perspectives on Politics* 11, no. 02 (2013): 427-46.

Johansen, Jørgen, and Brian Martin. *Social Defence.* Sparsnäs, Sweden: Irene Publishing, 2019.

Karcher, Nicola, *Kampen om skolen: Nazifisering og lærernes motstand i det okkuperte Norge [The Struggle for the School: Nazification and the Teachers' Resistance in Occupied Norway],* Oslo: Dreyers Forlag, 2018.

Lederach, John Paul. *Building Peace: Sustainable Reconciliation in Divided Societies.* Washington, D.C.: United States Institute of Peace Press, 1997.

Mahony, Liam, and Luis Enrique Eguren. *Unarmed Bodyguards: International Accompaniment for the Protection of Human Rights.* West Hartford, Conn: Kumarian Press, 1997.

Martin, Brian. *Justice Ignited: The Dynamics of Backfire.* Lanham: Rowman & Littlefield, 2007.

Onken, Monika; Dalilah Shemia-Goeke, and Brian Martin. "Learning from Criticisms of Civil Resistance." *Critical Sociology* 47, no. 7-8 (June 2021): 1191-203.

Ram, Senthil. "The Tibet Issue, 1987-1997: Internationalization and Media Mobilization." Jawaharlal Nehru University, 2001.

Rigby, Andrew. *Justice and Reconciliation: After the Violence.* Boulder, Colo.: L. Rienner, 2001.

Sauer, Pjotr. "'We're Tired of Being Good Girls': Russia's Military Wives and Mothers Protest against Putin." *The Guardian*, 25th December 2023. Accessed 26th January 2024 https://www.theguardian.com/world/2023/dec/25/russia-military-wives-mothers-protest-against-putin-war-ukraine-troops-female.

Schock, Kurt. *Unarmed Insurrections: People Power Movements in Nondemocracies.* Social Movements, Protest, and Contention Vol. 22, Minneapolis: University of Minnesota Press, 2005.

Semelin, Jacques. *Unarmed against Hitler: Civilian Resistance in Europe, 1939-1943.* Westport, CT: Praeger, 1993.

Sharp, Gene. *The Politics of Nonviolent Action.* Boston: P. Sargent Publisher, 1973.

Tyranny Could Not Quell Them. London: Publications Committee of Peace News, 1958.

Sierra, Felip Daza. "Ukrainian Nonviolent Civil Resistance in the Face of War. Analysis of Trends, Impacts and Challenges of Nonviolent Action in

Ukraine between February and June 2022." International Catalan Institute for Peace (ICIP), International Institute for Nonviolent Action (Novact), German Friedrich-Schiller-University Jena and German peacebuilding NGO Corridors - Dialogue through Cooperation, 2022.

Sørensen, Majken Jul. "Glorications and Simplications in Case Studies of Danish WWII Nonviolent Resistance." *Journal of Resistance Studies* 3, no. 1 (2017): 99-137.

Sørensen, Majken Jul; Stellan Vinthagen, and Jørgen Johansen. *Constructive Resistance: Resisting Injustice by Creating Solutions.* London: Rowman & Littlefield, 2023.

Tufekci, Zeynep. *Twitter and Tear Gas: The Power and Fragility of Networked Protest.* New Haven: Yale University Press, 2017.

Ukrainian Pacifist Movement. "Peace Agenda for Ukraine and the World." International Peace Bureau, Accessed 26th January 2024 https://ipb.org/peace-agenda-for-ukraine-and-the-world/.

———. "Ukrainian Pacifists: War Is a Crime against Humanity." War Resisters´ International, Accessed 26th January 2024 https://wri-irg.org/en/story/2022/ukrainian-pacifists-war-crime-against-humanity.

Vitkine, Benoît. "The Committee of Soldiers' Mothers of Russia Resumes Its Fight." *Le Monde*, 1st October 2022. Accessed 28th December 28th 2023 https://www.lemonde.fr/en/international/article/2022/10/01/the-committee-of-soldiers-mothers-of-russia-resumes-its-fight_5998753_4.html.

Walker, Shaun. "'Ukrainians Understand Corruption Can Kill': Kyiv Takes on an Old Enemy." *The Guardian*, 19th September 2023. Accessed 26th January 2024 https://www.theguardian.com/world/2023/sep/19/corruption-kyiv-takes-on-an-old-foe-wartime.

Wilson, Andrew. *Ukraine's Orange Revolution.* New Haven: Yale University Press, 2005.

„ასეთ დროს როგორ შეგიძლია პაციფისტად ყოფნა?“ - კითხულობს **სკეპტიკოსი,** როცა გონებაში ფიქრი უკრაინის ტერიტორიაზე რუსეთის შეჭრის შესახებ ჯერ კიდევ ახალია. მაიკენ ჯულ სორენსენი თავიდანვე საპასუხო შეკითხვას უსვამს: „შენ როგორ შეგიძლია *არ იყო* პაციფისტი ასეთ დროს? როცა ვიცით რა შეიძლება მოყვეს თანამედროვე საომარ მოქმედებებს, მაგიდაზე რატომ არ დევს ომის ყველა სხვა ალტერნატიული გამოსავალი?“

პუბლიკაციაში *„პაციფიზმი დღეს“* მაიკენი აღწერს პაციფიზმის მისეული გაგების უამრავ მაგალითს და ხსნის მის ერთგულებას არაძალადობრივი მოქმედებისა და ომის წინააღმდეგ უიარაღოდ ბრძოლის შესახებ. ამ მისი პერსონალური შეფასებით, თუ როგორ გახდა პაციფისტი, მაიკენი ხსნის როგორ გაღრმავდა მისი პაციფიზმი მას შემდეგ, რაც გაიგო კონფლიქტში ადამიანების არაძალადობრივი მეთოდებით ჩართვის შესაძლებლობების შესახებ.

გამოიწვია რა დიალოგში **სკეპტიკოსმა,** მაიკენი ხაზს უსვამს ადამიანები როგორ ამბობენ უარს ოკუპანტ ძალებთან ყველანაირ სოციალურ და ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, ბოიკოტს უცხადებენ სკოლებს და გაყალბებულ არჩევნებს. **სკეპტიკოსის** ეჭვებზე პასუხად, მაიკენი განმარტავს არაძალადობრივი ბრძოლის უნიკალურ დინამიკას. ის მიანიშნებს, რომ მილიტარიზმი ხანგრძლივ პროცესში უფრო მეტად ზიანის მომტანია, ვიდრე სიკეთის და იკვლევს იმ შემთხვევებს, როცა რუსი ხალხი შეძლებს პუტინის ძალაუფლების დამხობას.

მაიკენ ჯულ სორენსენი არის ოსტფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯის და კარლსტადის უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერებათა ასოცირებული პროფესორი. სოციოლოგიისა და მშვიდობის ინტერსექციური კვლევების მიჯნაზე, მან გამოაქვეყნა პოოლიტიკური აქტივიზმის, არაძალადობრივი ქმედებისა და კონსტრუქციული წინააღმდეგობის შესახებ რამდენიმე წიგნი და აკადემიური სტატია. მანამდე მაიკენ სორენსენი იყო საერთაშორისო პაციფისტური ორგანიზაციის War Resisters‘ International და მასთან აფილირებული ორგანიზაციების Aldrig Mere Krig-ისა და Ofog-ის აქტიური წევრი. ამჟამად, სამშვიდობო მოძრაობას ეხმარება ამ თემაზე მასალების გამოქვეყნებით და საკუთარი ოცნებების ერთგულებით.